ქართველები სანკტ-პეტერბურგში







პროექტის ავტორი: ნათია გოგიტიძე
დიზაინი: ლიზა ბერიშვილი
რედაქტორი: მერაბ ბაბუხადია

ჩემი მოგზაურობის მიზანი იყო მენახა, როგორია დღევანდელი სათვისტომო პეტერბურგში, როგორ ცხოვრობენ ქართველები, რითი სუნთქავენ, რა არის მათთვის მთავარი, როგორ ზრდიან შვილებს, როგორ მოხდება მათი ინტეგრაცია სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში.

ნათია გოგიტიძე

ქართველები სანკტ-პეტერბურგში

1. წინათქმა. პირველი ქართველები პეტერბურგში; პირველი ქართული სათვისტომო

2. სანკტ-პეტერბურგის ქართული სათვისტომო ,,ივერია"
ბადრი კაკაბაძე *- ,,პეტროხოლოდის" გენერალური დირექტორი, სათვისტომოს გამგეობის თავმჯდომარე.*

3. ქართულ-რუსული ურთიერთობების შემსწავლელი ცენტრი და სამეცნიერო კულტურული ფონდი ,,ადამიანი". საერთაშორისო სამეცნიერო-თეორიული ჟურნალი ,,ჰომო ესპერანსო" (მოიმედე ადამიანი)
ვახუშტი ფარცვანია *- ცენტრის დირექტორი. ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, სანკტ - პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ანთროპოლოგი. ჟურნალის მთავარი რედაქტორი.*

4. მეცნიერული ქართველოლოგია სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში. ისტორია და თანამედროვეობა
ჰენრიკო ხარატიშვილი *- ისტორიულ მეცნიერება კანდიდატი, აღმოსავლეთმცოდნე, დოცენტი,*
მანანა გორგოძე *- აღმოსავლეთმცოდნე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.*
ჟენია ზახაროვა *- აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის მაგისტრანტი, მომავალი ქართველოლოგი*

5. ისტორიულ -კუტურული ფონდი ,,ერთიანი რწმენით. ქართული თავადაზნაურობა სანკტ-პეტერბურგში."
ფატი წერეთელი *- ფონდის დამაარსებელი, მხატვრულ-ლიტერატურული სალონის დიასახლისი (маленкий остров в Санкт-Петербурге)*

6. ქართული სკოლა სანკტ-პეტერბურგში
ვალერი ესართია *- სკოლის დირექტორი,*
ხათუნა ბეროძე -ბოჭორიშვილისა *- ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.*

7. ქართული ეკლესია სანკტ-პეტერბურგში
მამა რომანოზი ვეფხვაძე *- ეკლესიის წინამძღვარი*

__გუმა აფაქიძე__ - ეკლესიის სამრევლოს საბჭოს თავჯდომარე, აღმოსავლეთმცოდნე
__დათო ჩლაიძე__ - მხატვარი მოქანდაკე. ზურაბ წერეთლის სახელოსნო.
__ტარიელ ყენია__ - ,,ლენფილმის“ მსახიობი.
__გია ნადირაძე__ - მრევლის წევრი, ქართული რესტორნის მეპატრონე, ბიზნესმენი. __ავთანდილ შენგელია__ - მხატვარ-რესტავრატორი.
__ნანა ზარნაძე__ – სათვისტომოს პრესცენტრის ხელმძღვანელი

8. ქორეოგრაფიულ-ფოლკლორული ანსამბლი ,,სიხარული”
__სოფიო ლიპარტელიანი__ - ქორეოგრაფიული ანსამბლის ხელმძღვანელი.
__ლეილა ენუქიძე__ – ფოლკლორული ჯგუფის ხელმძღვანელი.

9. __ალექსი ბაინდურაშვილი__ – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გ. ი. ტურნერის სახელობის ბავშვთა ორთოპედიული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი. შანკტ პეტერბურგის დიპლომისშემდგომი განათლების სამედიცინო აკადემიის ბავშვთა ტრამვატოლოგიისა და ორთოპედიის კათედრის გამგე, ჯანდაცვის კომიტეტის მთავარი ბავშვთა ტრავმატოლოგ – ორთოპედი. სამხრეთ-დასავლეთის ფედერალური ოლქის ბავშვთა დამწვრობითი ტრამვის ცენტრის ხელმძღვანელი, საერთაშორისო ორგანიზაცია SICOT- ის წევრი და ევროპის ბავშვთა ორთოპედიის ორგანიზაციის წევრი, ანდრია პირველწოდებულის ორდენის კავალერი, საერთაშორისო პრემიის `რწმენა და ერთგულებისთვის” კავალერი.

10. __დალი ბრეგვაძე__ – ფსიქოანალიტიკოსი, რუსეთისფსიქოანალიტიკოსთა ნაციონალური ფედერაციის წევრი დასავლეთ ევროპის ფსიქოანალიტიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი.
__მურად კალიაევი__ – ბიზნესმენი

11. __დავით კვაჭაძე__ – ლეგენდარული მოკრივე, საბჭოთა კავშირის და ევროპის ჩემპიონი კრივში, საქართველოს კრივის ფედერაციის პრეზიდენტი, თსუ ფიზიკური აღზრდის კათედრის გამგე, ორი სპორტული სკოლის დამაარსებელი თბილისში. პეტერბურგის ლესგაფტის სახ. სპორტის აკადემიის ლექტორი. ნიუ-ორლეანის საპატიო მოქალაქე. რუსეთსა და ევროპაში ცნობილი ფოტოხელოვანი.

12. __ავთანდილ მიქავა__ – ექიმი და იურისტი. სანკტ-პეტერბურგის წმ. მარიამ მაგდალინელის სახ. №2 ბავშვთა საავადმყოფოს მთავარი ექიმი.

13. __შაქრო ბოკუჩავა__ – მხატვარი იმპრესიონისტი. საქართველოს მხატვართა ასოციაციის წევრი, საბჭოთა კავშირის მხატვართა სახლის წევრი, იუნესკოს მხატვართა საერთაშორისო ფედერაციის წევრი. გამოფენები ჰქონდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

*14. **მერაბ ბოკუჩავა** - ხელოვან -ექსპერტი, იუველირი, რუსეთის მხატვართა შემოქმედებითი კავშირის წევრი, მხატვართა საერთაშორისო ფედერაციის წევრი. მონაწილეობდა გამოფენებში რუსეთში, ევროპასა და ამერიკაში.*

*15. **ხათუნა ფერაძე** - ექიმი ინფექციონისტი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, პედიატრიული სამედიცინო აკადემიის ინფექციების კათედრის მეცნიერ-თანამშრომელი. სნგ ქვეყნების ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის კავშირის წევრი.*

*16. **დიმიტრი კუპატაძე** - სანკტ-პეტერბურგის სისხლძღვთა მთავარი ქირურგი და მსოფლიოში ერთადერთი ამბრუაზ პარეს სახ. ბავშვთა ანგიოლოგიური და სისხლძარღვების ქირურგთა ასოციაციის პრეზიდენტი. პროფესორი. ანგიომიკროქირურგიული განყოფილების დამაარსებელი, ათი საკანდიდატო დისერტაციის ხელმძღვანელი. ამერიკის კენტუკის შტატის ქ. ლუივილის საპატიო მოქალაქე.*

*17. **ირინა ჟემჩუჟინა** – საერთაშორისო კლასის ოსტატი მხატვრულ ტანვარჯიშში კლასის ოსტატი, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ჯგუფურ ტანვარჯიშში, ევროპის ჩემპიონი, მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული, ,,მის გიმნასტიკა 1980" ტიტულის მფლობელი, მის ,,სოვეტსკაია ჟენშჩინა" და მის ,,საქართველოს ქალი". ,,ხრუსტალნი ტიულპანის" თასის მფლობელი. პეტერგურგში საესტრადო -სპორტული ცეკვის ჯგუფის ხელმძღვანელი.*

*18. **გია ბაკურაძე** – საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი კარატეში. საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატი, კარატე -დოს მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს თასის მფლობელი.*

*19. **დავით უშვერიძე** – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ორგენტულ ქირურგიაში. წმ. გიორგის სახ. საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილე ქირურგიის დარგში. დოცენტი. 80 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.*

*20. **ოთარ მაკარიძე** – მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი. პავლოვის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტის კარდიოლოგიური ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომელი. გამოქვეყნებული აქვს 40 მეცნიერული ნაშრომი*

*21. **ელგუჯა ლატარია** – მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი. პაკროვსკის საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილე ქირურგიის დარგში. 10 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.*

*22. **სოფიო გელოვანი** – ქართული და რუსული რომანსის ამომავალი ვარსკვლავი. მრავალი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატე. .*

*23. **ოთარ ხურცილავა** – სანკტ-პეტერბურგის დიპლომისშემდგომი განათლების სამედიცინო აკადემიის რექტორი. მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.*

*24. **ნუგზარ ჩხეიძე** – ექიმი აკუშერ -გინეკოლოგი. მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი. კლინიკა ,,ლედი-მედის" ხელმძღვანელი.*

*25. **გიორგი ბაღათურია** – ქირურგი -ონკოლოგი. მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი. პედიატრიული სამედიცინო აკადემიის ონკოლოგიის კათედრის დოცენტი.*

*26. **ოთარ ნიჟარაძე** – ბოტკინის სახ. №30 ინფექციური საავადმყოფოს დირექტორი. დაჯილდოებულია ორი მედლით: მედალი რუსეთის პრეზიდენტის სახელით და მედლით ,,მედიცინის დამსახურებული მოღვაწე"*

*27. **მანანა ჯანაშია** – ექიმი. აკუშერ-გინეკოლოგი. მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.*

შვილები

1. სოფიკო ნიჟარაძე

2. თამრიკო ნიჟარაძე

3. ლანა ცერცვაძე

4. გრეტა ცერცვაძე

სანკტ-პეტერბურგი - ,,წმინდა პეტრეს ქალაქი" _ ასე ითარგმნება ჰოლანდიურიდან რუსეთის ჩრდილოეთში ნევაზე აგებული ულამაზესი ქალაქის სახელი, რომელსაც ,,Северная Пальмира "–საც უწოდებენ. პეტრე დიდმა ფანჯარა გაჭრა ევროპისკენ და თამამად განაცხადა: ,,ჩვენ სიბნელიდან სინათლეზე გამოვედით".

წინათქმა

სანკტ-პეტერბურგი _ ,,წმინდა პეტრეს ქალაქი» _ ასე ითარგმნება ჰოლანდიურიდან რუსეთის ჩრდილოეთში ნევაზე აგებული ულამაზესი ქალაქის სახელი, რომელსაც ,,Северная Пальмира» – საც უწოდებენ. პეტრე დიდმა ფანჯარა გაჭრა ევროპისკენ და თამამად განაცხადა: ,,ჩვენ სიბნელიდან სინათლეზე გამოვედით, ქალაქის მფარველად მეფემ აირჩია ალექსანდრე ნეველი და 1723 წელს მისი ნეშტი ზარ-ზეიმით გადმოასვენა ვლადიმირიდან ალექსანდრე ნეველის მონასტერში. ქალაქის მშენებლობა 1703 წელს დაიწყო. სასტიკი და დაუნდობელი იყო პეტრე რუსეთის აღმშენებლობის გზაზე, პრეობრაჟენსკის დილეგში ერთი პატიმარი ყვიროდა: ,,ეს რა მეფეა? შეუძლებელია, რომ ეს კაცი, ვისთვისაც არაფერია წმინდა იმაში, რითაც ასეული წლებით ცხოვრობს და სჯერა წმინდა რუსეთს, რუსი მშობლების შვილი იყოს. ის ალბათ გერმანელის შვილი». პეტრე I-მა დედაქალაქი პეტერბურგში გადაიტანა და მსოფლიოს გამოუცხადა, რომ დასავლეთში აქტივობის გაზრდით იგი აღმოსავლეთის პოლიტიკაზეც იმოქმედებდა. რუსული ჟურნალისტიკის დასაწყისიც პეტრეს სახელს უკავშირდება. როცა რუსულმა არმიამ შვედებთან მარცხი განიცადა, მეფემ გადაწყვიტა შეექმნა პოლიტიკური და იდეოლოგიური ბრძოლის იარაღი _ დაარსდა პირველი რუსული გაზეთი ,,ვედომოსტ» 1720 წლის 17 დეკემბერს. დღეს იგი გამოდის ,,სანკტ-პეტერბურგსკიე ვედომოსტის» სახელით. პეტრე დიდის ბავშობის უერთგულესი მეგობარი იყო ალექსანდრე ბატონიშვილი. იმერეთის მეფის_ არჩილის ძე. იგი 1674 წელს ათი წლის ასაკში არჩილ II-მ უმცროს ძმასთან მამუკასთან ერთად მოსკოვს გაგზავნა. აქ დაუმეგობრდა იგი რუსეთის უფლისწულს. ახალგაზრდები ჯერ ერთად თამაშობდნენ ომობანას, შემდეგ ერთად სწავლობდნენ საარტილერიო საქმეს და გემთმშენებლობას. ალექსანდრე ბატონიშვილი იყო პირველი ქართველი, ვინც ევროპაში შეისწავლა სამხედრო საქმე. ნარვასთან დამარცხების შემდეგ არჩილი ტყვედ ჩავარდა. პეტრემ მას შეუნარჩუნა ხელფასი და გენერალ ფელცეხმეისტერის წოდება. პეტრე პატივით შეეგება საქართველოდან დაბრუნებულ არჩილ მეფეს მოსკოვში და უბოძა მამულები: ვსესვიატსკოე, სოფელი პახრა, ნიჟეგოროდის მაზრის სამი ვოლოსტი. 1711წელს 20 თებერვალს კუნძულ პიტეოსზე გარდაიცვალა ალექსანდრე ბატონიშვილი. შვედებმა იგი იქვე დაკრძალეს. პეტრემ შემდეგ მეგობარი გადმოასვენა და დონის მონასტერში

დაკრძალა. ერთი კვირის შემდეგ ნოვოდევიჩიდან გადმოასვენეს ალექსანდრეს პირველი ცოლის ფეოდოსია მილოსლავსკის და ალექსანდრეს ორი უმცროსი ძმის _ მამუკას და დავითის ნეშტები. ამით საფუძველი ჩაეყარა XVIIIს-ის ქართველთა პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეთა განსასვენებელს. 1712წელს არჩილმა აქ ეკლესია მოაწყო.

რუსულ-ქართული ურთიერთობები აისახებოდა ქართულ ლიტერატურაში.

XII საუკუნეში დაწერილი ნაწარმოების ,,თამარიანის» ერთ-ერთი პერსონაჟი მოგზაურობს, სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის რუსეთშიც.

XI საუკუნის ისტორიკოსის სუმბატ დავითის ძის თხზულებაში გიორგი პირველის წინააღმდეგ ბიზანტიის კეისარმა რუსთა რაზმი გამოიყვანა.

XI საუკუნის ისტორიკოსი კი წერს, რომ 3 000 კაციანი რუსთა ანუ ვარანგთა ლაშქარი 1047-1053 წლებში საქართველოში ყოფილა და მონაწილეობა მიუღია ლიპარიტ ბაღვაშსა და ბაგრატ IV შორის გაჩაღებულ ბრძოლებში.

XI საუკუნის მეორე ნახევარში ვოლგას და დნეპრს შორის სტეპები დაიპყრეს ყივჩაღებმა, ამით ტამანის ნახევარკუნძულზე რუსებმა დაკარგეს ძალაუფლება და რუსულ-ქართული ურთიერთობებიც დაიკარგა. კიევის მთავარმა ვლადიმერ მონომახმა დაამარცხა ყივჩაღების დიდი ნაწილი და ოტროკის მეთაურობით ,,ობეზში» ანუ საქართველოში გადაიხვეწენ. ოტროკი იყო ათრაქა შარაღანის ძე, აღმაშენებლის სიმამრი, მეფემ ამ მომენტით ისარგებლა და საქართველოში გადმოასახლა 45 000 ყივჩაღი.

1154 წელს კიევის მთავარმა იზიასლავ მსტისლავის ძემ ცოლად შეირთო ქართველი მეფის, დიმიტრი პირველის ასული, ხოლო დიდი თამარი დაქორწინდა ჩრდილოელ უფლისწულზე.

ისტორიული ცნობებით, ქართველი ოსტატები აქტიურად მონაწილეობდნენ რუსეთის ეკლესია-მონასტრების მოხატვაში. XI საუკუნის 80-იან წლებში კიევის ტაძრის მოსახატავად მიიწვიეს ქართველი მხატვრები. ქართულ-სომხური არქიტექტურული მხატვრობის გავლენა იგრძნობა როსტოვ-სუზდალის, ჩერნიგოვის და ნოვგოროდის არქიტექტურაში, ფერწერასა და ხელნაწერებში. ათონის ივერთა მთაზე რუსებსაც ჰქონდათ მონასტერი.

XII საუკუნეში რუსებს და ქართველებს საერთო მტერი გაუჩნდათ _ მონღოლები. ,,ოქროს ურდოში» რუსი და ქართველი მთავრები ერთმანეთს ხვდებოდნენ და უზიარებდნენ ჭირ-ვარამს.

ბიზანტიის დამხობით მონღოლებისგან დასუსტებულ საქართველოს თურქეთმა გზა გადაუკეტა დასავლეთისაკენ, ამას დაემთხვა სპარსეთის ომები, ფეოდალური დაქუცმაცებულობა. რუსეთი, პირიქით, გაძლიერდა. იგი აცხადებდა, რომ მოსკოვი არის ,,მესამე რომი» და ,,მსოფლიო სამეფოს მემკვიდრე», ბიზანტიის შემდეგ ქრისტიანობის ბურჯი. რუსეთმა გაანადგურა თათართა სამეფო ვოლგაზე, კავკასიაში, თერგის პირას ააგო ციხე-სიმაგრე და ჯარი ჩააყენა. კავკასიაში ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდა თურქეთი და რუსეთი. ასეთ დროს, პროგრესულად მოაზროვნე ქართველებისთვის ერთმორწმუნე რუსეთთან ურთიერთობა საჭირო იყო. საქართველო ცდილობდა, რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს დახმარებით აელაგმა მუსულმანური აგრესია.

XV საუკუნის ბოლოდან დაიწყო ელჩების მიმოსვლა მოსკოვში. 1491 წელს კახეთის მეფე ალექსანდრე ელჩებს უგზავნის ივანე მესამეს. 1564 წელს ივანე მრისხანემ ,,მფარველობის ხელი» დაადო და მეციხოვნე ჯარი გამოუგზავნა კახეთის მეფე ლევანს. ამ პოლიტიკას აგრძელებენ ალექსანდრე, თეიმურაზ I, არჩილი, ვახტანგ VI, თეიმურაზ II და ერეკლე II.

რუსულ-ქართული პოლიტიკური ურთიერთობები პეტრე I სპარსული ლაშქრობის შემდეგ გაცხოველდა. 1722 წლიდან ვახტანგ VI რუსეთის სამეფო კარზე ელჩად გაგზავნა ბორის (ბაადურ) თურქესტანიშვილი (თურქესტანოვი).

პეტრესა და ვახტანგ VI ერთობლივი ლაშქრობა სპარსეთზე გადაიდო. დეტალების დასაზუსტებლად მეფემ ზურაბ ხერხეულიძე გაგზავნა პეტერბურგში. რუსეთთან კავშირების გამო ოსმალეთი და სპარსეთი გაუნაწყენდა ვახტანგ VI, რომელიც იძულებული გახდა 1724 წელს ემიგრაციაში წასულიყო. ქართლის მეფემ პეტრე I-ს ცოცხალს ვერ ჩაუსწრო, ასტრახანს დაბრუნდა და იქვე გარდაიცვალა.

1744 წელს ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ II მიდის პეტერბურგში და რუსეთის მეფეს სპარსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში თანადგომას თხოვს. იგი ორი წელი და ხუთი თვე ამაოდ ელოდა პასუხს, ამასობაში გარდაიცვალა და ასტრახანში დაკრძალეს. 1739 წელს იმერეთის მეფე ალექსანდრე V-მ ტიმოთე გაბაშვილი გაგზავნა ელჩად და სთხოვა თურქების წინააღმდეგ დახმარება. სოლომონ I, 1768 წელს ელჩები გაგზავნა რუსეთში, იგი აცნობებდა რუსეთის მეფეს, რომ იმერეთს ბევრი ბუნებრივი სიმდიდრე აქვს, სამაგიეროდ, ითხოვდნენ 25 000-იან ლაშქარს თურქების წინააღმდეგ. ეკატერინე II გამეფების შემდეგ ქართლ-კახეთის მეფეებთან მისიით გამოგზავნეს გრიგოლ ქობულაშვილი, შემდეგ გენერალი ტოტლებენი ჩამოვიდა საქართველოში. 1771 წელს ერეკლე მეორემ პეტერბურგში ელჩობა გაგზავნა: უფლიწული ლეონი და მისი მიძღვარი ანტონ კათალიკოსი, არქიმანდრიტი გაიოზი, რომელიც მოსკოვში დარჩა სწავლის გასაგრძელებლად. 1783 წელს გეორგიევსკის ტრაქტატს რუსეთის მხრიდან ხელს აწერდა გრაფი პოტიომკინი, საელჩოს მარშალი _ აპრაქსინი, პოდპოლკოვნიკი თამარა. ქართული მხრიდან: ირაკლი მუხრანბატონი, გარსევან ჭავჭავაძე, პეტერბურგელი ემიგრანტი- ჩოლოყაშვილი, კაპიტანი სავარსამიძე, არქიმანდრიტი გაიოზი, ქართული საელჩოს მდივანი_ ზაზა გაბაშვილი.

1784 წელს პეტერბურგში შეიქმნა მუდმივი ქართული საელჩო, რომელსაც ხელმძღვანელობდა გარსევან ჭავჭავაძე. მისი მოვალეობა იყო, თვალყური ედევნებინა ტრაქტატის პირობების შესრულებისათვის. ეს იყო პირველი მუდმივმომქმედი საელჩო საზღვარგარეთ. საელჩოს მდივანი იყო გიორგი ავალიშვილი. აქ მუშაობდნენ: ელიზბარ ფალავანდიშვილი, სიმონ ეგნატაშვილი. ელჩთან ერთად ჩამოვიდნენ უფლისწული მირიანი და ანტონი, კაპიტანი არეშიძე.

1784 წელს იმერეთის მეფის დესპანები მაქსიმე კათალიკოსი, წერეთელი და კვინიხაძე გაემგზავრნენ პეტერბურგში. ათი თვე ელოდნენ პასუხს სამეფო კარიდან, მაგრამ ამაოდ. რუსები თურქების გაღიზიანებას არ ჩქარობდნენ. 1787

წელს იმერეთის მეფე დავითმა განსაკუთრებული დიპლომატიური მისია გაგზავნა ბესარიონ გაბაშვილის მეთაურობით. შეხვედრა კრემენჩუგში შედგა. აქ მირგოროდიდან ჩამოსულმა დ. გურამიშვილმა ქართველებს გადასცა ,,დავითიანი».

პირველი ქართველები პეტერბურგში

პეტერბურგის ქართული კოლონიის არსებობა ორ პერიოდად შეიძლება დაეყოთ. პირველი თითქმის ქალაქის დაარსების პერიოდიდან იწყება, მეორე 1801 წლიდან. პირველი კოლონია მცირერიცხოვანი იყო. ემიგრანტებს შორის იყვნენ მწიგნობარი ქართველები, რომლებმაც გარკვეული წვლილი შეიტანეს ქართული კულტურისა და მეცნიერების განვითარების საქმეში. მეორე პერიოდში ქართული კოლონია შეივსო ქართველ ბატონიშვილთა, თავადთა და მათ მსახურთა შემადგენლობით. XIX საუკუნის მეორე ნახევარში იმატა პეტერბურგში სასწავლებლად წასულთა რიცხვმა. ბევრი რჩებოდა იქ და აგრძელებდა მოღვაწეობას რუსულ-ევროპული განათლების მიღების შემდეგ.

რას აკეთებდა ძველი კოლონია პეტერბურგში?

1736-37 წლებში ქართული კოლონია მომძლავრდა. მოსკოვიდან ჩავიდა ბეჭდური საქმის მცოდნე ქრისტეფორე გურამიშვილი. ქართული შრიფტის დამზადებას ხელმძღვანელობდა იოსებ სამებელი. პირველად დაიბეჭდა

რუსულ-ქართული ანბანი და ლოცვები. 1768 წელს გრიგოლ ხარტჩაშნელმა გახსნა ტიპოგრაფია საეკლესიო შრიფტით.

პეტერბურგში მოღვაწეობდა ანტონ კათალიკოსი _ ისტორიული, ფილოსოფიური, გრამატიკული, ლიტერატურული, თეოლოგიური ნაშრომების ავტორი. ვლადიმირის და იერაპოვსკის საეპისკოპოსო კათედრის ხელმძღვანელი 1757 წელს, როგორც პატრიარქის ტოლი, ფეხზე ადგომით მიიღეს.

1735-38 წლებში პეტერბურგში ცხოვრობდა ვახტანგ ორბელიანი, რომელმაც დაწერა ,,ამბავი პეტერგოფისა». ვახუშტი ბაგრატიონი _ ვახტანგ VI-ის უკანონო შვილი დიდხანს ცხოვრობდა პეტერბურგში. მის მიერ გამოცემული ,,საქართველოს გეოგრაფია» თანდართული გეოგრაფიული ატლასით იშვიათობა იყო. პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის დეპარტამენტის დირექტორმა ნ. დელილიმ მის მიერ შედგენილ კავკასიის გეოგრაფიულ ატლასს საფუძვლად დაუდო ვახუშტის რუკები.

რუსეთის პირველი გეოდეზისტი დიმიტრი ციციშვილი შვედებთან ომში დაღუპული ქართველ ჰუსართა კაპიტნის პაატა ციციანოვის შვილი იყო. მან გამოსცა პირველი სახელმძღვანელო გეოდეზიაში.

ცემენტის გამომგონებელი იგორ ჭელიძეც (ჭელიევი) აქ მოღვაწეობდა.

რუსეთის დიპლომატიურ სკოლას პეტერბურგის ქართულმა კოლონიამ მისცა ლაშქარაშვილების გვარის ხუთი გამოჩენილი ადამიანი.

საგარეო საქმეთა კოლეგიაში მუშაობდნენ: თომა ბარათაშვილი, ბართლომე სავარსამიძე და სვიმონ ეგნატაშვილი. გამოჩენილ ქართველთა შორის იყვნენ: გიორგი ავალიშვილი _ დიპლომატი, მოგზაური, დრამატურგი და მთარგმნელი, ქართული საელჩოს მდივანი და სამხედრო პირები: ბოროდინოს გმირი -პეტრე ბაგრატიონი და სიმონ ბაგრატიონი; გენერალ-მაიორი თურქესტანიშვილი, პოლკოვნიკი დავითაშვილი, პოდპოლკოვნიკი ბარათაშვილი, სიმონ ჩოლოყაშვილი, ძმები იაშვილები, სამი ძმა ფანჩულიძეები, ანტონ შალიკაშვილი, ალექსანდრე ბაგრატიონი. მათ გვარებს რუსულ სამხედრო ენციკლოპედიებში ამოიკითხავთ. ისტორიკოსი პოტო წიგნს უძღვნის ბუჩკიაშვილების გვარს. წერს მათ საომარ ტრადიციებზე, საარაკო მამაცობაზე.

დადგა XIX საუკუნე, ერთმანეთის მიყოლებით გაუქმდა ქართული სამთავროები. პეტერბურგს ემიგრაციის ახალი ნაკადი შეუერთდა. პოტიომკინმა პატივით მიიღო ერეკლე II-ს შთამომავლები: დავით, იოანე, ბაგრატი და მიხეილი. ბატონიშვილების ამალას თან ახლდა გაბრიელ რატიშვილი და ნიკოლოზ ონიკაშვილი.

1802 წელს კავკასიის მთავარმმართებელი გახდა პავლე ციციანოვი. მან მთელი სამეფო ოჯახი გახიზნა რუსეთში, რადგან თვლიდა, რომ ,,ბატონიშვილები თავიანთი ინტრიგებით წეწავდნენ ქვეყანას». ციციანოვი ცნობილია იმითაც, რომ მან გამოითხოვა ნებართვა ქართველი ახალგაზრდები რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში გაეგზავნათ.

1803-1805 წლებში საქართველოდან რიგრიგობით წავიდნენ ტახტის კანონიერი მემკვიდრეები: დავითი, ბაგრატი, ვახტანგი, იულონი და

ფარნაოზი. მათთან ერთად გიორგი XII-ის მეუღლე მარიამ დედოფალი. იგი ბრალდებული იყო გენერალ ლაზარევის მკვლელობის საქმეში. 1810 წელს პეტერბურგში ჩავიდა შვიდი წლის განმავლობაში ირანის სამეფო კარსშეკედლებული თეიმურაზ ბატონიშვილი. სხვადასხვა დროს პეტერბურგში ჩავიდნენ იმერეთის მეფის დავით გიორგის ძის მეუღლე _ანუკა, რომელიც ევედრებოდა რუსეთის მეფეს სოლომონ მეორის მიერ მძევლად დატოვებული შვილის კონსტანტინეს გამოხსნას. 1807 წელს პეტერბურგში ჩავიდა სოლომონ მეორის მიერ დარბეული გიორგი ალექსანდრეს ძე, შემდეგ მისი მეუღლე დარეჯან დედოფალი ორი მცირეწლოვანი შვილით. 1811 წლიდან პეტერბურგშია ოდიშის დედოფალი ნინო, გრიგოლ დადიანის მეუღლე და მათი შვილი გიორგი XIII. 1818 წელს კი სოლომონ მეორის მეუღლე მარიამ დადიანი და მისი და მელქისედეკ ანდრონიკაშვილის მეუღლე.

1812 წლიდან რუსეთის სახელმწიფოს საბჭოს ბრძანებით სამეფო საგვარეულოს წარმომადგენლებს დაენიშნათ გადიდებული პენსია. სამისამართო კალენდრებში მითითებული იყო საცხოვრებელი მისამართები, მათი ბინები ქალაქის ცენტრალურ რაიონებში იყო. ახალი ჩასულების უდიდესი ნაწილი დასახლდა ვასილის კუნძულზე. წმ. ანდრიას ტაძრის ეზოში მათ დააარსეს ქართული ეკლესია. ქართველი ბატონიშვილების პატივი რუსეთში ეთანაბრდებოდა რუსეთის უმაღლესი არისტოკრატიული წოდების პრივილეგიებს, ამიტომ ისინი ყურადღების ცენტრში მოექცნენ. ბევრი მათგანი გახდა სენატორი ან სხვა მრავალი ტიტულის მფლობელი. პეტერბურგის ქართულმა კოლონიამ გააერთიანა ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილი ტახტის მაძიებლები.

XIX ს-ის ქართველებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ორგვარი ინტერესი ჰქონდათ. თუ ერეკლეს შთამომავლობამ კულტურულ-ლიტერატურულ საქმიანობაში გამოიჩინა თავი, იმერელ ბაგრატიონებს სამხედრო კარიერა ხიბლავდათ და იმპერატორის ერთგულებით გამოირჩეოდნენ. ალექსანდრე და დიმიტრი ბატონიშვილებს ნიკოლოზ პავლეს ძემ ბაგრატიონის სახელი შეუნარჩუნა. მათი მამა გიორგი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონი, ავტორი პოემისა ,,ხუმბარდიანი», სიცოცხლის ბოლომდე პეტერბურგში ცხოვრობდა. დაკრძალულია ალ. ნეველის მონასტრის ეზოში.

ქართველთა კულტურულ-ისტორიული საქმიანობიდან

1805 წელს დავით ბატონიშვილმა გამოსცა ისტორიული თხზულება, რომლითაც იგი აცნობს რუსულ საზოგადოებას ქართველთა ისტორიას, აწარმოებს პოლემიკას ქართველთა ზნე-ჩვეულებათა და კულტურის საკითხებზე. იგი ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობასაც. 1819 წელს 53 წლის ასაკში გარდაიცვალა დავით ბატონიშვილი. მის საფლავს ალ. ნეველის ლავრაში ამკობს ეპიტაფია: ,,**მე თავი მაქვნდა მამულისა სახმარად, რომელმან საქმით არაერთხელ ვაჩვენე».**

1912 წელს პეტერბურგში გამოვიდა ვახტანგ ბატონიშვილის ნაშრომი, სადაც იგი აყალიბებს თავის შეხედულებებს სამეფოს, სახელმწიფოს, ემიგრანტების შესახებ, ხოლო 1815 წელს თეიმურაზ ბატონიშვილი წერს მოკლე ისტორიულ თხზულებას. ვახტანგ მეფის კანონების თარგმნაზე პეტერბურგში მუშაობდნენ დავით ჩოლოყაშვილი, მირიან და დავით ბატონიშვილები.

ქართული კოლონიის სული და გული იონა ხელაშვილი ქართული სამეფო ოჯახის წევრების სულიერი მოძღვარი იყო. მან დაამთავრა ალ. ნეველის სასულიერო აკადემია. მისი ფილოსოიური თხზულებებია ,,რონინი» და ,,ოცდათოთხმეტი კითხვა». საინტერესოა, აგრეთვე, მისი ფერწერული ტილო ,,საქართველო».

1810-29 წლებში იქმნება იოანე ბატონიშვილის ,,კალმასობა», მთავარი გმირია იონა ხელაშვილი, რომლის თხოვნით ბატონიშვილი ადგენს ქართული ენის გრამატიკას.

გოდერძი ფირალოვის მიერ შედგენილი რუსული ენის თვითმასწავლებელი პეტერბურგელი ქართველებისთვის პირველი სახელმძღვანელო იყო. მანვე თარგმნა რუსულ ენაზე ,,ვეფხისტყაოსანი» და სამკურნალო წიგნი. 1831 წელს გრიგოლ ორბელიანი სტუმრად იმყოფებოდა ბატონიშვილებთან. ლექსი ,,იარალის» მუზა _ იარალი შანშიაშვილი _ პეტერბურგის ბატონიშვილების კარის მგოსანი იყო. 1832 წლის შეთქმულების იდეაც პეტერბურგელ ბატონიშვილებში ჩაისახა. საიდუმლო ანბანიც და ,,აქტი გონიერიც» იქ შეიქმნა. 1857 წელს ეკატერინე ჭავჭავაძე ჩავიდა პეტერბურგში და დაბინავდა გენერალ იურკევიჩის ბინაზე. აქ გადასცა მან ილიას ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები. ეკატერინე ჭავჭავაძის სალონში იკრიბებოდა მთელი ქალაქის არისტოკრატია.

პეტერბურგში მოღვაწე მუსიკალური და სცენოგრაფიული ხელოვნების წარმომადგენლები

პეტერბურგი ყოველთვის იყო მუსიკალური და სცენოგრაფიული ტრადიციების ავანგარდში. პიანისტთა ნაციონალური სკოლის დამაარსებელი იყო ალოიზ მიზანდარი. პედაგოგი და დირიჟორი ხარლამპი სავანელი პეტერბურგის ახლადგახსნილი კონსერვატორიის ერთ-ერთი პირველი კურსდამთავრებული იყო. მიხეილ თუშმალიშვილი _ მუსიკოსი, პედაგოგი და დირიჟორი პეტერბურგის მუსიკალურ ტრადიციებზე აღიზარდა.

გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის მელიტონ ბალანჩივაძის ოჯახმა ხელოვნების ორი დიდი მოღვაწე აღზარდა: ანდრეა ბალანჩივაძე _ გამოჩენილი კომპოზიტორი, ქართული საბალეტო მუსიკის ფუძემდებელი და ჯორჯ ბალანჩინი _ პეტროგრადის ქორეოგრაფიული სასწავლებლის კურსდამთავრებული, თანამედროვე ამერიკული საბალეტო სკოლის დამაარსებელი და მისი ხელმძღვანელი. პეტერბურგს უკავშირდება კონსტანტინე ფოცხვერაშვილის და კონსტანტინე მეღვინეთუხუცესის

ცხოვრება. კომპოზიტორი ანატოლი ჭიკლაშვილი, სამწუხაროდ, ახალგაზრდა გარდაიცვალა. ხოლო ილია აბაშიძემ, წარმატებულმა კომპოზიტორმა, ახალგაზრდობაში ხელი დაიზიანა და იძულებული გახდა უარი ეთქვა მუსიკოსობაზე.

სცენა

დედაქალაქის სახელმწიფო თეატრის სცენებზე ხშირად გამოდიოდა ბრწყინვალე ვოკალისტი ფილიმონ ქორიძე, პირველი ქართველი, რომელმაც განათლება მიიღო იტალიაში და მღეროდა მილანის ,,ლა სკალაში».

პეტერბურგში მიიღო განათლება ცნობილმა ლირიკულ-დრამატულმა ტენორმა ივანე სარაჯიშვილმა. იგი იყო იტალიის საოპრეო დასის წევრი, იმ დასის, რომელიც პეტერბურგის საიმპერატორო თეატრს უწევდა კონკურენციას. ივანე სარაჯიშვილი სწავლობდა იტალიაში, მღეროდა მილანის ,,ლასკალაში», საბოლოოდ იგი დამკვიდრდა საქართველოში.

პეტერბურგში სწავლობდა და მოღვაწეობდა მომღერალი და პედაგოგი ევგენია სარაჯიშვილი. მარიისკის თეატრის სცენაზე მღეროდა სანდრო დოგონაძე.

თეატრალურ საზოგადოებაში ცნობილი იყო ანტრეპრიზიორი ალექსი წერეთელი, აკაკი წერეთლის ვაჟი. ევროპა მას იცნობდა, როგორც გავლენიან თეატრალურ მოღვაწეს. პეტერბურგთან არის დაკავშირებული ქართული სცენის რეფორმატორის კოტე მარჯანიშვილის სახელი. იგი დგამდა სპექტაკლებს მოსკოვის, კიევის, პეტერბურგის თეატრებში. საქართველოში მან დაარსა თეატრი, რომელიც მარჯანიშვილის სახელს ატარებს.

გამოჩენილი მხახიობი და დრამატურგი ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის, პეტერბურგის, ალექსანდრიისკის და მოსკოვის სამხატვრო თეატრის საპატიო წევრი იყო.

დიდი ქართველი დირიჟორი და კომპოზიტორი ივანე ფალიაშვილი, რიმსკი-კორსაკოვისა და ტანევის მოწაფე, 45 წელი დირიჟორობდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრს.

პეტერბურგი იცნობდა ,,მოხეტიალე მუსიკოსს» ილიკო ქურხულს.

სახვითი ხელოვნება

პეტერბურგის ქართული კოლონიიდან ბევრი გამოჩენილი მოღვაწე იყო სახვითი ხელოვნების დარგში. პეტრე გრუზინსკი – ბაგრატიონის ნახატები გამოფენილი იყო ლონდონში, ვენაში, ფილადელფიაში, მოსკოვში პირველ რუსულ გამოფენაზე. ლენინგრადის ცენტრალურ სახელწიფო არქივში დაცული არის მისი 91 ნახატი.

ალექსანდრე შერვაშიძე თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნების გამოჩენილი წარმომადგენელი იყო. პეტროგრადის საიმპერატორო თეატრების მთავარი დეკორატორის ნამუშევრები გაფანტულია ევროპის და რუსეთის თატრალურ მუზეუმებში. 2007 წელს მოეწყო თეატრალურ-დეკორატიული თეატრის ნიმუშების პირველი გამოფენა ,,პეტერბურგში დაბრუნება», რომელიც მიეძღვნა მხატვრის დაბადებიდან ასმეორმოცე წლისთავს.

პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის აღზრდილები იყვნენ გამოჩენილი ქართველი მხატვრები: გიორგი მაისურაძე, რომანოზ გველესიანი, ივანე გუგუნავა, გიგო გაბაშვილი, მოსე თოიძე, ვასილ ბალანჩივაძე, დავით კაკაბაძე და ალექსანდრე თარხნიშვილი.

პირველი ქართული სათვისტომო

პირველი ქართული სათვისტომო შეიქმნა 1861 წელს და მას ილია ჭავჭავაძე ხელმძღვანელობდა. სათვისტომო არა მარტო ზრუნავდა სტუდენტებზე, არამედ აღვივებდა პატრიოტულ სულისკვეთებას. მას ჰქონდა სალარო, ბიბლიოთეკა, წესდება და ამხანაგური სასამართლო. საღამოები იმართებოდა ყველაზე საუკეთესო დარბაზში _ სათავადაზნაურო დარბაზში.

ქართველი და რუსი ინტელიგენტები ერთმანეთს ხვდებოდნენ არა მარტო საღამოებზე არამედ ოჯახურ სალონებშიც. ასეთი იყო ბაგრატიონების სახლები და კომპოზიტორ ბალანჩივაძის ბინა. თერგდალეულთა თაობამ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ფართო საგანმანათლებლო საქმიანობა წამოიწყო, ააფრიალა ეროვნულ-განმათავისუფლებელი დროშა. სწორედ აქ დაიბადა ,,თერგდალეულთა» იდეები.

1869 წელს პეტერბურგის უნივესიტეტის კურსდამთავრებულებმა იზეიმეს დედა უნივერსიტეტის არსებობის ნახევარი საუკუნე. ამის შემდეგ ყოველ 8 თებერვალს იკრიბებოდნენ. 1873 წელს ასეთ შეკრებაზე მათ გადაწყვიტეს თავიანთი ხარჯით გაეგზავნათ პეტერბურგში ერთი ახალგაზრდა სასწავლებლად.

პეტერბურგელმა ქართველებმა განადიდეს რუსეთი ყველა სფეროში, მათ დიდი წვლილი შეიტანეს ქართულ-რუსული სულიერი კულტურის გამდიდრებაში. XX ს-დან პეტერბურგის ქართული კოლონია შეთხელდა, მათი წევრები რიგრიგობით ტოვებდნენ ქალაქს და სამშობლოში ბრუნდებოდნენ. თუმცა ტრადიციები, კულტურულ-საზოგადოებრივი კავშირები რჩებოდა და მან ახალი იერი მიიღო საუკუნის ბოლოს.

ჩემი მოგზაურობის მიზანი იყო მენახა, როგორია დღევანდელი სათვისტომო პეტერბურგში, როგორ ცხოვრობენ ქართველები, რითი სუნთქავენ, რა არის მათთვის მთავარი, როგორ ზრდიან შვილებს, როგორ მოხდება მათი ინტეგრაცია სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაში.

ბადრი კაკაბაძე

სანკტ-პეტერბურგის ქართული სათვისტომო ,,ივერია”

სოციალიზმის წლებში, როცა ყველა ჩვენგანის მისამართი საბჭოთა კავშირი იყო, ქართველები სანკტ-პეტერბურგში ცდილობდნენ თერგდალეულთა იდეები აეღორძინებინათ. 1966 წელს ქართველთა ჯგუფმა ილია ლეზგიშვილის ხელმძღვანელობით გაზეთ ,,სხივის” ორი ნომერი გამოუშვა. 80-იანი წლების ქართველმა სტუდენტობამ ისევ სცადა სათვისტომოს ჩამოყალიბება. პეტერბურგის ეთნოგრაფიის მუზეუმის შენობაში იკრიბებოდნენ, ხოლო 1989-90 წლებში კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება ,,ივერია” ოფიციალურად დარეგისტრირდა, რომლის სათავეებთან იყვნენ პეტერბურგში მცხოვრები ქართველები: პრ. მიხეილ ორჯონიკიძე, ექიმები: ვალია სიხარულიძე, არისტო ბაგრატიონი, თემურ და ზაზა შენგელიები, ჯურნალისტი ნანა ზარნაძე, მხატვრები: ნუგზარ ჭაღალიძე, ვახტანგ მუკბანიანი, ნუგზარ კახიანი, თამაზ შაიშმელაშვილი, ინჟინრები: რეზო გოგელია, მიხეილ გობეჯიშვილი, მარიისკის თეატრის სოლისტი გიორგი ვახანია. სტუდენტები: კახაბერ და დავით გიორგაძეები, ნუგზარ ხონელიძე, ჯონი შამათავა, ჯონი გაბიანი, ნონა ჯანგველიძე, ნოდარ და ლალი ბასილაძეები, პეტრე ხონელიძე, ნარგიზა სოხაძე, მაია და მაკა კახელები, ზურაბ ტაბუცაძე, თამარ ხიზანიშვილი, ვასო ჯაფარიძე და სხვები. 1992 წლიდან საზოგადოება ასე იწოდება: რეგიონული საზოგადოებრივი ორგანიზაცია სანკტ-პეტერბურგის ქართული სათვისტომო ,,ივერია”. პრეზიდენტად არჩეული იქნა ბადრი დავითის ძე კაკაბაძე. დაიბადა 1959 წელს წყალტუბოში. დაამთავრა ხონის I საშუალო სკოლა. სწავლა განაგრძო ლენინგრადის სამაცივრო მრეწველობის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში და მუშაობა დაიწყო ლენინგრადის სამაცივრო კომბინატ ,,პეტროხოლოდში”. გაიარა

გზა ინჟინერ-ტექნოლოგიდან გენერალურ დირექტორობამდე. მართლმადიდებლური ქრისტიანობის წინაშე გაწეული დიდი ღვაწლისათვის რუსეთის სინოდისა და რუსეთის პიროვნებათა პალატის გადაწყვეტილებით 1999 წელს ბ. კაკაბაძე დაჯილდოვდა წმ. გიორგის I ხარისხის ორდენით და მიენიჭა თავადის წოდება. ამავე წელს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით დაჯილდოვდა ღირსების ორდენით პეტერბურგში ქართული სათვისტომოს ჩამოყალიბების ორგანიზაციაში აქტიური მონაწილეობისათვის, ქართველი და რუსი ხალხების მეგობრობის განმტკიცებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

– ბატონო ბადრი, სათვისტომოს პრეზიდიუმი დროდადრო ანგარიშს აბარებს პეტერბურგელ ქართველობას და მთლიანად საქართველოს. მაინც რითი ამაყობთ?

– ყველაზე საამაყო საქმე ქართული ეკლესიაა, მაგრამ მარტო ჩემი მონდომება არ იყო საკმარისი. ჩემს გვერდით იყვნენ ჩემი ქველმოქმედი მეგობრები. გია გვიჩია, სოსლან ხარებოვი, სოსო კუტალია, ბორის ბერულავა, ჯამბულ გადელია. მათთან ერთად ენერგიასა და შესაძლებლობებს არ იშურებნენ ეკლესიის ოცეულის თავჯდომარე არისტო ბაგრატიონი, მამა გიორგი (სხირტლაძე), ეკლესიის პირველი წინამძღვარი მამა რომანოზი (ომარ ვეფხვაძე), მამა მაქსიმე (მურთაზ ჭანტურია), ხატმწერი ზაურ ცხადაია, მგალობლები ნინო ბზიშვილი, ია ჯარიაშვილი, თამარ გოძიაშვილი და ელმირა შანავა. ყველა ფიზიკურადაც ვშრომობდით. სათვისტომოს კარი არსებობის პირველი წლებიდანვე ღია იყო აფხაზეთიდან დევნილთათვის. 1992-94 წლებში 5000- მდე ლტოლვილმა გაიარა რეგისტრაცია საქართველოს მუდმივ წარმომადგენლობასა და სათვისტომოში. შეჭირვებულთა ერთ-ერთი საზრუნავი ბავშვთა სწავლა -განათლების საკითხიც იყო. აუცილებელი გახდა სკოლის გახსნა. ეს მოხდა 1995 წ*ე* ლს. სათვისტომოს გამგეობა ყველანაირად ცდილობდა პეტერბურგის ტელევიზიისა და პრესის საშუალებით სიმართლე და მხოლოდ სიმართლე ეუწყებინა საქართველოს შესახებ. 1992 წელს, ომის დროს პეტერბურგელმა ქართველებმა შეაგროვეს ჰუმანიტარული ტვირთი, რომელიც ზუგდიდსა და სოხუმში ჩაიტანეს. ტვირთს ახლდნენ მიხეილ ორჯონიკიძე, არისტო ბაგრატიონი, ჯუმბერ გადელია და ჯუმბერ ქარჩავა. 1995 წელს ქართული სათვისტომოს ხელშეწყობით გამოიცა წიგნი ,,Распятая Грузия” რომლის ავტორები არიან ბესიკ ფიფია და საქართველოს ყოფილი წარმომადგენელი საპარლამენტთაშორისო ასამბლეაში ზურაბ ჩიკვილაძე. სათვისტომომ ოფიციალური წერილით მიმართა რუსეთის მაშინდელ პრეზიდენტს ბორის ელცინს აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ. 1999 წელს ქართულ ეკლესიაში აღევლინა პანაშვიდი აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ჟიული შარტავას სულის მოსახსენიებლად. მამა რომანოზმა შეკრებილთ მოუთხრო, რომ ერთი კვირით ადრე, ვიდრე ის ტრაგიკული 27 სექტემბერი დადგებოდა, ბატონმა ჟიულიმ აფხაზეთის სამღვდელოებასთან ერთად ყველა სასაფლაო მოინახულა და ყველგან დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდები გადაიხადეს. საქართველოში დატრიალებულ 9 აპრილის ცნობილ მოვლენებზე პირველი საპროტესტო აქცია 1989 წლის მაისში გაიმართა. მიტინგის ორგანიზატორები იყვნენ ვალენტინა სიხარულიძე, ნუგზარ

ხონელიძე, ნოდარ ჭაღალიძე. 1992 წლიდან ტრადიციად იქცა 9 აპრილის ტრაგედიის მსხვერპლთა სულების მოსახსენიებლად პანაშვიდის გადახდა. 1998 წელს რეჟისორმა ირინა ბოკუჩავამ გია გვიჩიას ფინანსური მხარდაჭერით გადაიღო ფილმი, რომელიც 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას მიეძღვნა. 1999 წელს ჟურნალისტთა სახლში ერთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა პეტერბურგელი ჟურნალისტის იური ალეინიკოვის ფოტონამუშევართა გამოფენა, რომელიც სათვისტომოს დახმარებით მოეწყო. 1989 წლის აპრილში ბორჯომში სამკურნალოდ ჩამოსულ იური ალეინიკოვს დაავიწყდა ავადმყოფობა. იგი ფოტოაპარატით ხელში დადიოდა თბილისის ქუჩებში და აღბეჭდავდა 9 აპრილის მოვლენებს. სათვისტომომ ასევე ტრადიციად აქცია საქართველოს დამოუკიდებლობის დღის - 26 მაისის აღნიშვნა. ზეიმში მონაწილეობენ ფოლკლორული, ქორეოგრაფიული ანსამბლები, თბილისიდან მოწვეული ხელოვნების მუშაკები. სათვისტომომ დიდი წვლილი შეიტანა პეტერბურგის უნივერსიტეტში არმენოლოგია - ქართველოლოგიის კათედრის აღდგენის, კაბინეტის მოწყობის, სტუდენტების სტაჟირების, წიგნებითა და სახელმძღვანელოებით მომარაგებაში.



ფოტო-ალბომი პატრიარქზე

1995 წელს ჟურნალისტთა სახლში სათვისტომო ,,ივერიამ” რუსეთის მწერალთა კავშირთან ერთად საზეიმოდ აღნიშნა საიუბილეო საღამო, დააფინანსა პოეტის ლექსების ერთტომეულის გამოცემა. ყველაზე მნიშვნელოვანი არის უნატერესსა და უწმინდესზე გამოცემული წიგნი ,,პატრიარქი”. დამთავრების სტადიაში არის ,,ვეფხისტყაოსნის” ორტომეულის გამოცემა, რომელშიც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ტატიანა ნიკოლსკაიას. 1998 წელს 21-26 აპრილს პეტერბურგის თეატრალურმა საზოგადოებამ ჩაატარა ფესტივალი - რობერტ სტურუას სპექტაკლები. სათვისტომომ გაითვალისწინა ეკონომიკური პრობლემები და ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ქართული დიასპორის

ღირსეულ წარმომადგენლებს, აფხაზეთიდან დევნილებსა და სტუდენტებს სპექტაკლებზე დასწრება შესძლებოდათ. ჩვენივე ხელშეწყობით ორჯერ მოეწყო დავით კვაჭაძის ფოტონამუშევრების გამოფენა. 1996 წელს პეტერბურგის ქართულ ეკლესიას სტუმრად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი და საქართველოს საპატრიარქოს დელეგაცია ეწვია. ეს იყო ჩვენი მრევლის უდიდესი დღესასწაული. სათვისტომომ მონაწილეობა მიიღო კიდევ ერთ საინტერესო ღონისძიებაში. 1999 წელს პასტერის სახელობის მიკრობიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთავარ კორპუსს ექიმ თამაზ ფერაძის სახელი მიენიჭა. მემორიალის გახსნას ესწრებოდა უამრავი სტუმარი. დავამკვიდრეთ სათვისტომო ,,ივერიის" საპატიო წევრებად არჩევის წესი.
მათ მივაკუთვნებთ ქართველებს, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ორგანიზაციის ჩამოყალიბების, რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის განმტკიცებაში: მ. ორჯონიკიძეს, გ. გვიჩიას, ო. ჯალიაშვილს, ა. ბაგრატიონს, კ. გიორგაძეს, ს. ხარებოვს, ა. ბუთხაშვილს, ს. კუტალიას, ბ. ბერულავას და გ. კუხალიშვილს.

ბადრი კაკაბაძე და ნათია გოგიტიძე

- უკვე 23 წელია პეტერბურგში ვცხოვრობ. ყოველთვის ვთვლიდი და სათვისტომოს მუშაობასაც ამ განწყობას ვუდებდი საფუძვლად. ერთია საქართველოს სიყვარული და მეორეა იმ ქვეყნის, იმ ქალაქის პატივისცემა, ვინც ფეხზე დაგაყენა, უმაღლესი განათლება მოგცა და ცხოვრების ასპარეზზე გამოგიყვანა. მთავარია, იყო ქართველი შენი ადამიანობით, ზნეობით, მორალით, სიკეთისა და ქრისტიანული სიყვარულის მთესველი ყველგან და ყველაფერში. ერთი წლის წინ, როცა უკიდურესად დაიძაბა რუსულ-ქართული ურთიერთობები, მთელი სათვისტომო, მთელი ქართველობა ექსტრემალურ რეჟიმში ვცხოვრობდით. ვეძებდით დაკავებულ ქართველებს, ყველას სხვადასხვანაირად სჭირდებოდა დახმარება. ძალიან განვიცადე გარდაცვლილი ქართველი ქალბატონის გამო, მას ჯანმრთელობის პრობლემა ჰქონდა და არ დაუჯერეს. ჩვენდა სავალალოდ, არ გვქონდა დამცავი სამართლებრივი

მექანიზმი ჩვენი მოქალაქეების პრობლემების მოსაგვარებლად. ქართული საკონსულოს ოფიციალური წარმომადგენლობა, რომელსაც გიზო კუხალაშვილი ხელმძღვანელობდა, გაუქმდა საგარეო საქმეთა მინისტრის სალომე ზურაბიშვილის ბრძანებით. წარმოიდგინეთ აქაური ემიგრირებული ქართველის მდგომარეობა, რომელსაც საბუთები არ აქვს წესრიგში, უნდა ჩავიდეს მოსკოვში, გზაში შეიძლება პრობლემები შეექმნას. საკითხი თავის დროზე ბატონ გელა ბეჟუაშვილთან დავაყენეთ, მაგრამ დღემდე არ წყდება, დღეს ჩვენი თანამემამულეების პრობლემების მოგვარება გვიხდება პირადი ნაცნობობით. 2000 წელს ბორის ბერულავამ დააარსა ორგანიზაცია ,,ერთა ლიგა“, რომელიც შეძლებისდაგვარად ზრუნავს იძულებით გადაადგილებულ პირთა იურიდიული სტატუსის გაფორმებაზე, პატიმარი ქართველების მდგომარეობაზე. იმედი გვაქვს ორი ქვეყნის ურთიერთობები მოგვარდება. საქართველომ მძიმე წლები გადაიტანა, ადრე ვფიქრობდი მარტო ვერ იარსებებს-მეთქი, მაგრამ ბოლო ოთხმა წელიწადმა დაგვანახა, რომ საქართველოს ახალგაზრდა პრეზიდენტი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აზროვნების კაცია. საქართველო კი აუცილებლად გახდება აღთქმული ქვეყანა. ყოველთვის მინდოდა ვყოფილიყავი ჭეშმარიტი ქართველი. ქართული ტრადიციების ერთგული ვარ და ამას ჩემს მშობლებს ვუმადლი. შრომას მიმაჩვიეს; ჩემი ოჯახი არ იყო უსახსრო, მაგრამ ყველა ვშრომობდით. ვცდილობ მამაპაპური ჩვევები შვილებს ჩავუნერგო. ამაში მეუღლეც – ნატო ტურაბელიძე-კაკაბაძისაც მეხმარება. იგი პროფესიით ექიმი-პედიატრია გამოქვეყნებული აქვს მეცნიერული პუბლიკაციები. ხელმძღვანელობდა ორგანიზაციას ,,საქართველოს ქალები სიცოცხლისა და მშვიდობისათვის”. - პეტერბურგში აღიზარდნენ ჩემი შვილები- ნათია და დათო კაკაბაძეები. მიუხედავად დაძაბული ცხოვრების რიტმისა, ყოველთვის ვცილობდით და ვახერხებდით ჩვენი შვილები ქართველები ყოფილიყვნენ. პეტერბურგის სკოლა გაიარა ჩემმა ძმამ - დავით კაკაბაძემ. ის სამტრედიის მთავარი ქირურგი იყო. სამწუხაროდ, 1993 წელს ავტოკატასტროფაში დაიღუპა.

- ბატონო ბადრი, პეტერბურგის ქართველობაში თქვენს ნაკვალევზე ვიარე და ეს სიკეთის კვალი იყო. ყველას და ყველაფერს თქვენი ხელი ატყვია. როგორ წვდებით ამდენ ადამიანს?

- მოსმენა შემიძლია. როცა კაცი მოდის შენამდე, რაღაც უჭირს და ურთიერთობა სურს. უნდა დააცადო, ბოლომდე გითხრას სათქმელი. უდიდესი სიამოვნებაა, როცა ადამიანს პატივს სცემ. ყველას? რომ არა ჩემი უძვირფასესი მეგობრები, თანამებრძოლები და თანამოაზრენი, ყველას როგორ გავწვდებოდი. სათვისტომოს საქმიანობის შესახებ ჩვენი პრესცენტრი ხელმძღვანელი ქალბატონი ნანა ზარნაძე ქართულ და რუსულ პრესაში მასალებს აშუქებს. ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი, დროს მოაქვს შეკვეთები. მინდა ახალგაზრდები ჩაერთონ სათვისტომოს მუშაობაში.

ქართულ-რუსული ურთიერთობების შემსწავლელი ცენტრი „ადამიანი”

ვახუშტი ფარცვანია

2005 წელს სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტისა და თსუ-ს ბაზაზე დაფუძნდა საქართველო-რუსეთის ურთიერთობების შემსწავლელი სამეცნიერი-კულტურული ცენტრი „ადამიანი”. მის საქმიანობას საქართევლო-რუსეთს შორის არსებული ურთიერთობების შესწავლა და ადამიანის პრობლემების კვლევის სფეროში ქართული და რუსული მხარეების სამეცნიერო კოოპერირება შეადგენდა. ცენტრის შექმნა დროის მოთხოვნა იყო. უკანასკნელმა ათწლეულმა დაგვარწმუნა, რომ მეცნიერება, როგორც განცალკევებული ნაციონალურ-პოლიტიკური წარმონაქმნი, საგრძნობლად გაღარიბდა. არ ტარდებოდა ერთობლივი კონფერენციები, სადაც ტრადიციულად მყარდებოდა კავშირები, კონტაქტები. კვლევითი ლიტერატურა მისი შექმნის ადგილებზე რჩებოდა, არ ვრცელდებოდა ფართო სამეცნიერო წრეებში. პოსტსაბჭოური სივრცის მეცნიერებმა პრაქტიკულად არ იციან ერთმანეთის მიღწევების შესახებ. უფრო მეტიც, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჰუმანიტარული მეცნიერება ნაციონალურ შეფერილობას იღებს, თუმცა იგი სინამდვილეში არ მოიცავს საზღვრებს სივრცესა და დროში და ზოგადსაკაცობრიო მონაპოვარია. ასეთ დროს მეცნიერებათა ინტეგრაცია ცდილობს აღდგეს შეწყვეტილი კავშირები სამეცნიერო სკოლებს შორის, ჩატარდეს ერთობლივი კონფერენციები, მომზადდეს პუბლიკაციები, მხარი დავუჭიროთ თანამშრომლობის პერსპექტიულ პროგრამებს. წინ წამოვწიოთ არსებული ინტელექტუალური კაპიტალი სართაშორისო ბაზარზე მსოფლიო საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის. გასული საუკუნის 70-იან წლებში ღრმა კრიზისი დაიწყო ფილოსოფიაში, მაგრამ ქართველ ფილოსოფოსებს ერთი

წუთითაც არ შეუწყვეტიათ ადამიანთმცოდნეობის თეორიული საკითხების გამოკვლევა. ამ წლებშივე მეცნიერებაში ახალი მიმართულება გაჩნდა - ადამიანის პრობლემების პოლიტეკონომიური დასაბუთება. ამ ნოყიერ ნიადაგზე წარმოიშვა ჯერ ლაბორატორიის, შემდეგ ადამიანის პრობლემის კვლევის ინსტიტუტის შექმნა. ეს იდეა განხორციელდა პეტერბურგში ქართველი მეცნიერის ვ. ფარცვანიას ინიციატივით. პეტერბურგელი ანთროპოლოგების დიდი მხარდაჭერით. ფილოსოფიური საზოგადოების ბაზაზე შეიქმნა ,,რუსულ-ქართული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი ,,ადამიანი". ცენტრის მთავარი დანიშნულებაა ადამიანის კვლევის არამარტო თეორიული პრობლემები, არამედ რუს და ქართველ ხალხებს შორის მეგობრული ურთიერთობების აღდგენა-განმტკიცების პრაქტიკული ხელშეწყობა. არსებობის ხანმოკლე პერიოდში ცენტრმა კოლოსარული სამუშაო შეასრულა: გამოქვეყნდა ორი მონოგრაფია, დაიბეჭდა რუს და ქართველ მეცნიერთა სტატიების რვა კრებული, სანკტ-პეტრებურგის დაარსების 300 წლისთავთან დაკავშირებით მაღალპოლიგრაფიული და მხატვრული გაფორმებით დაიბეჭდა წიგნი ,,ქართულ-რუსული მაცნიერულ-კულტურული კავშირები სანკტ- პეტერბურგის ისტორიაში" მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ცენტრის მიერ ჩატარებული სიმპოზიუმი: `რუსეთი და საქართველო: დიალოგი და კულტურათა ნათესაობა". ბოლო თხუთმეტი წლის მანძილზე ეს იყო ერებს შორის ასეთი ღია საუბრის პირველი ცდა. სიმპოზიუმის ორგანიზებაში მონაწილეობა მიიღო ცენტრმა ,,ადამიანი", საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ, პეტერბურგისა და თბილისის უნივერსიტეტებმა. სიმპოზიუმის მონაწილენი შეთანხმდნენ, რომ აუცილებელია რუსულ-ქართული სამეცნიერო-კულტურული და ადამიანური კავშირების აღდგენა. იმ კავშირების, რომელთაც ღრმა ისტორიული ფესვები აქვთ. ურთიერთობები ეყრდნობა ჩვენი ერების მართლმადიდებლურ ფასეულობებს, საერთო ისტორიულ ბედს. ფორუმის მონაწილეებმა ერთხმად გადაწყვიტეს, რომ ინიციატივამ ორგანიზაციული ფორმა უნდა მიიღოს, ეს კი შესაძლებელია ორივე ქვეყნის გავლენიანი პოლიტიკური ძალების მხარდაჭერით. 2003 წელს პეტერბურგის საიუბილეო დღეებში შედგა წიგნის ,,Грузино-росииские научно-культурные связи в истории Санкт-Петербурга" პრეზენტაცია და ცენტრის შექმნიდან ორი წლისთავი. სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება მიმართონ რუსეთის და საქართველოს მთავრობებს სტრუქტურული სახელმწიფო ერთეულის სახით ჩამოყალიბდეს ცენტრი, მაგრამ რთული პოლიტიკური სიტუაციის გამო ეს იდეა ვერ განხორციელდა. 2004 წელს ზუგდიდში ჩატარდა სიმპოზიუმი თემაზე: ,,ადამიანი: ნაციონალურის და ზოგადსაკაცობრიოს თანაფარდობა" იმავე თემით 2005 წელს სიმპოზიუმი ჩატარდა თსუ ფილოსოფიის ფაკულტეტზე. ცენტრმა შეიმუშავა 2004 -2008 წლების გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა კონფერენციებისა და სიმპოზიუმების ჩატარებას, ერთობლივი სამეცნიერო კრებულების გამოცემას, სტუდენტებისა და ახალგაზრდა მეცნიერების გაცვლა-გამოცვლას, არამარტო საზოგადოებრივი არამედ მეცნიერების სხვადასხვა დარგების გამოკვლევას. სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ,,ადამიანი" დირექტორი ვახუშტი ფარცვანია დაიბადა 1966 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ აბასთუმანში. 1989 წელს დაამთავრა ლვოვის

პოლიტექნიკური ინსტიტუტის საინჟინრო- ეკონომიური ფაკულტეტი. 1996-98 წლებში იგი პეტერბურგში შპს ,,ფირმოსში" იწყებს მუშაობას მენეჯერად, შემდეგ დირექტორად. 1999 წლიდან პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიური ანთროპოლოგიის კათედრის ასპირანტია, შემდეგ ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოქტორანტი. 2003 წელს დაიცვა სადოქტორო და შეთავსებით ამავე უნივერსიტეტში ფილოსოფიის ფაკულტეტზე კითხულობს ლექციებს. 2001 წელს ცენტრის სწავლული მდივან-კოორდინატორია. 2004 -2005 წელს მუშაობდა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ადგილობრივი მმართველობისა და რეგიონული პოლიტიკის საკოორდინაციო სამსახურის განყოფილების მთავარ მრჩევლად. 2005 წლიდან დააფუძნა საერთაშორისო ჟურნალი *„ HOMO ESPERANSO "* (მოიმედე ადამიანი) და მისი მთავარი რედაქტორია. ეს ჟურნალი წარმოადგენს თბილისის, სანკტ -პეტერბურგის საქართველოს ტექნიკური და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტების ბეჭდვით ორგანოს.

- ბატონო ვახუშტი, რა არის ცენტრის საქმიანობის მთავარი მიმართულება?

- ცენტრის მიზანია ხელი შეუწყოს ისტორიულ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამეცნიერო-კულტურულ, რელიგიურ ურთიერთობებს ორ ერს შორის. საბჭოთა კავშირის დაშლამ უარყოფითი გავლენა იქონია ორი ქვეყნის მევნიერების და კულტურის სფეროზე. ცენტრის შექმნის იდეას მხარი დაუჭირა რუსეთის ფედერაციის ფედერალური საკანონმდებლო კავშირის წევრმა, სენატორმა, ფილოსოფიის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა იური სალონინმა და პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორმა აკადემიკოსმა ლ. ვერბიცკაიამ. თბილისის უნივერსიტეტში ცენტრს სამუშაოდ ორი ოთახი გამოუყვეს. რუსეთის საელჩომ მოგვამარაგა კომპიუტერებით, ლიტერატურით. ბადრი კაკაბაძემ დააფინანსა ცენტრისთვის გამოყოფილი ფართის ევრორემონტი, რისთვისაც ბატონმა გიორგი ხუბუამ მას გადასცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი ჯილდო _ ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი. მადლობელი ვარ რუსეთის, რუსული ენის, რუსული კულტურის, რუსი ხალხის, რომელთაც ჩემი პიროვნების ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულეს. მაგრამ სამშობლო მიყვარს, მისი ერთგული ვარ და ვიცი რა ნეგატიური შედეგები შეიძლება მოყვეს, თუ საქართველო გაწყვეტს კულტურულ, სამეცნიერო, ადამიანურ და სხვა კავშირებს რუსეთთან. ასე ფიქრობს მრავალი საღად მოაზროვნე საქართველოში და რუსეთში. რა თქმა უნდა, ეს არ იქნება ის ურთიერთობები, რაც საბჭოთა კავშირის ეპოქაში გვქონდა, მაგრამ შეიძლება უფრო ინტენსიურიც კი იყოს, ახალი შესაძლებლობებისა და რეალობების გათვალისწინებით მე არ ვარ ანტიგლობალისტი, არ ვქადაგებ ნაციონალურ კარჩაკეტილობას. პირიქით, ვთვლი, რომ ეს დამღუპველია. ,,ვეფხისტყაოსანი", ,,დონ კიხოტი", ,,ძმები კარამაზოვები" მარტო ნაციონალური ლიტერატურა კი არ არის, ის მსოფლიოს საკუთრებაა, ისევე როგორც მენდელეევის სისტემა. ადამიანმა ცივილიზაციის ნაწილად უნდა აღიქვას თავისი თავი და ამავე დროს უნდა შეინარჩუნოს თვითმყოფადობა. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ გლობალიზაცია ტექნოლოგიების, კომუნიკაციების განვითარებით სულაც არ არის გამოწვეული. მან დადებითი როლი შეასრულა კულტურათა ურთიერთგამდიდრებაში.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მთავარი ფასეულობა – ადამიანი იქცევა არა მიზნად, არამედ საშუალებად, რომლის დახმარებითაც კაპიტალს ზრდიან, სწორედ აქ არის ნაციონალური მიღწევების სიმდიდრეების განადგურების მიზეზი. ცენტრის ინიციატივით უკვე გამოვიდა ჟურნალ„ *HOMO ESPERANSO* ” (მოიმედე ადამიანი) სამი ნომერი. ეს არის საერთაშორისო სამეცნიერო-თეორიული ჟურნალი, სადაც ჰუმანიტარული სფეროს სპეციალისტები წყვეტენ ადამიანის პრობლემას მსოფლიო გლობალიზაციის პროცესში. სამწუხაროდ, მავანთა და მავანთა გადაწყვეტილების გამო, ცენტრმა საქართველოში ფაქტობრივად შეწყვიტა არსებობა. თავის დროზე მან მოვლენებს გაუსწრო, დღეს კი მისი არსებობა არავის აინტერესებს. რუსეთთან ურთიერთობას ვიწყებთ ახალი ფურცლიდან, შეიქმნა დიასპორებთან ურთიერთობის სამინისტრო; მიმაჩნია, რომ ასეთ დროს ჩვენი ცენტრის არსებობა აუცილებელია.

ბორის მარკოვი, ოლგა პეჩენინა.

ქართულ-რუსული ურთიერთობების შემსწავლელი ცენტრის არსებობის აუცილებლობაზე პეტერბურგში ყოფნის დროს გავესაუბრეთ პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორს, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორს, ანთროპოლოგს, ჟურნალ „ *HOMO ESPERANSO* ” - *ს* მთავარი რედაქტორის მოადგილეს ბ. ვ. მარკოვს.

- ცენტრის შექმნის იდეა ათი წლის წინ გაჩნდა, შეიძლება ითქვას, რომ არაფორმალურად ჩვენი ცენტრი ამ დროს შეიქმნა, ფორმალურად ანუ ოფიციალურად ხუთი წელია რაც ვარსებობთ. ბატონი ვახუშტი ფარცვანია ბრწყინვალე ორგანიზატორია, მან კარგად გაართვა თავი რთულ საქმეს დაძაბული ურთიერთობების ფონზე. სამეცნიერო-თეორიული ჟურნალი ჩვენი ცენტრის საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულება იყო. თბილისის უნივერსიტეტში გახსნილმა ორგანიზაციამ დიდი ენთუზიაზმით დაიწყო მჩქეფარე მუშაობა. სამწუხაროდ, მერე ყველაფერი ჩაიშალა. ჟურნალში ოთხი დიდი უნივერსიტეტის მეცნიერები მსჯელობენ, აყენებენ პრობლემებს. მათი მთავარი მიზანია ზრუნვა საზოგადოებაზე და მის წევრზე - ადამიანზე. თუ ამ საზოგადოებაში ადამიანი ვერ იგრძნობს თავს ისე, როგორც სახლში, ეს საზოგადოებას დაანგრევს. დაიშალა

მსოფლიოს დიდი ქვეყანა - საბჭოთა კავშირი. საქართველო საქართველოდ დარჩა. რუსეთი რუსეთად. ჩვენ არ უნდა შევზღუდოთ ნაციონალური თვისებები. პირიქით, უნდა ვიამაყოთ მათით. სიამაყის საფუძველი კი ყველა ერს აქვს. ამ სიამაყეს დღეს ნაციონალურ ამპარტავნობას, ქსენოფობიას არქმევენ. სინამდვილეში კი მას, ვინც საკუთარით ამაყობს, უცხო ერის არ ეშინია. ჩვენ სწორედ ეს გვინდა ვაჩვენოთ საზოგადოებას. საქართველოში სტუმრობისას, როცა ბატონი ვახუშტის დედას ვუყურებდი, საოცარი გრძნობა მქონდა. იგი ბებიაჩემს მაგონებდა. მსგავსების საფუძველი ნათესაობაა, გენში ადამიანები ერთნაირები არიან. სახელმწიფოებრიობის დამკვიდრების, მაღალი კულტურის ეპოქაში, როცა აქცენტი ეკონომიკურ კავშირებზეა გადატანილი, ტრადიციული კავშირები არ უნდა დავკარგოთ. საზოგადოება ჯანსაღი მაშინ იქნება, როცა სოლიდარობა შენარჩუნდება. ყველა ერი ამაყობს თავისი ენითა და კულტურით. სწორედ კულტურათა ნათესაობა, ურთიერთგაგება და ადამიანური ფაქტორი არის საფუძველი ჩვენი ორგანიზაციის მოღვაწეობისა. ოთხი უნივერსიტეტის მეცნიერი ავტორებიც ამ პრინციპითაა შერჩეული. საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალ რესპუბლიკებს შორის იყო სხვადასხვაობა და, ამავე დროს, გარკვეული ერთიანობაც. თუნდაც განათლება. არ ღირს ამის დაკარგვა. თუ ადამიანზე ვლაპარაკობთ, უნდა შევეცადოთ, აღვადგინოთ ეს კავშირები. ვისარგებლოთ პრინციპით: ,,ადამიანმა ის არ უნდა გაუკეთო სხვას, რასაც შენ თავს არ უსურვებ". ჩვენი ცენტრი ურთიერთობების განმტკიცებას მეცნიერული კომუნიკაციების მეშვეობით აპირებს. ეს ისეთი კომუნიკაციებია, რაც ჩვენს თანამემამულეებს აინტერესებთ. მხოლოდ საჭიროა ისეთი ფორმა და ენა გამოვნახოთ და აქტუალური საკითხები დავსვათ, რომ ერთიანობის ინტერესი გავაღვივოთ.

მეცნიერული ქართველოლოგია სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში

მე-19 საუკუნის დასაწყისში მომწიფდა მეცნიერული ქართველოლოგიის განვითარების პირობები. 1812 წელს პარიზში დაარსებულმა ,,სააქციო საზოგადოებამ'' ყურადღების ცენტრში მოაქცია არაბისტიკა, სპარსული, სომხური და ქართული კულტურა. 1827 წელს ,,სააზიო საზოგადოების'' წინაშე მარი ბროსე ქართულ კულტურის შესახებ მოხსენებით წარსდგა. ექვთიმე თაყაიშვილი ამ თარიღს საქართველოს შესწავლის დასაწყისად საფრანგეთსა და საზოგადოდ ევროპაში მიიჩნევს. მარი ბროსემ შეისწავლა ქართული და რუსული ენები. პეტერბურგში გაიცნო თეიმურაზ ბატონიშვილი, რომლის მოწაფედ თავს მუდამ თვლიდა. მან პარიზში გამოაქვეყნა თეიმურაზის ,,ქეთევან დედოფლის წამება'', ,,გიორგი სააკაძე", ,,ცხოვრება მეფისა დავითისა''. 1837 წელს შეადგინა ქართული მწერლობის კატალოგი, რომელშიც შევიდა 100 ძეგლი. 1838წ კი 300. 1841 წელს

მარი ბროსემ, ზაქარია ფალავანდიშვილმა და დავით ჩუბინაშვილმა ,,ვეფხისტყაოსანი'' გამოსცეს. 1842 წელს კი - ვახუშტის ,,გეოგრაფია''. მარი ბროსე ჯერ კიდევ პარიზში ცდილობდა ქართული ენის კათედრის დაარსებას, 1837 წელს კი პეტერბურგის უნივერსიტეტში კითხულობდა ქართული ფილოლოგიის კურსს. აკადემიკოსმა მარი ბროსემ დავით ჩუბინაშვილთან ერთად საფუძველი დაუდო ქართველოლოგიურ სკოლას.

პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ფაკულტეტი

დავით ჩუბინაშვილი ოცდაშვიდი წელი კითხულობდა ლექციებს და აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე ქართული ენის კათედრას ხელმძღვანელობდა. ასწავლიდა ქართულ ენას არა მარტო უნივერსიტეტში, არამედ სხვა სასწავლებლებშიც. მან ოცდასამი წლის ასაკში მიიღო დემიდოვის პრემია ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონისათვის. 1846 წელს გამოვიდა მისი რუსულ-ქართული ლექსიკონი. იმავე წელს ქრესტომათია შეადგინა, რომელშიც შევიდა ძველი ქართული მწერლობის ნიმუშები.

1872 წელს დ. ჩუბინაშვილის წასვლის შემდეგ კათედრას სათავეში ჩაუდგა ალექსანდრე ცაგარელი - ლინგვისტი და ქართული ლიტერატურის ისტორიკოსი. ორმოცდაექვსი წელი კითხულობდა ლექციებს ქართულ ენაში, ისტორიასა და ლიტერატურაში, ხელმძღვანელობდა ქართველოლოგიურ სკოლას პეტერბურგში.

გამოჩენილი ფილოლოგი, არმენოლოგი და ქართველოლოგი, მეცნიერ - თეორეტიკოსი, პროფესორი, არმენოლოგია - ქართველოლოგიისა და ქართული სიტყვიერების კათედრის გამგე აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე და მისი დეკანი 1911-1919 წლებში იყო ნიკო მარი. ის ათონის მთაზე ჩატარებულ ექსპედიციაში მონაწილეობდა, სადაც ეძებდა სომხურ, ქართულ და სირიულ სალიტერატურო კონტაქტებს. 1902 წელს თავის მოწაფესთან ივანე ჯავახიშვილთან ერთად სინას მთისა და იერუსალიმის ექსპედიციებშია, წერს ნაშრომს: ,,სინას მთის მონასტრის ქართული ხელნაწერების აღწერა“. 1911 წელს იერუსალიმში ნაპოვნი გ. მერჩულეს ,,გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება'' გამოსცა. ნ. მარმა იმოგზაურა შავშეთსა და კლარჯეთში, მონაწილეობდა ქ. ანისის გათხრებში. ყოველთვის გვერდით ჰყავდა მოწაფეები. მან შეისწავლა ლაზური და გამოსცა ,,ლაზური ენის გრამატიკა”. 1917 წელს მარის დაუცხრომელი

მეცადინეობით თბილისში კავკასიის არქეოლოგიური და სამეცნიერო ცენტრი დაარსდა. იმავე წელს ინსტიტუტმა ექსპედიციები ვარძიის, ზარზმისა და საფარის ფრესკული წარწერების გამოსაკვლევად ჩაატარა. 1919 წელს სათავეში ჩაუდგა ისტორიული და მატერიალური კულტურის სახელმწიფო აკადემიას საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მარს პირველი მივლინება ევროპაში მისცეს. იაფეტური თეორიის დასამტკიცებლად ის უამრავ მკვდარ ენას შეისწავლის. თავისი მოღვაწეობის წლებში თხუთმეტი სამეცნიერო ჟურნალი დააარსა და 600 სამეცნიერო ნაშრომი დაწერა.

ივანე ჯავახიშვილი – პეტერბურგის აღმოსავლური ფაკულტეტის პრივატ-დოცენტი, გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი, თსუ-ს დამაარსებელი და მისი რექტორი 1919-1926წწ. აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი. გერმანიაში ყოფნის დროს ყურადღება მიიქცია ჯავახიშვილის მოხსენებამ ,,ევსტათი მცხეთელის წამება". ამის შემდეგ მიიღო წინადადება და ბერლინის უნივერსიტეტში ქრისტიანული აღმოსავლეთის ძეგლების შესწავლისთვის დარჩა. მან დიდი კვალი დატოვა მეცნიერულ ქართველოლოგიაში. პეტერბურგის უნივერსიტეტში დაარსებულ სტუდენტური სამეცნიერო წრის წევრებთან ერთად დიდი საქმისათვის ემზადებოდა, ქართული უნივერსიტეტის დაარსებისათვის. 1918 წლის ჯავახიშვილი ჩამოდის საქართველოში და 26 იანვარს იხსნება ქართული უნივერსიტეტი. 40 წელი ქართულ მეცნიერებასა და კულტურას ემსახურებოდა; ივანე ჯავახიშვილი იყო უნივერსიტეტის რექტორი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარე, მცხეთის არქეოლოგიური გათხრების ხელმძღვანელი, აღზარდა მრავალი მეცნიერი.

ქართული უნივერსიტეტის გახსნაში მონაწილეობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი იოსებ ყიფშიძე. რუსეთის არქეოლოგიური საზოგადოების წევრი. რედაქტორობდა მეცნიერებათა აკადემიის მიერ პეტერბურგის უნივერსიტეტში გამოცემულ ქართულ ბიბლიოგრაფიას.

აკაკი შანიძემ დაამთავრა პეტერბურგის აღმოსავლური ფაკულტეტი. სტუდენტობის წლებში რუსული ენციკლოპედიის შექმნაში იღებდა მონაწილეობას. აკაკი შანიძის ქართული გრამატიკის საფუძვლები დღემდე რჩება კაპიტალურ, ფუნდამენტურ ნაშრომად. გამოსცა ძველი ქართული და სვანური ტექსტები, გამოიკვლია ქართული სიძველენი ბულგარეთში.

გიორგი ახვლედიანი აკაკი შანიძესთან ერთად დაუცხრომლად იღვწოდა ქართული ენათმეცნიერების განვითარებისათვის. მისი ინიციატივით შეიქმნა ენათმეცნიერების საზოგადოება და დაარსდა თბილისის, ქუთაისისა და სამხრეთ ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტები.

ქართული საბჭოთა ხელოვნებათმცოდნეობის ფუძემდებელი გიორგი ჩუბინაშვილი დაიბადა პეტერბურში. დაამთავრა ლაიფციგის უნივერსიტეტი და დოქტორის წოდებით დაბრუნდა, იყო ნიკო მარის და ივანე ჯავახიშვილის მოწაფე. თბილისის უნივერსიტეტში დაარსა ხელოვნების ისტორიის კათედრა და ამ დღიდან სამხატვრო აკადემიის რექტორი იყო. კარპეზ დონდუა ქართველური ენების გამოჩენილი მკვლევარი, კავკასიური ენების კათედრის გამგე, პროფესორი, პეტერბურგის უნივერსიტეტში ნ. მარის მოწაფე იყო. თავის ძმასთან ვარლამ დონდუასთან ერთად ქართველოლოგთა პლეადას ზრდიდა.

მათი პედაგოგიური მოღვაწეობა დაკავშირებული პეტერბურგისა და თბილისის უნივერსიტეტებთან.

მოკლე ისტორია

1855 წელს საზეიმოდ გაიხსნა აღმოსავლეთმცოდნეობისა და კავკასიოლოგიის ფაკულტეტი, 1863 წელს ქართული და სომხური სიტყვიერების კათედრები გაერთიანდა და არმენოლოგია-ქართველოლოგიის კათედრა ეწოდა. 1919 წელს უნივერსიტეტში საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი დაარსდა, სადაც აღმოსავლური ენები გაერთიანდა, ისტორიულ-ფილოლოგიური, იურიდიული და არქეოლოგიური ფაკულტეტები.

ქართველოლოგიის კათედრაზე

1925 წელს საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი გადაკეთდა ენათმეცნიერებისა და მატერიალური კულტურის ისტორიის ფაკულტეტად. ალექსანდრე ორბელის ხელმძღვანელობით 1929 წელს არმენოლოგია-ქართველოლოგიის კათედრა აღორძინდა. მან ახალი სახელწოდება მიიღო - ისტორიულ-ლინგვისტური ფაკულტეტი. არმონელოგია-ქართველოლოგიის კათედრა ამ ფაკულტეტზე არ ფუნქციონირებდა. 1935-1941 წლებში ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ფუნქციონირებდა კავკასიური ფილოლოგიის კათედრა

ქართველოლოგთა კაბინეტი

1945 წელს კავკასიური ფილოლოგიის კათედრა გაიხსნა. 1944 წელს აღორძინებულ აღმოსავლურ ფაკულტეტზე კათედრას კ. დონდუა მეთაურობდა. 1949 წელს კათედრა ისევ დაიხურა. 1959 წელს აკადემიკოს ი. ორბელის ხელმძღვანელობით პეტერბურგის უნივერსიტეტის ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის კათედრაზე შეიქმნა საქართველოსა და სომხეთის ისტორიის განყოფილება, სადაც სასწავლებლად ხუთი სტუდენტი მიიღეს. 1964 წელს სტუდენტთა ახალი ნაკადი არ მიუღიათ. 80-90-იან წლებში აღმოსავლეთის ფაკულტეტის დეკანი პროფ. ბოგოლიუბოვი არაერთხელ სვამდა საკითხს კავკასიოლოგიის კათედრის აღდგენის შესახებ, მაგრამ საკითხი გადაუწყვეტელი რჩებოდა.

საბჭოთა კავშირის დარღვევის შემდეგ, რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში კავკასიის შესწავლის აუცილებლობა დადგა. 1996 წელს აღმოსავლურ ფაკულტეტზე გაიხსნა ცენტრალური აზიისა და კავკასიის კათედრა. 1999 წელს ორწლიან ფასიან კურსებზე არმენოლოგიაში მსმენელთა მიღება დაიწყო. მსურველებს ასწავლიან ქართულ ენასაც. 2002-2003 წლებში აღმოსავლური ფაკულტეტის ირანული ფილოლოგიის კათედრაზე მიიღეს კავკასიოლოგიის პირველი ჯგუფი, აღდგა არმენოლოგია-ქართველოლოგიის ფაკულტეტი. ქართველოლოგიურ დისციპლინებში ლექციებს კითხულობენ აღმოსავლეთ ფაკულტეტის დოცენტი, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი ჰენრიკო ხარატიშვილი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი მანანა გორგოძე, ისტორიკისო პაატა სურგულაძე, ქართველოლოგი ტატიანა ნიკოლსკაია. 2004 წელს კავკასიოლოგიის სტუდენტები ხუთი კვირით საქართველოში იყვნენ. პრაქტიკა შეთანხმებული იყო თსუ რექტორთან რ.მეტრეველთან და

პეტერბურგის აღმოსავლური ფაკულტეტის აკადემიკოსთან სტებლინ-კამენსკისთან.

ჰენრიკო ხარატიშვილი, ჟენია ზახაროვა, მანანა გორგოძე.

ჰენრიკო ხარატიშვილი

დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ფაკულტეტი სპეციალობა - ირანის ისტორია. მუშაობდა ავღანეთის დედაქალაქ ქაბულში მთარგმნელად, დღეს კითხულობს აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიას აღმოსავლურ ფაკულტეტზე. კავკასიოლოგიის კათედრის აღდგენის შემდეგ ლექციებს საქართველოს გეოგრაფიაში, ეთნოგრაფიასა და ისტორიაში, ,,ირანისა და კავკასიის˜ შესახებ სპეცკურსს კითხულობს. ატარებს პრაქტიკულ მეცადინეობებს ქართულ ენაში (სასაუბრო, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ტექსტების კითხვა).

- მთლიანად საქართველოსთვის და აქ მყოფი ქართველებისთვის დიდი სიხარულის მომტანი იყო არმენოლოგია-ქართველოლოგიის ფაკულტეტის აღდგენა. გაგრძელდა ჩვენი სასიქადულო მეცნიერების ტრადიცია. მართალია, პრობლება, რომლისთვისაც იბრძოდა ალექსანდრე ცაგარელი, რომ არმენოლოგია ცალკე ყოფილიყო, ხოლო ქართველოლოგია ცალკე, დღემდე რჩება, მაგრამ ის, რაც გაკეთდა, საშვილიშვილო საქმეა. პირველი კურსიდან სტუდენტებმა არ იციან, რომელი ენა აირჩიონ; ინტერესი შემდეგ იკვეთება. ჯგუფში ხუთი-ექვსი სტუდენტი იწყებს მუშაობას, ზოგჯერ ერთი ამთავრებს. პრობლემები გვაქვს, ხელშეწყობა გვჭირდება. დიდი საქმე გაგვიკეთა სათვისტომოს ხელმძღვანელმა ბადრი კაკაბაძემ, სათავადაზნაურო ფონდმა ფატი წერეთლის ხელმძღვანელობით. კაბინეტის მოწყობა, რემონტი, ავეჯი, ყველაფერი მათი დახმარებით გაკეთდა. სურვილი გვაქვს ქართული კაბინეტი ცალკე გვქონდეს,

მაშინ სისტემურ ბიბლიოთეკასაც გავაკეთებდით, აპარატურასაც შევიძენდით და უფრო ეფექტური პრაქტიკული მეცადინეობები გვექნებოდა. თბილისში შევაგროვეთ წიგნები: მეცნიერული და მხატვრული ლიტერატურა, მაგრამ პირდაპირი რეისების უქონლობის გამო ვერ ვახერხებთ ჩამოტანას. ქართული ენის შესწავლისათვის მეთოდიკური პრინციპებია საჭირო. არ გვაქვს ახალი მეთოდური სახელმძღვანელო. ენაზე სამუშაო ტექსტები. ისტორიის კურსის წასაკითხად ვთარგმნი ქართველი ისტორიკოსების ნაშრომებს, ვამზადებ რეფერატებს და ასე ვკითხულობ ლექციებს. ვცდილობთ, ხმა მივაწვდინოთ ქართულ უნივერსიტეტს, მანანა გორგოძემ საპატრიარქოს უნივერსიტეტში პარმენ მარგველაშვილს მიმართა და მისგანაც ველით მხარდაჭერას. როგორმე უნდა შევინარჩუნით რუსი ახალგაზრდების გაცხოველებული ინტერესი ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის შესწავლის მიმართ. დიდ იმედებს ვამყარებთ ჟენია ზახაროვაზე. მან იცის დასავლური ენები და მათი შესწავლის მეთოდიკა რუსულენოვანი პოზიციიდან. მას ა. შანიძის გრამატიკის საფუძვლების შესწავლა შევთავაზე და მან ეს შეძლო. ახლა მესამე კურსის სტუდენტებს ქართულ ენას ასწავლის და გამოცდილებასაც იძენს. მზად არის შემდეგ კურსებთანაც გააგრძელოს მუშაობა. განსაკუთრებით სასარგებლო იყო სტუდენტების მივლინება, რომელიც ბადრი კაკაბაძემ დააფინანსა. ჯგუფს პირადად ვხელმძღვანელობდი. დავათვალიერეთ დედაქალაქი, ვიყავით კახეთში, სვანეთში და მოვინახულეთ ვარძია. ჩვენთან მოდიან ჩვეულებრივი შესაძლებლობების სტუდენტები, მათ არა აქვთ დიდი ფული. ბატონი ბადრის საქველმოქმედო აქციები სტიმული იქნება მათთვის. ერმიტაჟში ფრანგულ დარბაზს ფრანგები პატრონობენ, ქართველებმა ჩვენს საქმეს უნდა მივხედოთ, აღვადგინოთ, დავიცვათ და შთამომავლობას გადავცეთ. ეს ჩვენი ვალია, სადაც არ უნდა ვიყოთ.

მანანა გორგოძე

პეტერბურგის უნივერსიტეტში დიდი ქართული საქმე გაკეთდა. დღეს აქტუალურია ქრისტიანული აღმოსავლეთის ისტორია და ხელოვნება, აქედან გამომდინარე, ენის ცოდნაა საჭირო. ამ მხრივ, ისტორიკისი ნიკოლოზ ნურიე თავის გამოსვლებში ინიციატივას იჩენდა. კათედრის აღდგენის სურვილი არმენოლოგებისგან წამოვიდა. მათ ცალკე განყოფილების შექმნა უნდოდათ. მატერიალური თვალსაზრისით, სომხებს უფრო მყარი პოზიციები აქვთ რუსეთში. მათი მხარდამჭერი სომხეთის საელჩო და საკონსულო იყო, რომელიც ჩვენ საერთოდ არ გვყავს პეტერბურგში. უნივერსიტეტის რექტორმა ლ. ბ. ვერბიცკაიამ განაცხადა, რომ კათედრის აღდგენა შეიძლებოდა მხოლოდ ქართველოლოგებთან ერთად. თავიდან ეს იყო ფასიანი სექტორი, ბევრი მსმენელი გროვდებოდა, დიდ ინტერესს იჩენდნენ ქართული ენის მიმართ, განსაკუთრებით ძველი ქართული ლიტერატურა იქცევდა ყურადღებას. შესაძლებლობა მომეცა ფილოლოგიის ფაკულტეტზე ფაკულტატურული კურსი

ჩამეტარებინა. ხუთი წელია ვმუშაობ სტუდენტებთან, დამიგროვდა საკმაო გამოცდილება. ვაკვირდები რა ტიპის შეცდომებს უშვებენ რუსები, რომლებიც ქართულს სწავლობენ. ჩემი ნამუშევრებით შეიძლება გაკეთდეს დასკვნები და ეს დაგვეხმარება სახელმძღვანელოს შექმნაში. დღეს წმინდა ლინგვისტური ინტერესი შედარებით ნაკლებია, იწყება ახალი დამოკიდებულება ჩვენი განყოფილების მიმართ - პირველ წელს არმენოლოგებს მიიღებენ, მეორე წელს - ქართველოლოგებს. ეს ბევრად უკეთესია, საათები მთლიანად დაეთმობა ქართულს. ქართველოლოგი ბავშვები ინდივიდუალურად ბევრს მუშაობენ, ენას ყველა სწავლობს. საუცხოო შედეგს იძლევა გარემო, როცა ისინი სტაჟირებისთვის საქართველოში მიდიან, ამან ინტერესიც გააღვივა ჩვენი კათედრის მიმართ. ბადრი კაკაბაძის წყალობით რუსი ბავშვები თბილისში საუკეთესი პირობებში ცხოვრობდნენ, ჰქონდათ სტიპენდია 150 დოლარის ოდენობით, ისმენდნენ თსუ გამოჩენილი მეცნიერების ლექციებს, დადიოდნენ ექსკურსიებზე. რამდენჯერმე თბილისიდანაც ჩამოვიდნენ პროფესორები და წაიკითხეს ლექციები. ყველაფერს ბატონი ბადრი აფინანსებს, უარს არაფერზე გვეუბნება, მაგრამ მარტო ერთი კაცი ჩვენს პრობლემებს ვერ გაწვდება. პეტერბურგი დიდი ხანია ქართული კულტურის კერა გახდა და ამჯერადაც განახლდა ქართული ენის შესწავლა. აქაური რუსი სტუდენტები უფრო სერიოზულად ეკიდებიან ქართველოლოგიის შესწავლას, ვიდრე საქართველოში, უფრო მობილიზებულნი არიან, მათი ნასწავლი ქართველოლოგია უფრო საიმედო ხელშია. თუ საქართველოში რამე ჩავარდება, აქ გვექნება ქართული განათლებისა და კულტურის კერა. საურთიერთობო ენა კი ემიგრაციის ენაა, სლენგები აქაც აღწევს კომუნიკაციების საშუალებით.

ჟენია ზახაროვა და ანა ჩუგუნოვა აღმოჩენა იყო საქართველოსთვის. ნიჭიერი ახალგაზრდები, რომლებსაც წმინდა ლინგვისტური მიზანი ჰქონდათ. ანა ჩუგუნოვა ერმიტაჟში კავკასიურ განყოფილებაში მუშაობს, იმ ნივთებს შეისწავლის, რომლებიც აქამდე არ იყო შესწავლილი. იყო ისეთი შემთხვევა, როცა შუა საუკუნეების ქართული მინანქარი ბიზანტიურად ცხადდებოდა. ანა ჩუგუნოვას მეცადინეობით დღეს მნახველმა იცის, რომ ასე არა არის და ის ქართულია. ანას უყვარს საქართველო, იცის ენა და იმედი გვაქვს მოგვეხმარება იმის გარკვევაში, თუ რა არის ქართული ერმიტაჟის საცავებში, თარიღები რამდენად სწორად არის მითითებული. პეტერბურგის ქართულ სკოლებში პროფესიონალი ქართველი მასწავლებლები არიან, მაგრამ ქართველი ბავშვების უმეტესობა მაინც რუსულ სკოლებში სწავლობს. მშობლებმა მომმართეს მესწავლებინა მათი შვილებისთვის ქართული, ჯგუფიც შევქმენი. არაჩვეულებრივი თაობა მოდის, ნიჭიერი, ჭკვიანი, სამშობლოს სიყვარულით გაჟღენთილი, მაგრამ ფიზიკურად უჭირთ, ვერ ასწრებენ, დიდი ქალაქის რიტმით ცხოვრობენ, დრო არა აქვთ, მათთვის ქართულს მაინც რომანტიკული დატვირთვა ჰქონდა. თავიანთ სპეციალობებში წარმატებულნი არიან, ისევ ოჯახურ გარემოში და მეგობრულ წრეში ითვისებენ ენასა და ქართულ ტრადიციებს.

სცენა კვაჭაძეების ოჯახში

ჩემმა ოჯახმა თბილისი 90-იან წლებში დატოვა გარკვეული გარემოებების გამო. პეტერბურგი კომფორტული ქალაქია. მართალია, ძველი არისტოკრატიული პეტერბურგელები ნელ-ნელა მიდიან ცხოვრებიდან, ქალაქი ახალ ნაკადს იღებს რუსეთის სხვადასხვა კუთხიდან, მაგრამ იგი ახალჩამოსულებს იმორჩილებს, ისინი უკეთესნი ხდებიან. ასეთი ინტენსიობით მუსიკალური ხელოვნებისადმი ინტერესი არც ერთ ქალაქში არ არის. ხელოვნება, მეცნიერება განსაზღვრავს ადამიანის ყოფას. პეტერბურგის მუსიკალური საზოგადოებისათვის ცნობილია ჩემს სახლში მოწყობილი პატარა სცენის შესახებ. აქ ტარდება საინტერესო მუსიკალური შეხვედრები, კონცერტები. `Вечера на большои монетнои~ ასე ეწოდება ჩვენს საღამოებს.

ჟენია ზახაროვა

ჟენია ზახაროვა ქართულმა საზოგადოებამ ვახუშტი კოტეტიშვილის ოჯახიდან გაიცნო. გამართული, სწორი ქართულით მეტყველი გოგონა საოცარი სითბოთი და სიყვარულით საუბრობს საქართველოზე, ქართულ წეს-ჩვეულებებზე, ისტორიაზე. ქართულად ვსაუბრობდით, ეს ჩემთვის პრაქტიკააო, მითხრა.

- ლენინგრადში 1983 წელს დავიბადე. ვსწავლობდი გაძლიერებული ინგლისურის სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ ჩავაბარე პეტერბურგის უნივერსიტეტში ისტორიულ ფაკუკტეტზე, პარალელურად ფილოლოგიურზე. სპეციალობა - მთარგმნელი პროფესიონალურ კომუნიკაციაში. დავინტერესდი ქართველოლოგიით. ჩემი სადიპლომო თემის სათაურია: ,,ქართული მუსიკალური ხალხური საკრავები მუსიკალურ საყოფაცხოვრებო ტრადიციებში". საქართველოსთან არაფერი მაკავშირებდა, არც ნათესაობა, არც მეგობრები მყავდა, მაგრამ არჩევანი მაინც მასზე გავაკეთე. საერთოდ შევიცვალე სპეციალობა. ქართულის სწავლა ურთიერთობების გარეშე საკმაოდ რთული პროცესია. ევროპულ უინივერსიტეტში კარგად ავითვისე ენების შესწავლის თანამედროვე მეთოდიკა, რომელსაც ქართული ენის შესასწავლად ვიყენებ. საქართველოში მოგზაურობა, ქართულ კულტურასთან შეხვედრა ჩემთვის აუცილებელი იყო. დამაინტერესა თანამედროვე თბილისის ქუჩურმა ცხოვრებამ და ქუჩურმა სლენგმა. წავიკითხე აკა მორჩილაძის ნაწარმოებები. ბატონი ვახუშტი კოტეტიშვილის ოჯახში ცხოვრება კი უდიდესი პატივია, ამავე დროს დიდი პრაქტიკა. ოჯახის სტუმრებთან ყოფნის დროს ბევრ რამეს ვსწავლობ, ვეცნობი თბილისისა და საქართველოს ცხოვრებას. ქართულ გრამატიკაში ჩემთვის განსაკუთრებულ სირთულეს ზმნა წარმოადგენდა. ხელს ის მიშლიდა, რომ გარშემო ყველა რუსულად ლაპარაკობდა. მართალია, გამიჭირდა, მაგრამ ბარიერი მაინც გადავლახე. ქართულ ხასიათში სილაღე მომწონს. ვიხსენებ თბილისის ქუჩებს.. იქ სიცოცხლე ჩქეფს. ხმაური, სიცილი, ხუმრობა, ხმამაღალი მუსიკა. ვიღაცა აივანზე მღერის, ვიღაცა უბანში ,,აბირჟავებს" ერთი სული მაქვს როდის დადგება აპრილი - საქართველოში მოვდივარ.

სანკტ-პეტერბურგის ქართული თავადაზნაურობის ფონდი ,,ერთიანი რწმენით”

ფატი წერეთელი

2000 წლის 3 ნოემბერს საქართველოს სათავადაზნაურო კრების დადგენილებით პეტერბურგში შეიქმნა ფონდი ,,ერთიანი რწმენით, ქართული თავადაზნაურობა სანკტ-პეტერბურგში”, რომლის ხელმძღვანელობა დაევალა ქალბატონ ფატი წერეთელს. გენერალურ დირექტორად დაინიშნა მანანა გორგოძე. ფონდის დევიზი ,,ერთიანი რწმენით” მხოლოდ ორი ერის რელიგიური ერთობა კი არ არის, არამედ საუკუნეობრივი ერთობლივი არსებობის სურვილი. ფონდმა მეტად საინტერესო ღონისძიებები ჩაატარა. 2002 წელს მოსკოვში დამსწრე საზოგადოებამ ნახა დოკუმენტური ფილმი ,,ქართველი ვარსკვლავები მარიისკის თეატრში”. იდეიავტორი და პროდიუსერი მანანა გორგოძე, რეჟისორი ზურა ინაშვილი. ფილმი ზურაბ წერეთლის ფინანსური მხარდაჭერით იქნა გადაღებული. ის მიეძღვნა მარიისკის სცენის კორიფეს ქორეოგრაფ ჯორჯ ბალანჩინს, ბალეტის სოლისტს ვახტანგ ჭაბუკიანს, მხატვარ სიმონ ვირსალაძეს. ფილმი გრძელდება ორმოცდაათი წუთი, გახმოვანებულია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. ფილმის პრეზენტაცია თბილისშიც ჩატარდა ჯერ ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში, შემდეგ კინოს სახლში. ფილმი აღფრთოვანებით მიიღო რუსმა და ქართველმა საზოგადოებამ. გიგა ლორთქიფანიძემ ასე შეაფასა ეს ფაქტი: ისტორიულ-კულტურული ფონდი ,,ერთიანი რწმენით” იმსახურებს ღრმა პატივისცემას თუნდაც იმიტომ, რომ წმინდად ინახავს ქართველი ხალხის გამოჩენილ წარმომადგენლებს, რომლებიც ცხოვრობდნენ და ქმნიდნენ”. ფონდი ცდილობს დაეხმაროს ქართველ ახალგაზრდებს, რომელთაც სწავლის გაგრძელება სურთ და ყოველწლიურად ერთი ქართველი ექიმის ასპირანტურაში სწავლას აფინანსებს. დახმარება გაუწიეს სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტს მონაწილეობა მიეღო ძველი მუსიკის ფესტივალში. 2003 წელს

კონსერვატორიას საჩუქრად გადასცა მუსიკალური ლიტერატურა. პეტერბურგის უნივერსიტეტის არმენოლოგია-ქართველოლოგიის კათედრას კაბინეტის მოწყობაში დაეხმარა, გადასცა სახელმძღვანელოები, წიგნები, ლექსიკონები, აუდიო კასეტები. უნივერსიტეტის რექტორმა და დეკანმა მადლობა გადაუხადა ფონდს ამ საჩუქრისთვის. წარმატებული იყო თემატური საღამო სახელწოდებით ,,საღამო საქართველოში". ცნობილმა პეტერბურგელმა მუსიკოსებმა შეასრულეს არაყიშვილის, ფალიაშვილის, ბალანჩივაძის, კარგარეთელის, ბალაკირევას, რახმანინოვის რომანსები ალექსანდრე ჭავჭავაძის, პუშკინის, ლერმონტოვის ლექსებზე.

დაარსების დღიდან ფონდი პროპაგანდას უწევს ქართულ ხელოვნებას, კერძოდ, ქართულ პოლიფონიურ სიმღერას, ბროდვეის არტისტებთან ერთად ქართველი მომღერლები ფესტივალს ,,ვუკრავთ მიუზიკლს ერთად" აწყობენ; ასევე მონაწილეობს მუსიკალურ საღამოებში, რომელიც ტარდება ამერიკის, ინგლისის, პოლონეთისა და ლატვიის საელჩოებში. ფონდმა ააღორძინა სალონური საღამოების ტრადიცია ცნობილი რუსი და ქართველი არტისტების მხატვრების, სკულპტორებისა და კომპოზიტორების მონაწილეობით. ფონდს აქტიური კავშირები აქვს თანამედროვე ბალეტის გამოჩენილ წარმომადგენლებთან. 2003 წლის 17 აპრილს ფონდის ფინანსური მხარდაჭერით ერთაქტიანი ბალეტი დაიდგა, რომლის პრემიერა ლონდონის ალბერტ-ჰოლში შედგა. ასლან აბაშიძის ფონდთან ერთად 2002 წელს გამომცემლობა არბატში დაბეჭდა მონოგრაფია ,,დავით კაკაბაძე XX საუკუნის კლასიკოსი". წიგნი ორენოვანია – რუსულ და ინგლისურ ენებზე. მისი პრეზენტაცია გაიმართა რუსეთის სახელმწიფო მუზეუმში. 2004 წელი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჯორჯ ბალანჩინის წლად გამოცხადდა. ფონდმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ამ მნიშვნელოვანი თარიღის აღნიშვნაში და გამოსცა ალბომი მონოგრაფიით. მემორიალური დაფა გაიხსნა ბალანჩინის სახლის კედელზე. ფონდის დაფინანსებით გამოიცა ლ. ი. იაკოვლევა-ჩხეიძის ლექსების კრებული ,,ბედი". წიგნის პრეზენტაცია გაიმართა არტ-კაფეში, სადაც პოეტები იკრიბებიან. ,,ბედი" ლირიკული კრებულია საოცარი ქალის – რუსი თავადაზნაურისა, რომელიც დიდი სიყვარულით ცოლად გაჰყვა ქართველი გლეხის ვაჟს ირაკლი ჩხეიძეს, შემდგომში ცნობილ მეცნიერ-მებაღეს, მეცნიერებათა დოქტორს. ანა ახმატოვას თანატოლი, პიანისტი,მხატვარი პეტერბურგის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტის კურსდამთავრებული ლიუბოვ იაკოვლევა ომისა და რევოლუციის გამო, მრავალი წელი ცხოვრობდა ქუთაისის ახლოს პატარა სოფელში. თავისი გრძნობები და ფიქრები მინიატურულ ლექსებში ჩააქსოვა. გარდაცვალების შემდეგ მისი ნაწერები იპოვეს და წაიკითხეს შვილიშვილებმა ნუნუ და ლევან ხარებავებმა. ამ წიგნით იგი თითქოს დაბრუნდა პეტერბურგში. სულით რუსი პოეტი ლაპარაკობდა ქართულად ოდნავ შესამჩნევი აქცენტით. გარდაიცვალა 93 წლის ასაკში. ფონდი ქართული ხელოვნების, შემოქმედებისა და ყოფის პროპაგანდისათვის სხვადასხვა მეთოდებს იყენებს. საერთაშორისო ქალთა კლუბის შეხვედრების დროს ფონდის წარმომადგენლები პროპაგანდას უწევენ ქართულ სამზარეულოს, ქართული სტუმართმოყვარეობისა და ქართული ოჯახის წეს-ჩვეულებებს.

ფონდი ქველმოქმედებას ეწევა. არის ოფიციალური სპონსორი მიშელ სონის საბავშვო-კულტურული ფონდისა ,,ჯადოსნური როიალი", რომელიც პეტერბურგში მცხოვრები განსაკუთრებული მუსიკალური მონაცემებით დაჯილდოებული ღარიბი ბავშვების მუსიკალურ აღზრდას ეწევა.

2002 წელს ფონდი მონაწილეობდა საქველმოქმედო საღამოში, რომელიც გაიმართა СНГ-სა და ევროპის ავადმყოფი ბავშვების დასახმარებლად. საღამო ჩატარდა პარიზის თეატრში ,,ელისეის მინდვრებზე" საფრანგეთის პრეზიდენტის მეუღლის მადამ შირაკის პატრონაჟით. ამავე წელს იუსუპოვის სასახლის ცნობილ თეატრში მოეწყო საქველმოქმედო კონცერტი `ჯადოსნური როიალი" ასეთია ფონდის საქმიანობის მშრალი მიმოხილვა, მაგრამ რამდენი შრომა იმალება ამ ყველაფრის უკან.

,,Маленький остров в Санкт-Петербурге" - ასე უწოდებენ სახლს მეათე ხაზზე, სადაც კეთილშობილი დახვეწილი ადამიანები ცხოვრობენ. ოჯახის, სალონის, ფონდის დიასახლისი ქალბატონი ფატი წერეთელი თბილისში დაიბადა, დაამთავრა თსუ დასავლეთ ევროპის ენათა ფაკულტეტი ინგლისური ენის სპეციალობით. თავისი ბედი ბატონ ვლადიმერ წერეთელს დაუკავშირა და საცხოვრებლად ლენინგრადში გადავიდა. დღეს ბატონი ვლადიმერის კომპანია ,,თვინ-კონსალტის" პრეზიდენტია. ქალიშვილი - ტატა წერეთელი ექიმი-ფსიქიატრია, ამავე დროს თეატრალური განათლებაც აქვს. დღეს გერმანიის ქალაქ ჰამბურგის ერთ-ერთი კლინიკის მთავარი ფსიქიატრია. დღემდე მეგობრობს თბილისელ თანაკლასელებთან, ოცნებობს საქართველოში დაბრუნებაზე და ლექსებსაც წერს, საუბრობს ხუთ ენაზე. ვაჟი - გიორგი წერეთელი მამასთან მუშაობს. კომპანიის მთავარი იურისტია. მეუღლე ნატალია ბაინდურაშვილი - ექიმი სტომატოლოგია. ჰყავთ პატარა ბიჭი სანდრო. გიორგი ძალიან კარგად იცნობს ქართულ პოეზიას და თვლის, რომ წერეთლების ოჯახი პეტრტებურგში საქართველოს მასპინძელია.

ფატი წერეთელი - თითქმის 40 წელია პეტერბურგში ვცხოვრობ, როცა ბავშვები წამოიზარდნენ, მუშაობა დავიწყე ქალაქის მერიაში, სობჩაკის მიერ დაარსებულ ბავშვთა ცენტრში, რომლის მიზანი უპატრონო ინვალიდებზე ზრუნვა იყო. მათი ახალი მშობლები ძირითადად უცხოელები იყვნენ, რომლებიც ინვალიდთა განკურნებაზე ვალდებულებას იღებდნენ. ნერვიული, დაძაბული და საპასუხისმგებლო საქმე იყო. გვქონდა უნიკალური შემთხვევა - 4 წლის უხელებო ბავშვი ამერიკელმა ოჯახმა იშვილა. მათ ის სამი წლის შემდეგ ჩამოიყვანეს იგი შესანიშნავი პროტეზებით და თან მისი ნახატები ჩამოიტანეს. მე ცენტრში ანახატების გამოფენა მოვაწვე

- როგორ გაჩნდა ფონდის შექმნის იდეა?

- აქაური ქართველი არისტოკრატიის ბედი ყოველთვის მაწუხებდა. დაფანტული იყო თავადაზნაურობა. თითო-თითოს ვპოულობდი, მონაცემებს ვაგროვებდი. ერთხელაც, თბილისში ყოფნის დროს, ბატონმა კოტე ჩოლოყაშვილმა მთხოვა სათავეში ჩავდგომოდი პეტერბურგის თავადაზნაურობას. დავბრუნდი პეტერბურგში და მე და ჩემმა მეუღლემ ფონდი დავაარსეთ. დიდი კავშირები გვაქვს საზღვარგარეთის დიპლომატებთან, ჩვენი მთავარი მიზანი არის მათ ქართული კულტურა გავაცნოთ. ჩვენს სახლში ჩატარებულ კონცერტებს

ესწრებოდნენ ამერიკის, შვეციის, დანიის, ფინეთის, კანადის, საფრანგეთის გენერალური კონსულები. განსაკუთრებით მოსწონთ ფოლკლორი. ახლახანს ჩამოსულები იყვნენ ბროდვეის ვარსკვლავები, დიდი მიღება მქონდა სახლში, დავახვედრეთ ქართულ ჩოხებში გამოწყობილი მომღერლები ჩონგურით, ფანდურით, გიტარით. სტუმრები აღფრთოვანებს ვერ მალავდნენ. რუსებმა კარგად იციან ქართული კულტურა, მწერლობა, უცხოელებმა - ძალიან ნაკლებად. დიდხანს ვეძებე სახლი, სადაც ჯორჯ ბალანჩინის ოჯახი ცხოვრობდა, კულტურის სამინისტროდან დიდი ამბით მივიღეთ თანხმობა, რომ მემორიალური დაფა გაგვეკეთებინა იმ სახლზე, სადაც ბალანჩინი დაიბადა. საიუბილეო დღეებში გაიმართა კონცერტი კონსერვატორიაში, რომელსაც ესწრებოდა ამერიკის ელჩი და კონსული. მათ პირველად გაიგეს, რომ ამერიკული ბალეტის დამაარსებელი ქართველი იყო. არ უნდა დაიკარგოს ჩვენი ქართული ფესვი. სალონური საღამოები გვაქვს ჩემთან და ქალაქის სხვადასხვა დარბაზებშიც. ქართველი მომღერლები რუსულ რომანსებს ასრულებენ და პირიქით. თბილისიდან ხშირად ჩამოდის ნიკოლოზ სვინტიცკი. ჟურნალ „Руский клуб”-ის რედაქტორი. ის ბევრს აკეთებს რუსულ-ქართული ურთიერთობების განვითარებისათვის. შეხვედრები გვქონდა იგორ ჟელევსკისთან, ნინო ანანიაშვილთან; დები ნიორაძეები ჩვენი ოჯახის ხშირი სტუმრები არიან. საზეიმოდ აღვნიშნეთ არმენოლოგია-ქართველოლოგიის კათედრის გახსნა. ვლადიმერის მამიდა– ენათმეცნიერი მარიამ წერეთელი ნიკო მარის საყვარელი მოსწავლე იყო. თბილისიდან ქალბატონი მარიამ ლორთქიფანიძე იყო ჩამოსული. იმდენი შრომა ჩაიდო კათედრის გახსნაზე, რომ გული დამწყდება, თუ მისი მუშაობა შეფერხდება. რუსეთში ჩამოსულ უცხოელებს დიასპორასთან კავშირი არა აქვთ. ჩვენ კი ჩვენი საქმიანობით ვაჩვენებთ მათ, რომ პეტერბურგში არის ქართული კულტურის კერა. აქ მცხოვრებ ქართველებს ძალიან გვაწუხებს პოლიტიკური დაძაბულობა. მსოფლიოში უდიდესი ქვეყანა დაემხო, რასაც დიდი ცვლილებები მოჰყვა. მომავალ თაობას წინ მიუკერძოებელი და არა დამახინჯებული, ამა თუ იმ პოლიტიკური მიმდინარეობისთვის საჭირო ისტორია უნდა დავუდოთ. რუსულ იმპერიულ ამბიციებს არავითარი კავშირი არა აქვს ადამიანებს შორის ურთიერთობებთან. ქართველები აქ წარმატებულნი არიან მედიცინაში, ბიზნესში, იურისპრუდენციაში, კულტურასა და ხელოვნებაში. მათ აქვთ თვითრეალიზაციის საშუალება. როცა ურთიერთობები დაიძაბა, რუსი ინტელიგენტები გუბერნატორ მატრიენკოსთან მივიდნენ თხოვნით შეწყვეტილიყო სხვა ეროვნების პირთა დევნა. მართლაც, მან გააკეთა სპეციალური განცხადება ამასთან დაკავშირებით და ეს ფაქტი ჩვენთვის სითბოსა და სიყვარულის გამოხატულება იყო. ჩვენ ქართველებს, კი გვირეკავდნენ რუსი მეგობრები, მოდიოდნენ, გვთავაზობდნენ დახმარებას. ადამიანთა ცხოვრება პოლიტიკის მსხვერპლი არ უნდა გახდეს, როცა ამდენ წარმატებულ ქართველს ხედავ ერთ ქალაქში, ეს ბევრს ნიშნავს. ასე ვცხოვრობთ პეტერბურგში მე, ჩემი ოჯახი და ჩემი

ფონდი, რომელსაც ვთვლი, რომ საქართველოსა და ქართველების საკუთრებაა. ყველა საქმეს ჩემი მეგობრების დახმარებით ვაკეთებ.

ქართული სკოლა სანკტ-პეტერბურგში

1992-93 წლებში პეტერბურგში ემიგრაციის ახალი ნაკადის - ლტოლვილთა შემოდინებამ სკოლის გახსნის აუცილებლობა გამოიწვია ბავშვთა სწავლა - განათლებასთან დაკავშირებით. რუსული ენის საფუძვლიანი არცოდნის გამო ქართველი ბავშვები სასწავლებლის გარეშე აღმოჩნდნენ. სათვისტომოს ხელმძღვანელობამ დიდი ენერგია, შრომა და ჯაფა შეალია პრობლემის გადაწყვეტას. არანაკლები ძალისხმევა დასჭირდა სკოლის რეგისტრაციას, ოფიციალურად ის 1995 წლის ოქტომბერში გაიხსნა და თავდაპირველად №306 სკოლის შენობაში ფუნქციონირებდა და მეორე ცვლაში მუშაობდა. 1998 წლიდან კი №163 სკოლის შენობაში იყო განთავსებული. სასწავლებელში ძირითადად დასაქმებულნი იყვნენ აფხაზეთიდან დევნილი პედაგოგები. სკოლას ხელმძღვანელობდა გალის რაიონის სოფელ შეშელეთის სკოლის ყოფილი დირექტორი შორენა ქვაჩახია. პედკოლექტივის წევრები იყვნენ: სვეტლანა ბოკერია, მარინე ბიბლაია, შორენა თოდუა, სვეტლანა არდაშელია, ბელა თოდუა, ნუნუ ესართია, თამაზ ბასარია, მარინა დოჩია, მანანა ბუიძე, რუსუდან სამუშია, ვიოლა ბასარია, ლიანა ჭანტურია, ლელა აბზიანიძე, ირინა ჟემჩუჟინა, მანანა რატიშვილი, ინგა ტორუა, ელგუჯა ობოლაშვილი. 1996 წელს სკოლის პირველი გამოშვება შედგა, თორმეტმა ახალგაზრდამ ატესტატი აიღო. სხვადასხვა დროს სკოლის დირექტორები იყვნენ მეცნიერ-მუშაკი დარეჯან ჩხეიძე და მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი ომარ ჯაღმაიძე.

დღეს ქართული სკოლა პეტერბურგის №122 სკოლაშია განთავსებული და იწოდება `სკოლა სწავლების ქართული ეთნოკულტურული კომპონენტით" დირექტორი - ვალერი ესართია. იგი სპეციალობით ისტორიკოსია. სულ 145 ქართველი სწავლობს. არიან ოსი, ჩერქეზი და ყაზახი ბავშვებიც

ვალერი ესართია

ვალერი ესართია: - მატერიალურად სკოლა სათვისტომო ,,ივერიის" თანადგომით არსებობს. შექმნილია აგრეთვე მშობელთა ფონდი, რომელიც შემოწირულობებით ივსება. სათვისტომოს მეშვეობით ახალი კომპიუტერული კლასი გავხსენით. სასწავლო პროცესი ძირითადად საქართველოს განათლების სისტემის პროგრამებს მისდევს, თუმცა ვიყენებთ რუსეთის ფედერაციის განათლების სიახლეებსაც. მაღალკვალიფიციური პედაგოგები გვყავს, საგნების ნაწილი რუსულ ენაზეც ისწავლება, მაგალითად, მათემატიკა. სკოლის მოსწავლეებს გადატანილი აქვთ ომის საშინელება, მძაფრი განცდები, ამიტომ მათ პატარა საქართველოს გარემოც უნდა შევუქმნათ. ამ თვალსაზრისით სერიოზული პედაგოგიური და ფსიქოლოდიური ალღოს გამოჩენაა საჭირო. ყველაზე დიდი პრობლემა მაინც სახელმძღვანელოებია. ჩვენი პედაგოგები იმ წიგნებით სარგებლობენ რაზედაც ხელი მიუწვდებათ, ჩვენ კი აქაურ სტანდარტებს ვერ ავცდებით. ბავშვებმა ხომ აქაურ უმაღლეს სასწავლებლებს უნდა მიმართონ, მათი ცოდნაც შესაფერისი უნდა იყოს. რუსულ

საგანმანათლებლო სისტემაში იგივე პროცესებია, რაც საქართველოში. სკოლებს მეტი ავტონომია მიეცათ, შესაძლებლობა აქვთ დამოუკიდებელი ნაბიჯები გადადგან. ასეთ სააწავლებლებში სწავლა ფასიანია. ამდენად, მათ თამამად შეუძლიათ თავიანთი საქმე აკეთონ, ჩვენ კი
სათვისტომოზე ვართ დამოკიდებული. გვაქვს ბიბლიოთეკის პრობლემა, დავიწყეთ ნაცნობებში წიგნების მოგროვება, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ატესტატების გაცემის საკითხმა. ქართულ სკოლადამთავრებულები თბილისიდან ჩამოსულ კომიასიას აბარებდნენ გამოცდებს და ატესტატს ქართულ ენაზე იღებდნენ. ახლა მათ ეძლევათ რუსული სკოლის ატესტატი და თავისუფალი არჩევანის საშუალება აქვთ.

ხათუნა ბეროძე – ბოჭორიშვილისა - ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი - დიდი ხანია პეტერბურგში ვცხოვრობ შვილებთან ერთად. სკოლის გახსნის დღიდან აქ ვმუშაობ, მიყვარს ჩემი საქმე. ბავშვებთან ყოფნის დროს საქართველოს სიყვარულს ვიკლავ. გასულ წელს ერთმა ჩემმა მოსწავლემ გამოცდები ჩააბარა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მეამაყება მისი წარმატება. ქართულ ენას ვასწავლი გარდა იმისა, რომ ბავშვებს ქართული მეტყველება, წერის კულტურა უნდა შევასწავლო, სამშობლოს სიყვარული, მისი ისტორიისადმი პატივისცემა უნდა ჩავუნერგო, ქართული ადათ-წესები ვასწავლო. ამისათვის მარტო საუბრები არ კმარა, ბავშვებს გარემო უნდა ჰქონდეთ, ამავე დროს უნდა იკითხონ ქართველი მწერლების ნაწარმოებები. პირდაპირი რეისების არქონის გამო ჭიანურდება ბიბლიოთეკის შევსების საკითხი. არადა კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა აუცილებელია. მშობლები დაძაბული ცხოვრებით ცხოვრობენ, ცდილობენ ყურადღება არ მოაკლონ ბავშვებს, მაგრამ სკოლას თავისი გასაკეთებელი აქვს.

დავით რუსია **ანსამბლი ,,ივერია”**

სკოლასთან არსებობს ვოკალურ-ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,ივერია” მეხუთე საერთაშორისო ფესტივალის ,,სადკოს” ლაურეატი. ანსამბლის მხატვრული ხელმძღვანელია საკავშირო და საერთაშირისო კონკურსების და ფესტივალების ლაურეატი კულტურის დამსახურებული მუშაკი დავით რუსია. ვოკალური ხელმძღვანელი საკავშირო ფესტივალისა და საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი ირაკლი რუსია. ანსამბლი ქალაქში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

ქართული ეკლესია სანკტ-პეტერბურგში

როცა მამა რომანოზს ვკითხე, თუ რომელი დღე იყო მისთვის ყველაზე ბედნიერი ცხოვრებაში, უყოყმანოდ მიპასუხა:
- დღე, როცა სანკტ-პეტერბურგის შესტაკოვის ღვთისმშობლის ამაღლების ეკლესიის წინამძღვარი გავხდი. ,,სანკტ პეტერბურგელი ქართველების სულიერი თავშესაფარი“

– ქართული ეკლესია სტარორუსსკაიას ქუჩაზე 1992 წელს ამოქმედდა. რომელი უწყების კარს არ ატალახებდა საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII შთამომავალი ექიმი ფსიქიატრი, ხატმწერი არისტო ამირანის ძე ბაგრატიონი, რათა პეტერბურგელ ქართველობას გადასცემოდა მათი კუთვნილი ეკლესია, რომელიც ვასილიოსტროვსკის რაიონში მეექვსე ხაზზე მდებარეობდა. შემდგომში ეს ეკლესია ,,სამი წმინდანის” სახელით ცნობილი ბაგრატიონთა სამეფო კარის ეკლესიას წარმოადგენდა. 1917 წელს იქ კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორია დაბინავდა. იქაურ საფლავებზე კი საცდელი აუზი დააშენეს. ეკლესიის კედლის ქვაზე ამოტვიფრული ქართული წარწერა კი გვაუწყებდა, რომ კახელი თავადის ნოდარ ჯორჯაძის ასული გუკო თავისი ფულით აშენებულ ამ სალოცავს ქართველებს უტოვებდა. ამ ეკლესიის დაბრუნება არ მოხერხდა, მაგრამ 1991 წელს ქალაქის ადმინისტრაციის, პეტერბურგის მაშინდელი მერის სობჩაკის მონდომებით ქართველ მრევლს შესტაკოვის ღვთისმშობლის ამაღლების ეკლესიის შენობა გადაეცა. ეს ეკლესია 1900 წელს აშენდა. ოქტომბრის რევოლუციის წლებში ეკლესიას გუმბათები და ჯვრები ჩამოგლიჯეს, შიგნით საერთო საცხოვრებელი მოაწყვეს, საკურთხეველში საპირფარეშოები განათავსეს. შემდეგ აქ რესტავრაციის საპროექტო ინსტიტუტის ფილიალი გახსნეს.

პეტერბურგელი ქართველები გულმოდგინედ შეუდგნენ შენობის აღდგენის საქმეს. სარდაფი ერთ წელიწადში გაასუფთავეს, საკურთხეველი მოაწყვეს და წირვა-ლოცვა აღავლინეს. სამუშაოებს მთლიანად აფინანსებდა სათვისტომო ,,ივერია” და მას გვერდით ედგა: ,,პეტროხოლოდის” ხელმძღვანელობა, სტეფანე

რაზინის სახელობის ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების სააქციონერო საზოგადოების გენერალური დირექტორი გია გვიჩია, პეტერბურგის ადმინისტაციის სამშენებლო კომიტეტის დირექტორის მოადგილე ჯამბულ გადელია, ეკონომისტთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი სოსლან ხარებოვი, ტრესტ ,,რეკონსტროის" გენერალური დირექტორი ბორის ბერულავა და ბიზნესმენი სოსო კუტალია. ორი სასწაულის მოწმე გახდა ქართული მრევლი. უცნობმა პიროვნებამ ქართულ ეკლესიას სამი წმინდანის:
ვასილი დიდის, გრიგოლ ღვთისმეტყველისა და იოანე ოქროპირის უძველესი ხატი შემოწირა, რომელიც აფხაზეთში ცხოვრობდა და იქვე მიიცვალა. ხატი ადრე ვასილიოსტროვსკის რაიონში მდებარე ქართველთა ყოფილი ეკლესიის საკუთრება იყო. მასზე წმინდანების გამოსახულება საერთოდ არ ჩანდა. 1995 წელს შობის დღეებში ხატს პირვანდელი სახე დაუბრუნდა. 1999 წელს 25 მარტს ეკლესიის თავზე პირველი გუმბათი დაიდგა, რომელიც ჯამბულ გადელიას შეწირული თანხით იქნა
აგებული. გუმბათის სვეტი საოცარი ნათელით შეიმკო, გადელიების ოჯახში კი ნანატრი შვილი – ანა გადელია გაჩნდა. 1995 წელს ეკლესიის გაძარცვის მცდელობის დროს სასიკვდილოდ დაჭრეს ეკლესიის მრევლთა საბჭოს თავჯდომარე არისტო ბაგრატიონი. ექიმები ათი დღე იბრძოდნენ მისი სიცოცხლის გადასარჩენად. საქართველოს კათალისკოსმა ილია მეორემ პარაკლისი გადაიხადა ბაგრატიონთა შთამომავლის გადარჩენისთვის. გამოჯანრმთელების შემდეგ მან ჩვეული გულმოდგინებით გააგრძელა თავისი საქმიანობა - ხატწერა. ეკლესიის ყველა ხატი, ყველა სამშენებლო დეტალი მისი კონსულტაციით კეთდება. 1996 წლიდან სანკტ პეტერბურგის ქართული ეკლესიის წინამძღვრად ილია მეორის ლოცვა - კურთხევით დაინიშნა მამა რომანოზ (ომარ) ვეფხვაძე.

მამა რომანოზი

დაიბადა 1942 წელს ხარაგაულის რაიონში. პროფესიით სტომატოლოგი დიდხანს მუშაობდა თბილისის მეშვიდე სტომატოლოგიურ კლინიკაში. შემდეგ სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. ცხუმ-აფხაზეთის ყოფილი მიტროპოლიტის დავით ჭკადუას რეკომენდაციით იგი ხელდასმული იქნა

მღვდლად, 1981 წელის კი დაინიშნა სოხუმის საკათედრო ტაძრის მოძღვრად. მან თავის მრევლთან ერთად გამოიარა ჯოჯოხეთური ჭუბერის გზა. ერთი თვის განმავლობაში ნუგეშს აძლევდა, შველოდა აფხაზეთიდან დევნილ ქართველებს. კათალიკოს პატრიარქის კურთხევით მამა რომანოზი ჯერ ბოლნისის წმინდა ნინოს ტაძარში მსახურობდა, შემდეგ თბილისში თემქის წმინდა გიორგის ეკლესიაში. ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და შვილიშვილი. მამა რომანოზს უდიდესი წვლილი მიუძღვის ეკლესიის აღდგენის საქმეში, იგი თვითონაც იდგა ხარაჩოებზე მშენებლებთან ერთად, ამოწმებდა ყველა დეტალს. 1992 წელს ქართველმა მრევლმა მოილოცა ალექსანდრე სვირსკის მონასტერი. ქართველებისთვის ეს მონასტერი იმით არის საინტერესო, რომ 1811 წელს აქ გადმოასახლეს აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოსი ანტონ II (თეიმურაზ ბაგრატიონი). 1817 წელს კი ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ექვთიმე (შერვაშიძე), რომელიც ღრმა მოხუცებულობამდე მოღვაწეობდა და აქვე აღესრულა. 2001 წელს მიტროპოლიტის ნეშტი პეტერბურგის ქართულ ეკლესიაში გადაასვენეს. 2002 წელს მამა რომანოზმა კარელიაში პანაშვიდი 1937 წლის რეპრესიების მსხვერპლთა სულების მოსახსენიებლად აღასრულა. 2003 წელს ოქტომბერში მოსკოველ ქართველ მრევლთან ერთად პეტერბურგის ქართული ეკლესიის წინამძღვარმა მოილოცა საქართველოს ეკლესიები. მჭიდრო კავშირი დამყარდა მოსკოვის წმინდა გიორგის სახელობის ქართულ ეკლესიასა და პეტერბურგის ეკლესიებს შორის. 2004 წელს პეტერბურგის ქართველი მრევლი ეწვია მოსკოვის სერგის სამების ლავრის სამონასტრო კომპლექსს, ქრისტეს მაცხოვრის უნიკალურ ტაძარს, რომლის მშენებლობაში დიდი წვლილი მიუძღვის ქართველ მხატვარს, რუსეთის სამხატვრო აკადემიის რექტორს ზურაბ წერეთელს, მოილოცეს წმინდა მატრონას საფლავი და კრემლის ვოსკრესენსკის კარებთან მდებარე ივერიის ღვითსმშობლის სამლოცველო. შემდეგ კი ჯგუფი დონის მონასტერს ეწვია, რომელიც პეტრე I არჩილ მეფეს უძღვნა საჩუქრად. მონასტერი არჩილ მეფემ და მისმა ქალიშვილმა დარეჯანმა აღადგინეს. აქვეა ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის დიდი საძვალე. დარეჯანმა მოსკოვში ,,ყველა წმინდანის" სახელობის ეკლესია ააგო. გადმოცემით ეკლესიის შესასვლელშია დაკრძალული სულხან საბა ორბელიანი. 1729 წელს მეფე ვახტანგ VI რუსეთის იმპერატორმა პეტრე III აჩუქა სოფელი ვოსკრესენსკი, რომელიც ,,გრუზინოს" სახელწოდებით იყო ცნობილი. 1749 წელს გიორგი ვახტანგის ძე ბაგრატიონმა აქ წმინდა გიორგის ეკლესია ააშენა. იქვე სკვერშია აღმართული შოთა რუსთაველის ძეგლი. გიორგი ბაგრატიონი მთელ რუსეთში ქველმოქმედებით იყო ცნობილი. მან ათი ათასი მანეთი შესწირა მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის მშენებლობას. ამ ეკლესიებში წირვა-ლოცვა ერთობლივად აღავლინეს მოსკოვისა და პეტერბურგის ქართული ეკლესიების წინამძღვრებმა. მამა რომანოზი, არისტო ბაგრატიონი, სათვისტომოს პრესცენტრის ხელმძღვანელი ნანა ზარნაძე ხშირად დადიან ალექსანდრე ნეველის ლავრაში თანამემამულეთა საფლავებზე, საისტორიო არქივებში ქართველთა სამარხების ადგილმდებარეობას ეძებენ. ეკლესიის უზარმაზარი შენობის რეკონსტრუქცია დიდძალ ხარჯებს მოითხოვს, რაშიც მონაწილეობას მხოლოდ ქართული სათვისტომოს წარმომადგენლები იღებენ. ეკლესიაში უფასოა ჯვრისწერა,

ნათლობა და პანაშვიდები. მრავალი გაჭირვებული აკითხავს ეკლესიას დასახმარებლად, მამა რომანოზი ყველას ეხმარება შეძლებისდაგვარად. მის მიერ შედგენილი ბროშურა მორწმუნე ქრისტიანთათვის უსასყიდლოდ ვრცელდება. ეკლესიის შესასვლელში ორი დაფაა: ქართულ და რუსულ ენებზე. წირვა-ლოცვა ორივე ენაზე მიმდინარეობს, სინქრონული თარგმანის რეჟიმში კი არა, რიგრიგობით, ქართულად და შემდეგ რუსულად. 8 იანვარს ისაკიევსკის საკათედრო ტაძარში მართლმადიდებლური რუსული ეკლესია საყოველთაო ლოცვას აღავლენდა. რუსი მოძღვრების გვერდით ჩვენი მამა რომანოზი ღირსეულად გამოიყურებოდა.

მამა რომანოზი ისაკიევსკის ტაძარში

- მამაო რომანოზ, ყველას იცნობთ?

- თითქმის. სულმნმათმა ილიამ გვიანდერძა: მამული, ენა, სარწმუნოება. აქ პატარა საქართველო გვაქვს.. ბავშვებს დაბადებიდან ვიცნობ, მშობლებს ქორწინებიდან. დიდ დღესასწაულებზე ვერ ვეტევით. ქართული სათვისტომოს არქივი და ისტორიაც აქ გვაქვს. ყველა შინაურია, შეხვედრების ადგილიც აქ არის და მონატრებისაც. ქართული ლოცვა-კურთხევა ისმის, ქართული საგალობელი, კამათი და მსჯელობა საქართველოზე. სულიერად და მატერიალურად შეჭირვებულნი საზრდოს ნახულობენ, ხშირად პრობლემებსაც იგვარებენ. დღეს პეტერბურგში დაახლოებით 35000 ქართველი ცხოვრობს. ყველას ვერ გავწვდებით, მაგრამ ეკლესიის კარი ღიაა, ვისაც სურვილი აქვს ქართულ ენაზე მოისმინოს ლოცვა. ჩვენი მრევლის ნაწილი ამ რაიონის მცხოვრებნი არიან. კალამსკის ღვთისმშობლის ხატი რუსებმა გვაჩუქეს. დაძაბულობის დროს განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდნენ, მლოცველი ქალები მოდიოდნენ, მოჰქონდათ ყვავილები და გვამხნევებდნენ.

ავთანდილ შენგელია

ეკლესიის რესტავრაციაზე ორი წელია მუშაობს ავთანდილ შენგელია. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი, ქართველ მხატვართა ასოციაციის წევრი. მისი ნამუშევრები ინახება სოხუმის სახვითი ხელოვნების გალერეაში, საქართველოში, საფრანგეთში, გერმანიაში, ჰოლანდიაში, ამერიკაში, შვედეთში, თურქეთში, შვეიცარიაში, რუსეთში, იტალიასა და ინგლისში. მონაწილეობა მიღებული აქვს ჯგუფურ და ინდივიდუალურ გამოფენებში ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. 1985 წელს ფრესკები კირილ-ბელოვსკის მონასტერში აღადგინა. შეყვანილია 2000წლის კატალოგში ,,თანამედროვე ქართული მხატვრობა".

ეკლესიის მრევლი



გუდა აფაქიძე

გუდა აფაქიძე სამრევლოს საბჭოს თავმჯდომარეა. იგი აკადემიკოს ანდრია აფაქიძის ვაჟია, პროფესიით ისტორიკოსი, აღმოსავლეთმცოდნე, საკუთარი ხარჯებით გამოსცემდა ორენოვან გაზეთს ,,ივერიის ტელეგრაფი". ქართველოლოგი სტუდენტები სიხარულით თანამშრომლობდნენ ბატონ გუდასთან. გამომცემლობა ,,ვიტანოვამ" ფინეთში დაბეჭდა შოთა რუსთაველის

,,ვეფხიტყაოსნის" ორტომეული. ქართული ტექსტი ბატონმა გუძამ აკრიფა. გერცენის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის თხოვნით, მან მონაწილეობა მიიღო პროექტში რუსული სკოლის ქართველენოვანი ბავშვებისათვის სახელმძღვანელოს შედგენაში.

ნათია გოგიტიძე, ნანა ზარნაძე

ნანა ზარნაძე - სათვისტომოს პრესცენტრის ხელმძღვანელი, ჟურნალისტი, პეტერბურგის სასამართლო დეპარტამენტის თარჯიმანი, ქართველების სული და გული. ოცი წლის წინ ჩავიდა პეტერბურგში ოჯახთან ერთად და მუშაობა დაიწყო ქალაქის საბჭოში მთავარ სპეციალისტად, მისი მოღვაწეობის მიზანია მიაკვლიოს ქართულ კულტურულ მემკვიდრეობას და ხელმისაწვდომი გახადოს ქართველი ხალხისათვის.

– შეიძლება ითქვას, რომ ქართული სათვისტომოსა და მისი საქმეების მეისტორიე ვარ. სამ წიგნს ვუტოვებ ქართველობას მათში პეტერბურგელი ქართველების ცხოვრებაა აღწერილი. ჩემთვის მთავარია ის, რომ უპრეტენზიოდ ვაკეთებ ჩემს საქმეს, არც რეკლამა მჭირდება. მივალ დავალაგებ ეკლესიას, დაღლას ვერ ვგრძნობ. დავდივარ ალექსანდრე ნეველის ლავრაში და ვასუფთავებ ნიკო მარის, დავით ჩუბინიშვილისა და ბაგრატიონების საფლავებს. შვილიშვილიც თან დამყავდა და ვუხსნიდი, ვუყვებოდი საქართველოს ისტორიის ამბებს. ჩემი ქალიშვილი ნონა ჯანგველიძე ექიმი ფსიქიატრია. ყველაფერი გავაკეთე იმისათვის, რომ ჩემი ქალიშვილი და შვილიშვილი საქართველოში დაბრუნებულიყვნენ. მე და ნონა გაზეთ ,,სახალხო გაზეთისა" და ,,დილის გაზეთის" ფურცლებზე ვაქვეყნებდით ,,ივერიის" საქმიანობის ქრონიკებს. ეკლესიის პირველ სართულზე არქივს ვინახავთ, კედლებზე თემატურად დალაგებული სტენდები იმის საშუალებას იძლევა, რომ ეკლესიაში შემოსულ ბავშვებს გავაცნოთ ქართველების საქმიანობა პეტერბურგში.

ტარიელ ყენია, ნათია გოგიტიძე, ნანა ზარნაძე, დათო ჩლაიძე ეკლესიაში

დათო ჩლაიძე

მოქანდაკე - 1994 წლიდან პერიოდულად ვიმყოფები ზურაბ წერეთლის სახელოსნოში მოსკოვსა და პეტერბურგში. მონაწილეობას ვიღებ პროექტებისა და ქანდაკებების შექმნაში. ამჟამად ვმუშაობთ პიანისტ რასტრაპოვიჩის ქანდაკებაზე. ცნობილია, რომ იგი დაიბადა და გაიზარდა ბაქოში, ქანდაკებაც იქ უნდა დაიდგას. ბევრი რამ წავიკითხე ამ დიდ ხელოვანზე. თავის დროზე მისი აზროვნება შეაფასეს როგორც ანტისაბჭოური და მოქალაქეობაც ჩამოართვეს. საერთოდ, როცა მუშაობას ვიწყებ სკულპტურაზე, ყოველთვის ვსწავლობ პიროვნების ცხოვრებას, მის სულს, სხვანაირად შეუძლებელია ნამუშევარი სრულყოფილი გამოგივიდეს, სულიერი ერთობა უნდა იგრძნო. ეკლესიაში ხშირად დავდივარ, ვლოცულობ, ვისვენებ, ძალას ვიკრებ და განწმენდილი მივდივარ. ტარიელ ყენია - ,,ლენფილმის" მსახიობი 1980 წლიდან პეტერბურგში ცხოვრობს. ის იმ თაობის ქართველებს ეკუთვნის, რომლებმაც
სათავე დაუდეს დღევანდელ სათვისტომოს. ილია ლეზგიშვილთან, შალვა გაგელაშვილთან, ნუგზარ ხონელიძესთან, ჯუმბერ ეზუგბაიასთან ერთად ტარიელ ყენიაც მონაწილეობდა კონცერტებსა და ღონისძიებებში, რომელსაც ქართველები აწყობდნენ 25 თებერვალს. ეს იყო საქართველოს გასაბჭოების წინააღმდეგ მიმართული ერთგვარი პროტესტი.

მრევლი

გიორგი წიკლაური: – ქართული ეკლესია ჩვენთვის საქართველოსთან დამაკავშირებელი ხიდია. ხანდახან რუს მეგობრებთან ერთად მოვდივართ და ვანთებთ სანთელს. მთავარია, სულით გავძლიერდეთ, ამაში ღმერთი დაგვეხმარება.

ანტონ წიკლაური: – დევნილები ვართ აფხაზეთიდან. ქართული ეკლესია ჩვენი სულიერი საზრდოა, როცა გვიჭირს, აქ ვართ, როცა გვილხინს, აქ ვართ, ვხედავთ ერთმანეთს და თითქოს ვძლიერდებით.

გელა წიკლაური - ვცხოვრობთ ქართულად, მამა რომანოზი ჩვენი ქალაქიდან მოვიდა აქ. მასთან განსაკუთრებულ სიახლოვეს ვგრძნობთ.

გელა ობოლაძე - უნივერსიტეტის სტუდენტი ვარ. ეკლესიის აღდგენით სამუშაოებში ვმონაწილეობდი და ყოველთვის მზად ვარ, თუ საჭირო ვიქნები.

გიორგი გორდეზიანი

გიორგი გორდეზიანი: – დედაჩემი - ლიანა ბეჭვაია სათვისტომოს წევრი იყო. იგი ჩემ დასთან ერთად საქართველოში დაბრუნდა. ჩემი თანატოლებიდან ბევრი ოცნებობს საქართველოში დაბრუნებაზე. გვაფიქრებს ის, გვექნება თუ არა იქ სამუშაო. ჩემი აზრით, მთავარია ჯანმრთელობა, ღმერთი არ მიგვატოვებს ულუკმაპუროდ. გული დაგვწყდა, როცა გავიგეთ, რომ საარჩევნო უბანი არ იხსნებოდა ქალაქში, გვინდოდა ჩვენც მიგვეღო მონაწილეობა საქართველოს ასეთ

მნიშვნელოვან მოვლენაში. პრეზიდენის სტუმრობა ქართველებისთვის დღესასწაული იყო. მივხვდით, რომ მოწყურებული ვიყავით სამშობლოდან ყურადღებას, სითბოსა და პატრონობას.

გია ნადირაძე

გია ნადირაძე: – გავბედავ ღვთის წინაშე და ვიტყვი: მორწმუნე ადამიანი ვარ. ყველა საეკლესიო დღესასწაულზე აქ ვარ. ვერ წარმომიდგენია სხვაგან ავანთო სანთელი. ქართული ეკლესიის ხატები და ფრესკები საოცრად მამშვიდებს. როცა რუსი ოსტატი ხატავს წმინდანს, იგი რუსს ჰგავს. როცა ქართველი ხელოვანი ასრულებს თავის ნამუშევარს, თავისთავად ქართული სახე გამოსდის. ეკლესიის რესტავრაციის საქმეში ყოველთვის ვმონაწილეობდი. იცით, მოძღვარზეც ბევრი რამ არის დამოკიდებული. მამა რომანოზი ჩემი საუკეთესო მეგობარია. ეკლესიის კარიბჭეში ფეხს რომ შემოვადგამ, მგონია საქართველოში შემოვაბიჯე. მართალია, აქ სალოცავად სხვა ერის შვილებიც დადიან, მაგრამ ქართველებისთვის ტოლერანტობა უცხო არ არის. პეტერბურგში დიდი ხანია ვცხოვრობ. მყავს მეუღლე - ჩხიკვიშვილი ნათელა, უცხო ენების სპეციალისტი. ქალიშვილი ნინო ნადირაძე. პეტერბურგის I სამედიცინო ინსტიტუტის VI კურსის სტუდენტია. ვაჟი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტზე სწავლობს. ამჟამად დედასთან ერთად თბილისში ცხოვრობს. მშობლიურ ქალაქ სამტრედიას წელიწადში რამდენიმეჯერ ვსტუმრობ. აქ კაფე-რესტორანი მაქვს, ქართველების თავშეყრის ერთ-ერთი ადგილია. მოდიან, ქართულ კერძებს მიირთმევენ, ქართულ მუსიკას უსმენენ. ზოგს უჭირს, ზოგს ულხინს. როგორც ვახერხებ, ისე ვეხმარები ყველას.

პეტერბურგის ქართული ეკლესიის სარესტავრაციო სამუშაოები გრძელდება.

ქორეოგრაფიულ-ფოლკლორული ანსამბლი ,,სიხარული”

ანსამბლი ,,სიხარული”

მსოფლიო დიდი ხანია იცნობს ქართულ ხელოვნებას, მაგრამ უცხოეთში შექმნილი ყველა ანსამბლი ახალი სიცოცხლის დაბადებას ჰგავს. ის სამშობლოდან მოწყვეტილი ადამიანისთვის მშობლიურ ფესვებთან კავშირია და ერთგვარი კულტურული ელჩის როლსაც ასრულებს. 2000 წელს პეტერბურგის კულტურულ ცენტრ ,,ტროიცკისთან” ჩამოყალიბდა ქართულ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ,,სიხარული”. ანსამბლის მხატვრული ხელმძღვანელი ჯანო და ეთერ ლიპარტელიანები იყვნენ. ბატონი ჯანო ლიპარტელიანი ლენტეხის რაიონის სოფელ ყვედრებში დაიბადა 1943 წელს. სოფელში ანსამბლი შექმნა, ცეკვავდა და თავისი საქმე უყვარდა. თბილისის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის ქორეოგრაფიულ განყოფილებაზე სწავლის პერიოდში თავისი ბედი ეთერ მახარაშვილს დაუკავშირა. ცოლ-ქმარი გალის რაიონში გაანაწილეს სამუშაოდ. წარმატებები თავისთავად მოდიოდა ნიჭიერი ახალგაზრდების ცხოვრებაში. 1970 წელს ინდივიდუალურ შემსრულებელთა კონკურსში ლაურეატის წოდება მიენიჭათ. გალის რაიონში მათ ჩამოაყალიბეს სიმღერისა და ცეკვის პირველი ანსამბლი, შემდეგ კი დაიბადა ,,სიხარული”, რომელიც არა მარტო საქართველოს ფარგლებში, არამედ საკავშირო ფესტივალებზე, მოსკოვში ჩატარებულ გამოფენებსა და ფესტივალზე რამდენიმეჯერ დაჯილდოვდა დიპლომებითა და მედლებით; შემდეგ იყო პოლონეთის 1980-1985 წწ. მსოფლიო ფესტივალები. 1991 წელს ანსამბლი ,,სიხარული” ამერიკაში იმყოფებოდა ოცდახუთდღიან გასტროლებზე, მონაწილეობდა ფესტივალში ,,მშვიდობა მსოფლიოს ბავშვებს”; კონცერტებით გამოვიდნენ ვაშინგტონში, ნიუ-იორკში, პრინსტონში და სირაკიუზში. ვინ იფიქრებდა, რომ საზღვარგარეთ ასეთი წარმატება ,,სიხარულისთვის” ბოლო იქნებოდა. 1992 წელს აფხაზეთის ტრაგედიის შემდეგ ლიპარტელიანების ოჯახს სამშობლოც დაატოვებინეს,

ნალოლიავები სახლ-კარიცა და საყვარელი საქმეც. ბედისწერამ რუსეთის ერთ-ერთ მეგაპოლისში –სანკტ პეტერბურგში მოახვედრა. ქორეოგრაფებმა აქ ორი ანსამბლი ჩამოაყალიბეს: ბავშვთა ანსამბლი ,,სამშობლო" და მოზრდილთა ჯგუფი ,,მერანი". ისინი ცეკვავდნენ ქალაქის პრესტიჟულ ღონისძიებებზე და დიდი წარმატებებით სარგებლობდნენ. 1999 წელს კულტურული ცენტრის ,,ტროიცკის" ბაზაზე ჩამოყალიბდა ანსამბლი ,,სიხარული". მასში 5დან 14 წლამდე 79-ზე მეტი ბავშვია გაერთიანებული.

ირაკლი კალიაევი-ბრეგვაძე

2002 წლის 22 დეკემბერს ჩატარებულ ფესტივალში ,,Мир одна семья" ანსამბლს პირველი პრიზი ,,ოქროს სამოვარი" გადაეცა.
2002 წელს ფოლკლორული მუსიკის საერთაშორისო ფესტივალს ,,რუსკაია ვესნას" ლაურეატია,
2003 წელს ბალტიისკის VIII ხელოვნების საბავშვო ფესტივალზე ,,Мы Петербуржцы" 2003 წელს ხალხური შემოქმედების საქალაქო ფესტივალი ,,Три века С.П. - ლაურეატობა მოიპოვა.
2003 წელს ჩატარდა სანკტ პეტერბურგის საზოგადოებრივი ორგანიზაციების IV ფესტივალი ,,Возьмемся за руки, друзья."
2004 წელს საბავშვო – საყმაწვილო მხატვრული შემოქმედების ღია ფესტივალი ,,Мир нужен всем".
2005 წელი – ხალხური შემოქმედების საერთაშორისო ფესტივალი ,,Сестрорецкое подворье."
2005 წელი – ხალხური შემოქმედების საერთაშორისო ფესტივალი ბერლინში ,,Сияние звезд".
2006 წელი – საქალაქო ფესტივალი ,,Фолклор народов мира"
2006 წელი –საერთაშორისო ფესტივალი ,,Дети многонациольного Петербурга."
2006 წელი – კოლექტივი წარსდგა მაღალი კომისიის წინაშე და მოიპოვა სანიმუშო კოლექტივის სახელი.

2007 წელი – ანსამბლის ხელმძღვანელები ჯანო და ეთერ ლიპარტელიანები დაჯილდოვდნენ ქების სიგელებით რაიონული, საქალაქო და საერთაშორისო ფესტივალებსა და კონკურსებში აქტიური მონაწილებისთვის.
2007 წელი – სანკტ პეტერბურგის ნევის რაიონის ადმინისტრაციამ IV ტრადიციული საბავშვო ფესტივალში მონაწილეობისათვის ლაურეატის დიპლომი გადასცა.

”ანსამბლი სიხარული”

რამდენი შრომა, დაძაბულობა, იმალება ამ წარმატებების მიღმა. მარტო შრომისმოყვარეობითა და ნიჭით რას გახდებოდნენ ქართული სათვისტომოსა და ბადრი კაკაბაძის მხარდაჭერა რომ არა. ამიტომაც არის კონცერტების საპატიო სტუმარი ბატონი ბადრი და მისი ოჯახი. ბატონ ჯანოსთან და ქალბატონ ეთერთან ერთად ანსამბლის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობს მისი ქალიშვილი სოფიკო – ანსამბლის მხატვრული ხელმძღვანელი და ვაჟიშვილი დავითი. ანსამბლის საქმიანობას განსაკუთრებულ ელფერს აძლევს ის, რომ ცეკვების მუსიკალური გახმოვანება აკორდეონისა და დოლის თანხლებით მიმდინარეობს. აკორდეონისტი - თბილისელი რუდოლფ მურადიანი, მედოლეები – დავით ლიპარტელიანი, გიზო ჯალაღონია.

სოფიკო ლიპარტელიანი ოჯახთან

სოფიკო ლიპარტელიანი: – ცეკვა ჩემი ცხოვრების არსია. 5 წლიდან ვცეკვავ, გალის კულტურის სახლთან არსებული **,,ლომის ბოკვერი"** ჩემი პირველი ანსამბლი იყო. დაუვაწყარ მოგონებად დამრჩა ამერიკული ფესტივალი. დღეში ორ-სამ კონცერტს ვმართავდით სხვადასხვა ქალაქებში, ვიყავით პრეზიდენტ ბუშის კაბინეტში, საჩუქრად გადავეცით თეთრი ჩოხა. ამერიკელმა მაყურებელმა გულთბილად მიგვიღო. ამით გულმოცემულებმა გადავწყვიტეთ კრუიზით მოგვევლო ზღვისპირეთი, მაგრამ აფხაზეთის მდგობარეობამ საკუთარ ქვეყანაში დევნილებად გვაქცია. ოჯახური გაჭირვებისა და არეულობის გამო მამაჩემი პეტერბურგში წამოვიდა. ჩვენ კასპში დავმკვიდრდით; დროებით მალე დედაც წამოვიდა. მე კი ჩემი დარდის გასაქარვებლად ქსნის კულტურის სახლში ქორეოგრაფიული წრე შევქმენი. გაუსაძლისი დრო იყო. არც გათბობა, არც შუქი, არც ტრანსპორტი, ეკონომიური სიდუხჭირე. ანსამბლს **,,ლომის ბოკვერი"** დავარქვი. მოცეკვავეებს შორის ლტოლვილებიც იყვნენ. ისინი დღესაც იხსენებენ სანთლის და ლამპის შუქზე ჩატარებულ რეპეტიციებსა და კონცერტებს. ცეკვამ ბევრი გულისტკივილი და გასაჭირი გადაგვატანინა. არდადეგებზე პეტერბურგში ჩამოვდიოდი. ბოლოს მშობლების თხოვნით დავრჩი და მათთან ერთად გავაგრძელე მუშაობა. დასვენების დრო საერთოდ არ მქონდა. პარალელურად ცეკვას ვასწავლიდი ქართულ სკოლაში. ცენტრ ,,ტროიცკიში" ჩამოყალიბებულ ანსამბლს ჩემმა მშობლებმა ,,სიხარული" დაარქვეს. ორჯერ მივიღეთ საჩვენებელი ქოლექტივის სახელი. სამწუხაროდ, ამ ანსამბლის სულის ჩამდგმელი ჯანო ლიპარტელიანი ცოცხალი აღარ არის. დედა და ძმა თბილისში დარჩნენ. ჩემს თავზე ავიღე ამ ანსამბლის ბედი, სიტყვა მივეცი და უნდა შევასრულო. სპეციალობით ფილოლოგი ვარ, მაგრამ მოწოდებით ქორეოგრაფი. მშობლების გამოზრდილი მოცეკვავეები ქრისტინა ბულია და ირაკლი კუბლაშვილი მხარში მიდგანან და ეს ანსამბლი იარსებებს, სანამ შევძლებ მის ხელმძღვანელობას. ,,სიხარული" შვიდი წლისაა. თუ მესამედაც შევინარჩუნეთ სანიმუშო ქოლექტივის სახელი, კულტურის სამინისტრო სახალხო ანსამბლის წოდებას მოგვანიჭებს. პეტერბურგში გავიცანი მერაბ კისკეიძე, დავქორწინდით, ჯვარი სანკტ-პეტერბურგის ქართულ ეკლესიაში დავიწერეთ. მეუღლე სპეციალობით ექიმი და იურისტია. გვყავს ორი შვილი: ლიზი და გიორგი.

მამულიძე მზია - მშობელი: - ბატონმა გია გვიჩიამ ანსამბლს საცეკვაო ფორმები შეუძინა და გერმანიაში გასტროლებიც დააფინანსა. ბერლინის საერთაშორისო ფესტივალზე ,,სიხარულის" ყველაზე პატარა მონაწილე იყო. ჩემი ექვსი წლის გოგონა ეკა ბეჟანიშვილი და შვიდი წლის ალექსანდრე ჯიქია. 12 წელია რაც რუსთავიდან აქ ჩამოვედით. ყოველ წელს ჩამოვდივართ საქართველოში სამი თვით. თინათინს და ეკას ცეკვა ყოველთვის უყვარდათ. საკმაოდ შორ მანძილზე კვირაში სამ-ოთხჯერ დავდივართ ცეკვაზე. მშობლებიც დავმეგობრდით, ბავშვებს ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან. ქართული ცეკვისა და სიმღერის გარეშე ვერ ვიცხოვრებთ.

ანა ცირდავა და ომარ კალიაევ-ბრეგვაძე

ანა ცირდავა: – შესანიშნავი მოქართულე, წყვილში **ომარ კალიაევ-ბრეგვაძესთან** ცეკვავს.

– დავიბადე 1994 წელს თბილისში. ცხრა წელია პეტერბურგში ვცხოვრობთ. ანსამბლში დედამ ოთხი წლის წინ მომიყვანა. ქართული ცეკვა ძლიერ მაგონებს სამშობლოს. ცეკვის ქართველი მეგობრები ჩემთვის განსაკუთრებული მეგობრები არიან.

შუაში ლეილა ენუქიძე

,,სიხარულის" განუყოფელი ნაწილია ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლი, რომელსაც სოხუმის კულტურის სახლის ყოფილი დირექტორი ქალბატონი **ლეილა ენუქიძე** ხელმძღვანელობს. ბავშვები მღერიან ქართული ხალხური საკრავების თანხლებით.

– ყველაფერი დავკარგე აფხაზეთის ომის გამო, მომავალი ბუნდოვანი იყო, როცა ამ ქალაქში ჩამოვედი. რა მემღერებოდა, მაგრამ მაინც ვმღეროდი, სხვანაირად არ შემეძლო. ძალა მოვიკრიბე და გადავწყვიტე, რომ უფლება არ მქონდა ჩემი ცოდნა და ქართული სიმღერებისადმი სიყვარული ქართველი ბავშვებისთვის არ გადამეცა. მშობლები დღე და ღამე ლუკმა-პურისთვის იბრძოდნენ, სულიერებისთვის, ხელოვნებისთვის დრო არ რჩებოდათ, ეს მე უნდა გამეკეთებინა; ეს ჯანოს, ეთერის, სოფიკოს უნდა გაეკეთებინათ და ყველანი ერთად დიდ საქმეს შევეჭიდეთ. იცოდეს საქართველომ უცხოეთში გადმოხვეწილი თავისი შვილების ამბავი. ჩვენ აქაც ქართულ საქმეს ვაკეთებთ, ისე, როგორც შეგვიძლია, ჩვენი ნიჭით და უნარით. ფოლკლორულ ანსამბლში ორი აფხაზი გოგონა მღერის: ,,მოგვწონს ქართული სიმღერა და გვენატრება. მშობლებსაც სიამოვნებთ მათი მოსმენა - ამიტომ დავდივართო" - მითხრეს. ასეთია ,,სიხარულის" ცხოვრება. რუსეთის ჩრდილოეთის ქალაქში ბედით თუ უბედობით გადმოხვეწილი ქართველი ბავშვებისათვის ,,სიხარული" მართლაც სიხარულია.

ალექსი ბაინდურაშვილი

ალექსი ბაინდურაშვილი

2007 წლის 26 აგვისტოს პეტერბურგის სამედიცინო საზოგადოებამ დაბადებიდან 60 წლისთავი მიულოცა ალექსი გიორგის ძე ბაინდურაშვილს. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პრფესორს, გ.ი. ტურნერის სახელობის ბავშვთა ორთოპედიული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი სანკტ –პეტერბურგის დიპლომისშემდგომი განათლების სამედიცინო აკადემიის ბავშვთა ტრავმატოლოგიის და ორთოპედიის კათედრის გამგე, ჯანდაცვის კომიტეტის მთავარი ბავშვთა ტრავმატოლოგ ორთოპედი. 1971 წელს მან

დაამთავრა ლენინგრადის პავლოვის სახელობის №1 სამედიცინო ინსტიტუტი და 36 წელია მუშაობს ტურნერის სახელობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. აქ იგი გახდა გამოჩენილი სპეციალისტი ტრავმატოლოგიაში და ორთოპედიაში. გაიარა გზა ექიმი ორდინატორიდან დირექტორობამდე. სამეცნიერო გამოკვლევებისა და პრაქტიკული საქმიანობის ნუსხა დიდია: მოტეხილობები, თანდაყოლილი და შეძენილი ორთოპედიული დაავადებები, დამწვრობები. 1981 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ბავშვთა საყოფაცხოვრებო ტრავმატიზმის თემაზე. ბატონმა ალექსიმ დიდი წვლილი შეიტანა დამწვრობის პრობლემების მკურნალობის მეთოდებში. 1934 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, რომლითაც მედიცინაში დანერგა ღრმა დამწვრობების სისტემურ მკურნალობა ქირურგიული ჩარევით. ამ მეთოდმა აღიარება მოიპივა. მას არა მხოლოდ რუსეთში, არამედ საზგვარგარეთაც მიმართავენ. მრავალი წლის განმავლობაში ბაინდურაშვილი ხელმძღვანელობს ქალაქის №1 ბავშვთა კლინიკაში დამწვრობის განყოფილებას, რომელიც ფაქტობრივად სამხრეთ-დასავლეთის ფედერალური ოლქის ბავშვთა დამწვრობითი ტრავმის ცენტრის ფუნქციას ასრულებს. ბაინდურაშვილი ინიციატორია სანკტ-პეტერბურგის ნეონატალური ორთოპედიის განვითარებას დევიზით: ,,ჯანმრთელი ჩანასახი – ჯანმრთელი ნაყოფი – ჯანმრთელი ბავშვი“. პროექტებში მონაწილეობენ მეანები, პედიატრები, ორთოპედები და სხივური თერაპიის სპეციალისტები. ა. ბაინდურაშვილი მონაწილეობს ურთულეს ოპერაციებში, რომლებიც ბავშვებს პირველ თვეებში უკეთდებათ. ბაინდურაშვილი ორგანიზატორი და თავმჯდომარეა ბავშვთა ტრავმატოლოგ-ორთოპედიურ ასოციაციისა, რომელიც ერთადერთია რუსეთში და უკვე 5 წელია წარმატებით საქმიანობს. ბაინდურაშვილი არის საერთაშორისო ორგანიზაცია SICOT -ის წევრი და ევროპის ბავშვთა ორთოპედიის ორგანიზაციის წევრი, ანდრია პირველწოდებულის ორდენის კავალერი, საერთაშორისო პრემიის ,,რწმენა და ერთგულებისთვის - ლაურიატი.

– ბატონო ალექსი, მრგვალი თარიღი გვიბიძგებს შევაფასოთ განვლილი ეტაპი ჩვენს ცხოვრებაში.

– შევაფასოთ. ჩემს ცხოვრებას ერთი გორელი ბიჭის ისტორიას ვუწოდებდი. დავიბადე 1947 წელს გორში, 26 კომისრების ქუჩაზე (ახლანდელი კოსტავას ქუჩა) დავამთავრე რუსული სკოლა, შემდეგ ლენინგრადის პავლოვის სახელობის I სამედიცინო ინსტიტუტი. თავისთავად მოხდა ისე, რომ დავრჩი ამ მშვენიერ ქალაქში, ინსტიტუტის შემდეგ ბევრი რამ იყო შესასწავლი. რუსეთში ჩამოვყალიბდი როგორც ადამიანი, ექიმი, მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე და ხელმძღვანელი. დავიბადე და გავიზარდე საქართველოში, სამშობლომ და ჩემმა მშობლებმა ჩამინერგეს კეთილშობილური თვისებები. სწორედ ქართული ხასიათი და ეს თვისებები იყო ჩემი წარმატების საწინდარი ისეთ გრანდიოზულ ქალაქში, როგორიც პეტერბურგია. აქ მყავს ოჯახი; მეუღლე ირმა - მეან გინეკოლოგი, ქალიშვილები ანა - ექიმია, ნატა სტომატოლოგი, მისი მეუღლე გიორგი წერეთელი იურისტია. ჰყავთ შვილი 1 წლის ალექსანდრე, მე სანდროს ვეძახი. პეტერბურგის ელიტარულ ჟურნალში დაიბეჭდა ნატასა და გიორგის ქორწილის კადრები. ეს იყო ქართული ქორწილის ცერემონიალი ქართული

ჩოხით, ქართული საპატარძლო კაბით, ქართული ცეკვითა და სიმღერით. ულამაზესი სანახაობა იყო. აქ მყავს მეგობრები, საყვარელი ხალხი და მათთან ერთად ქართველი, საქართველოს წარმომადგენელი ვაკეთებ საქმეს და ვთვლი რომ ჩემი მოღვაწეობით განვადიდებ საქართველოს. რას ვაკეთებ? ვარ ქირურგი და ოპერაციებს ვუკეთებ მთელი რუსეთის ყველაზე მძიმე ავადმყოფ ბავშვებს ქირურგიული პროფილით, მაღალკვალიფიციური პროფილით. დღეს რუსეთის მედიცინა აღმავლობის გზაზეა. არის ნაციონალური პროექტი, რომელსაც ბატონი მედვედევი კურირებს და იგი რეალიზდება. როგორც მეცნიერული ხელმძღვანელი ძალიან კმაყოფილი ვარ. შევამცირეთ სატრანსპორტო შემთხვევები ბავშვთა კონტიგენტში და მინიმუმამდე დავიყვანეთ ამ გზით გამოწვეული ინვალიდობა. ასეთი მიღწევებით ინსტიტუტი, როგორც დემოკრატიული ერთეული მზად არის ყველას გაუზიაროს თავისი გამოცდილება. დღეს ეს ინსტიტუტი მთელ რუსეთში მთავარი ინსტიტუტია. ეს დიდი პასუხისმგებლობაა, მასზე ბევრი რამაა დამოკიდებული წარმოიდგინეთ ერთი წუთით: რუსეთის მთავარი ინსტიტუტის სათავეში დგას ქართველი, ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის სათავეში დგას ქართველი, პეტერბურგის სასწრაფო დახმარების განყოფილების სათავეში დგას ქართველი. არსებობს რუსეთში ასოციაცია, რომელიც ყველანაირად მხარს უჭერს ყველა სამედიცინო სტრუქტურას. ვაკეთებთ საერთო საქმეს, რომელსაც ჰქვია დიადი, სასიხარულო საქმე – გადავარჩინოთ ბავშვები. პირველებმა მსოფლიოში ბავშვი 98% დამწვრობით გადავარჩინეთ. კანი კოლუმბიის უნივერსიტეტთან ერთად გადავუნერგეთ. ეს იყო უნიკალური ოპერაცია. იმისათვის, რომ სამომავლოდ ასეთი ოპერაციები გაკეთდეს, საჭიროა უზარმაზარი ფინანსური მხარდაჭერა. მიდის ინსტიტუტის უზარმაზარი მშენებლობა, უზარმაზარი ფული იხარჯება დიდ პროექტებში, ეს უნდა გამოვიყენოთ ქვეყნისათვის, ერისათვის, მამულისათვის. ვმეგობრობთ ქართველ ექიმებთან, ვუზიარებთ მათ გამოცდილებას ოთარ და მარინა ღუდუშაურებთან. ბაადურ ღუდუშაური აქ სწავლობდა. ბევრმა ქართველმა ახალგაზრდამ ისწავლა აქ, დახელოვნდა და საქართველოში მუშაობს. როცა ჩვენი სასიქადულო ირმა ნიორაძის ვაჟმა ტრავმა მიიღო, სასაწრაფოდ შედგა კონსილიუმი. კოლუმბიის, პეტერბურგის, მოსკოვის და ლონდონის ექიმებმა ერთობლივად დავსვით დიაგნოზი და ვიხსენით ავადმყოფი. ხუთი წლის წინ რომ ვინმეს ეს ეთქვა, გიჟად ჩავთვლიდით. დღეს ეს გმირობა აღარ არის, ჩვეულებრივი ამბავია.

– თქვენ მრავალ კოლექტივში გიხდებათ ყოფნა. რას აფასებთ ადამიანებში?

– პატიოსნებას, შრომისმოყვარეობას, სწავლა-განათლების სურვილს. კოლექტივში დაბალანსება აუცილებელია. როცა საქმე ეხება კოლექტივის წევრთან დამოკიდებულებას, ჩემთვის ვმსჯელობ, ჩემ თავს ვაყენებ მის ადგილას, ვფიქრობ როგორ მოვიქცეოდი. საჭიროა გადასახლდე სხვა ადამიანში, შეიძლება მას სხვა აზრი აქვს, გაიზიარებ და გადაწყვეტილების მიღებაც ადვილი ხდება. ახალგაზრდებთან ფაქიზი დამოკიდებულება მაქვს. დამწყებ ექიმს პატრონი და მასწავლებელი უნდა. კარგი ექიმი დროს მოაქვს. პროფესიონალიზმი შეიძლება მოვიდეს ხუთი, ათი ან სულაც ოცდაათი წლის შემდეგ. პაციენტის ნდობის მოპოვებაც ერთგვარი ხელოვნებაა. არის სამი მოქმედი პირი: ავადმყოფი,

პაციენტის პატრონი და ექიმი. თუ თქვენს მხარეზეა პაციენტი, იმარჯვებს ჯანმრთელობა, სხვა შემთხვევაში სასწორი იხრება ავადმყოფობისკენ. და თუ ეს ხდება, უნდა ვიპოვოთ მიზეზი იმისა, თუ რატომ არ გვენდობა პაციენტი. ესე იგი არასაკმარისად არის ინფორმირებული. ქირურგი მარტო სკალპელი არ არის. მან უნდა შეძლოს, გაიმარჯვოს და გადაარჩინოს სიცოცხლე. დადგა ახალი საუკუნე. მედიცინა ელვის სისწრაფიდ ვითარდება. შესანიშნავი პერსპექტივები გველოდება. ნებისმიერ სხეულის ნაწილის შექმნა შესაძლებელი იქნება სამედიცინო ტექნოლოგიებით. მსოფლიო მედიცინა შექმნის ადამიანის ხელოვნურ ორგანოებს და ადამიანებს სიკვდილისაგან ვიხსნით. ბოლოსდაბოლოს ხვლიკს ეზრდება კუდი და ჩვენც შევძლებთ. რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო ვგრძნობ ენერგიის მოზღვავებას. სურვილების ასრულება ახლა იწყება. ერთი დიდი ნატვრა მაქვს, ჩემი შვილვიშვილი ექიმი გახდეს. მოგზაურობა არ მიყვარს, სახლში ჯდომა მირჩევნია, მაგრამ ხშირად მიხდება სახლიდან გამგზავრება ჩემი სამსახურებრივი მოვალეობების გამო. როცა ფიქრის, ოცნების დრო მაქვს, ვიხსენებ მშობლიურ სახლს გორში, ჩემს სოფელს, სადაც მშობლების საფლავებია. იქ ბევრი ნათესავი მყავს: სიდედრ-სიმამრი, ბიძაშვილები, მამიდაშვილები. შეძლებისდაგვარად ვეხმარები მათ. მეამაყება, რომ მე ქართველი ალექსი ბაინდურაშვილი 27 იანვარს ბაჰრეიმში რუსეთის სახელით ერთადერთი მეცნიერი ვაკეთებ მოხსენებას „ცივილიზაციისა და მედიცინის დიალოგი".

დალი ბრეგვაძე, მურად კალიაევი

დალი ბრეგვაძე

დალი ბრეგვაძე – ფსიქოანალიტიკოსი. რუსეთის ფსიქოანალიტიკოსთა ნაციონალური ფედერაციის წევრი. დასავლეთ ევროპის ფსიქოანალიტიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი, მაგრამ მოხდა ისე, რომ მისი ინტერესები მკვეთრად შეიცვალა. 2004 წელს სანკტ-პეტერბურგის დასავლეთ ევროპის ინსტიტუტში ფსიქოანალიტიკოსის სპეციალობას დაეუფლა. 2003 წელს კვალიფიკაცია საოჯახო, საბავშვო და

მოზარდთა თერაპიაში აიმაღლა. მეტად საინტერესო იყო ბერტ ხელინგერის მეთოდის მოკლევადიანი საოჯახო კურსის ათვისება. ამას მოჰყვა კვალიფიკაცია - ფსიქოანალიტიკური კონსულტაციები და ტრანზაქტული ანალიზის ძირითადი კონცეფციები. მონაწილეობდა რუსეთის ფსიქოანალიტიკოსების კონფერენციაში თემაზე: ,,რუსეთის ფსიქოანალიტიკოსთა საზოგადოების პროფესიული იდენტურობა''. ქალბატონი დალის მოხსენება: ,,ადაპტაციის საკითხები" დაიბეჭდა ჟურნალ ,,ფსიქოანალიტიკოსში" 2005 წელს. მასში აღწერილია მსგავსება და სხვაობა რუსულენოვან და ეთნიკურ პაციენტებთან მუშაობის მეთოდებში. 2006 წელს სანკტ-პეტერბურგში გაიმართა მესამე საერთაშორისო კონგრესი მიძღვნილი ე. ფროიდის დაბადებიდან 150 წლისთავთან დაკავშირებით ,,თანამედროვე ფსიქოანალიზები". საქართველოს სახელით კონგრესზე გამოვიდა დალი ბრეგვაძე და წაიკითხა მოხსენება: ,,მნიშვნელობა არა აქვს, რომელ ენაზე არ გვესმის ერთმანეთის". მასში განხილული იყო ფსიქოანალიტიკოსების მუშაობის პროცესის დროს წამოჭრილი პრობლემები.

– ქალბატონო დალი, რა არის ფსიქოანალიტიკა?

– ჩემი აზრით, ფსიქოანალიტიკოსის პროფესია ძალიან ღრმა, რთული და საჭირო სპეციალობაა. თუ ერთი სიტყვით ვიტყვით, ეს არის თერაპია ჯანმრთელებისათვის, რომლის ერთ-ერთი მიზანთაგანია უგონოს გამოკვლევა გონებაში გადასაყვანად. ჩვენი თაობა როგორღაც უკვე სწავლობს ზრუნვას თავის ფიზიკურ ჯანმრთელობაზე. მაგრამ, სამწუხაროდ, ძალიან ემოციურ მდგომარეობაზე ზრუნვის კულტურა ნაკლებად გვაქვს განვითარებული. ჩვენს ემოციებს სჭირდება შეცნობა, ,,მკურნალობა'' და მხარდაჭერა. როცა გვიჭირს თანაგრძნობას ვეძებთ ნათესავთან, მეზობელთან. ეს ძალზე მნიშვნელოვანია და ნამდვილად გვაძლევს შვებას რაღაც დროით. ამ შემთხვევაში სპეციალისტთან მისვლა ჩვენს საზოგადოებაში ჯერჯერობით რატომღაც მიუღებელია. პოსტსაბჭოთა პერიოდმა ჩვენს ცხოვრებაში ბევრი რამ შეცვალა, უამრავი სტრესული სიტუაციის ფონზე ეს პროფესია სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება.

– ვინ არიან თქვენი კლიენტები?

– სხვადასხვანაირი. ერთნი – ძლიერი, წარმატებული ადამიანები, რომლებსაც მკვეთრად გამოხატული ფასეულობათა სისტემა და კულტუროლოგიური კუთვნილება გააჩნიათ. ისინი თანამედროვე მშფოთვარე ტენდენციებთან კონფლიქტში შედიან. მაგალითად, წარმატებულ ქართველ მამაკაცს, ერთი მხრივ, სურს, რომ მისმა ქალიშვილმა ევროპული განათლება მიიღოს, მეორე მხრივ, უჭირს მარტო გაუშვას სახლიდან. რამდენად ვართ მზად მივიღოთ ევროპული კულტურა და რის ფასად? ზოგჯერ ფინანსურ კეთილდღეობას არა მარტო კომფორტი, არამედ მოულოდნელი პრობლემები მოაქვს. მეორე - არიან კლიენტები ფსიქოსომატური სიმპტომებით, როცა მედიკამენტოზური მკურნალობა არ არის საკმარისი, რადგანაც არ არის შეცნობილი და დამუშავებული ემოციური კონფლიქტი, რომელმაც შეიძლება ისეთი მექანიზმი აამოძრაოს, რომ მძიმე დაავადებებისათვის, როგორებიცაა: ჰიპერტონია, ონკოლოგია, ინფარქტი და ა.შ. ნოყიერი ნიადაგი შეიქმნას. მესამე კატეგორია - ადამიანები, რომლებიც ემოციურ ჩიხში მოექცნენ. მაგალითად, ომი, ახლობლის

დაკარგვა, გაყრა, იძულებითი ემიგრაცია, მოხვედრა სხვა კულტურაში, პრობლემები ადაპტაციასთან დაკავშირებით და სხვა.
– რა თვისებები აერთიანებს ამ ხალხს?
– კლიენტებს აერთიანებს სიმამაცე და გულწრფელობა საკუთარი თავის მიმართ. ისინი მზად არიან აღიარონ, რომ პრობლემა არსებობს, უნდათ იმუშაონ საკუთარ თავზე. თვითონ იპოვონ გამოსავალი განსაკუთრებული რჩევების გარეშე. ყველა ადამიანი ხომ თვითონ ეძებს თავის გზას, ფსიქოანალიტიკოსი თან მიჰყვება ამ გზაზე, მხარს უჭერს და იკვლევს მასთან ერთად. ამის შედეგად, კლიენტი ღრმად წვდება პრობლემის არსს, რაც ძალზე მნიშვნელოვანია. თუ ვაზი ხმება, წყალს ვუსხამთ, შაბიაბნით ვწამლავთ, მაგრამ, როცა ფესვებია დაზიანებული, ეს საკმარისი არ არის. თუმცა, ფესვების შესახებ. ჩვენი ფესვები წინაპრებია: მშობლები, პაპა-ბებია. ჩვენს კულტურაში არის ის, რითაც შეგვიძლია ვიამაყოთ. წარსული დიდ როლს თამაშობს ჩვენს ცხოვრებაში. ხშირად დღევანდელ კითხვებზე პასუხები სწორედ წარსულში უნდა ვეძებოთ.
– არსებობს თუ არა ჯანმრთელი კულტურის ცნება?
– კულტურა, რომელსაც ფასეულობათა სისტემა აქვს, ახსოვს და ამდიდრებს თავის ტრადიციებს, პოულობს კომპრომისს წარმავალს, ახლანდელს და მომავალს შორის და გადასცემს შემდგომ თაობას - ეს ჯანმრთელი კულტურაა. მე არა ვარ ორთოდოქსული ფსიქოანალიტიკოსი, ფსიქოანალიტიკურ თეორიას ვიყენებ როგორც ბაზას, ვამატებ მას თანამედროვე მეთოდებს და ტექნიკას, რომლებიც ამ პროფესიას უფრო საინტერესოსა და მრავალფეროვანს ხდის. ფსიქოანალიტიკური თერაპია ფსიქოთერაპიის ერთ-ერთი სახეობაა, რომლის თავისებურება იმაშია, რომ იკვლევს პრობლემის წარმოქმნის პირველ მიზეზს, რითაც ამცირებს მომავალში ამ პრობლემის წარმოქმნის რისკს. მეტად საინტერესოა ე.წ. თერაპია ეთნიკურ პაციენტებთან. როცა ორი კულტურის თანხვედრა ხდება, როცა ორი კულტურა ეძებს ერთმანეთთან კონტაქტს. სხვადასხვა მენტალიტეტის, სხვადასხვა მიდრეკილების ადამიანები ცდილობენ გაუგონ ერთმანეთს ურთიერთშესწავლის გზით.
– ქალბატონო დალი, თქვენ მრავალი ადამიანის ცხოვრებას ეცნობით. ნუთუ არ გამძიმებთ სხვისი ემოციები?
– ყველა პროფესიას თავისი სიძნელე აქვს. ჩემი პროფესიის სპეციფიკა იმაშია, რომ აუცილებლად უნდა მყავდეს ჩემი ფსიქოანალიტიკოსი, იმისათვის, რომ პროფესიონალურად ვიმუშაო. მყავს ორი სპეციალისტი: ერთი პროფესიონალი, რომელმაც ინგლისში მიიღო განათლება, მეორე მოხალისე - ჩემი მეუღლე. ერთხელ ოჯახში ვსაქმიანობდი და უნებურად ცრემლები გადმომცვივდა. მურადი ცდილობდა დავემშვიდებინე. იცით, ბებია გამახსენდა, ეს იყო რაღაცნაირი სევდა, მონატრებისა და უმწეობის შეგრძნება. - მეც, როცა მიჭირს, ჩემს ციხესიმაგრეს, ჩემს ოჯახს ვაფარებ თავს. ჩემი მეუღლე მურად კალიაევი თბილისელი ლეკია. პაპის პაპა პროფესიით ოქრომჭედელი თბილისში დასახლებულა. მამა სამხედრო პირი იყო, ამიტომ მურადი პოტსდამში დაიბადა. ექვსი წლის იყო, თბილისში რომ ჩამოვიდა. დღეს კერძო ბიზნესით არის დაკავებული. სწორედ ჩემი მეუღლის დამსახურებაა, რომ საკუთარი თავის რეალიზების საშუალება მომეცა. ყველაფერი კი დიდი სიყვარულით დაიწყო... არ

ყოფილა ცხენი, ნაბდიანი ვაჟკაცი, მაგრამ ეს იყო მოტაცება კავკასიურად. გოგონა ,,სპორტსმენი'', კომკავშირის მდივანი, ნაზი და მხიარული, ვაჟი - უგონოდ შეყვარებული. იყო წინააღმდეგობა, წყენა, ცრემლი, მაგრამ ოჯახი შედგა, ბედნიერი ოჯახი. მრისხანებდა ქალიშვილის მამა - ბიჭიკო ბრეგვაძე - საქართველოს საფოსტო სამმართველოს უფროსი, ჩუმად აფრქვევდა ცრემლებს ქალბატონი დონარა ბრეგვაძე - საქართველოს ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის უფროსი ინჟინერ-ეკონომისტი. გავიდა დრო და ბრეგვაძეების ოჯახის სიძე - მურად კალიაევი მეხუთე შვილად ითვლება.

– შვილების შესახებ რას გვეტყვით?

– ორი ვაჟი გვყავს, ომარი და ირაკლი. არ ვანებივრებთ, არც ზედმეტად მკაცრნი ვართ. ოჯახში ქართულად ვლაპარაკობთ, ყოველ ზაფხულს საქართველოში ჩამოვდივართ, ბავშვებს ხარაგაულში ყოფნა უყვართ. 17 წლის ომარი ინგლისში სწავლობს კოლეჯში, 13 წლის ირაკლი სკოლაშია. ორივენი ექვსი წლის ასაკიდან ქართულ ცეკვებზე დადიან. ომარი სანკტ-პეტერბურგის საუკეთესო მოქართულეა, ირაკლის განსაკუთრებით კარგად გამოსდის ,,ყაზბეგური'' და ,,კინტაური''. ბავშვების საყვარელი სპორტის სახეობებია: კრივი, ჩოგბურთი, ცურვა, სნოუბორდი და სათხილამურო სპორტი. ასწრებენ დიზაინის სკოლაში სიარულს, უკრავენ გიტარასა და დასარტყმელ ინსტრუმენტებზე.

– თქვენი და მურადის ჰობი?

– მურადი გიტარაზე უკრავს, მე პიანინოზე. მეგობრებთან ერთად მთაში თხილამურებით სრიალი გვიყვარს. და ბოლოს... ცხოვრება მშვენიერია, არ არსებობს გამოუვალი სიტუაცია, არის მხოლოდ მტკივნეული გადაწყვეტილება.

დავით კვაჭაძე

დავით კვაჭაძე

ლეგენდარული მოკრივე დათო კვაჭაძე, რომლის შესახებაც საბჭოთა კავშირის კრივის ენციკლოპედია წერდა: ,,მოკრივე, რომლის დაცვის გარღვევა თითქმის შეუძლებელია'' პეტერბურგში ცხოვრობს და წარმატებული ფოტოხელოვანია.

თუმცა, თავიდან დავიწყოთ... დათოს ბავშვობაში ფეხბურთი დიდი პოპულარობით სარგებლობდა საქართველოში, მაგრამ კრივით დაინტერესებულთა რიცხვი იზრდებოდა. დათოს უფროსი ძმა როლანდი, რომელსაც ბატონი დავითი თავის მოგონებებში თავის მწვრთნელს უწოდებს, მოკრივე იყო. დათომაც, დედის უჩუმრად, კრივის სექციას მიაკითხა და ჩაეწერა. პირველი წარმატება 1967 წელს მოსწავლეთა სპარტაკიადაზე მოიპოვა. იყო სამგზის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, 1977 წლის ევროპის ჩემპიონი, პირველი ქართველი ოლიმპიელი, მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიადის მონაწილე. მრავალი საკავშირო ტურნირების მონაწილე. სწორედ მისი დამსახურება იყო ის, რომ ცხრა წლის განმავლობაში საერთაშორისო ტურნირი გაზეთ ,,ვეჩერნი ტბილისის'' პრიზზე თბილისში ტარდებოდა. ის იყო პირველი ქართველი მოკრივე საბჭოთა კავშირის ნაკრებიდან, რომელმაც ამერიკისა და საბჭოთა კავშირის მძიმეწონიან მოკრივეთა შეხვედრებზე მონაწილეობა მიიღო. 1978 წელს ამერიკაში ქ. ნიუ-ორლეანის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს. წლების მანძილზე საქართველოს კრივის ფედერაციის პრეზიდენტი იყო. ბატონი დავითი საინტერესო მოსაუბრე აღმოჩნდა.

– 30-იანი წლების საქართველოს კრივის ჩემპიონები ჰყავდა, მაგრამ როცა რინგზე გავედი კრივის სკოლა ფაქტიურად არ იყო, თავიდან მომიხდა ყველაფრის დაწყება. ევროპის ჩემპიონატში ჩემი გამარჯვება საქართველოსთვის დიდი სიხარული იყო, იმ სიხარულის ტოლი, როცა ,,დინამომ'' თასების მფლობელთა თასი აიღო. მაშინ მთელი ქალაქი აეროპორტში იდგა ჩვენი ფეხბურთელების დასახვედრად, მე კი ისე ჩამოვედი ოჯახმაც არ იცოდა. იმდენად გადაღლილი ვიყავი, აჟიოტაჟის თავი არ მქონდა. ამის გამო სამართლიანად მისაყვედურეს. მთელი ცხოვრება მადლობელი ვარ ჩემი მწვრთნელებისა, მათ მე საკუთარი თავის რეალიზების საშუალება მომცეს. წლების მანძილზე ჩავარდნილი კრივი ჩემი მეცადინეობითა და თავდაუზოგავი შრომით ფეხზე დადგა, საქართველოშიდაიჯერეს, რომ შესაძლებელია გვყავდეს ქართველი ჩემპიონი. ბევრი ვიბრძოლე იმისათვის, რომ წესრიგი აღმედგინა, მწვრთნელი რინგზე მთვრალი არ უნდა ასულიყო. მახსოვს, ერთხელ, მსაჯმა ნოკდაუნში ჩავარდნილ მოკრივეს თვლა დაუწყო, დარბაზიდან კი ყვირილი ატეხეს: მოკრივეს კი არა მაგას, მსაჯს დაუთვალეო. ასეთი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება იყო შეჯიბრების მიმართ, რადგან რწმენა ჰქონდათ დაკარგული. წლების მანძილზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზიკური აღზრდის კათედრას ვხელმძღვანელობდი, ჩამოვაყალიბე ორი სკოლა. ერთი სპორტკომპლექსი ,,ბურევესტნიკთან'' ბავშვთა და მოზარდთა, მეორე - განათლების სამინისტროსთან, დიღომში. დღეს ის ჩემს სახელს ატარებს, თუმცა ამჟამად სავალალო მდგომარეობაშია, შენობა გაუყიდიათ, ბავშვები კი სხვადასხვა დარბაზებში გაჭირვებით ვარჯიშობენ. სამწუხაროდ, კრივმა საქართველოში კარგა ხანია დაღმა სვლა დაიწყო მრავალი მიზეზის, პირველ რიგში ფინანსური მდგომარეობის გამო. მშობლებს არა აქვთ შემოსავალი. თუმცა მე მარტო მატერიალურს არ დავარქმევდი გასაჭირს, ეს სულიერი გასაჭირიც არის. ბევრჯერ მითქვამს, რომ სპორტი მარტო ოსტატობის მაჩვენებელი არ არის. მას აღმზრდელობითი მნიშვნელობაც აქვს, ახალგაზრდების გაჯანსაღების

საუკეთესო საშუალებაა, ბავშვები აცილდებიან ქუჩას, მავნე ჩვევებს, მანკიერებებს - ლოთობას, ნარკომანიას. სპორტული სკოლები კი თვითდაფინანსებაზე არიან გადასული, ეს შეიძლება სახელმწიფო ხაზინისთვის შემოსავლის წყაროა, მაგრამ საზოგადოების განვითარებისთვის ცუდია და არ ამართლებს. ბავშვებიდან შემოსული თანხით მწვრთნელი კომუნალურ გადასახადებს იხდის, ხელფასისთვის კი ძალიან ცოტა რჩება.

დღეს კრივი საქართველოში მხოლოდ ფეთქავს. ნებისმიერი სპორტის სახეობაში კი უნდა გყავდეს ცვლა, ერთი თაობის იმედად ვერ იქნები. კრივი სპორტის განსაკუთრებული სახეა, ადამიანს კრივში ვარჯიში კომპლექსს უხსნის, დღეს კი განსაკუთრებულად ნერვიული ატმოსფერო, ახალგაზრდებს კი განტვირთვა სჭირდებათ. პეტერბურგში ქალთა ნაკრების მწვრთნელი ვიყავი. თუმცა არ ვთვლი, რომ კრივი ქალთა სპორტია. მხოლოდ კარგია გოგონებისთვის განტვირთვის სახით. საბჭოთა პერიოდში სწორი მიდგომა იყო - სპორტი გაჯანსაღების მიზნით. პეტერბურგში ერთ-ერთ ფირმაში დარბაზის მოწყობა მთხოვეს, გავუკეთე. სანამ სპორტსმენები მოვიდოდნენ, ახალგაზრდა დედები შვილებთან ერთად ვარჯიშობდნენ, ვურჩევდი როგორ დატვირთულიყვნენ. მახსოვს დიდი ხნის წინ აერობიკა შემოვიდა, ნელ-ნელა იკვეთებოდა სავარჯიშო ფორმები, კრივის ელემენტებიც შემოიღეს. როცა თბილისში ჩამოვალ აუცილებლად გავაკეთებ სპორტულ-გამაჯანსაღებელ ცენტრს.

პრიზები

პეტერბურგში ლესგაფტის სპორტის აკადემიის მოწვევით ჩამოვედი, შემდეგ კერძო სპორტულ კლუბში გადავედი. წარმატებებიც მქონდა; სპორტის რამდენიმე ოსტატი აღვზარდე, ორი გოგონა ფინალისტი გახდა ფრანგულ კრივში, კინკ-ბოქსის მსგავსი სახეა. რამდენიმე წლის წინ ჩემს ცხოვრებაში საინტერესო რამ მოხდა, ფოტოგრაფიამ გამიტაცა. თავიდან განტვირთვაში მეხმარებოდა, შემდეგ უკვე სერიოზულად მოვკიდე ხელი. მივხვდი, რომ ეს საქმიანობა ცხოვრებისეული მომენტების აღქმა-დაფიქსირებაში მეხმარებოდა. როცა რუსეთის მხატვართა კავშირის კომისიას წარვუდგინე ჩემი ნამუშევრები, უფრო ვღელავდი, ვიდრე სპორტული შეჯიბრებების დროს. კომისიის წევრები გააოცა ჩემმა ბიოგრაფიამ, ფოტოები მოეწონათ, მხატვართა კავშირის წევრიც გავხდი.

რვა წელია ფოტოებს ვიღებ. ყოველთვის მომწონდა ფერწერა, ვერ გეტყვით, რამდენად ღრმად მესმოდა, ყველა ადამიანს განსაკუთრებული მიდგომა აქვს. ყოველთვის ვამხანაგობდი რეჟისორებთან, მხატვრებთან. მათთან ურთიერთობა ადამიანს გემოვნებას უყალიბებს. დღეს მათაც უკვირთ, როცა რაღაც კონკრეტულს ვამჩნევ. მადლობელი ვარ უფლის, რომ ხედვა არ დამიკარგავს. ხანდახან ვნახავ კედელზე ჩამოხეულ ძველ აფიშას, ძველ, გადასაგდებ ნივთებში შეიძლება საინტერესო აღმოაჩინო. ერთი მოგონება ბავშვობიდან: ოჯახში ძველი კარადა გვქონდა, დედაჩემის ერთადერთი ავეჯი. ათი წლის ვიყავი, როცა ჩემი ძმა მეხუმრებოდა, თუ ამ კარადას ხელის ერთი დარტყმით გატეხავ, შენგან მოკრივე გამოვაო. გავბრიყვდი, მუშტი დავარტყი, კარადა გასკდა და დედაჩემის მომწვანო კაბის სილუეტი გამოჩნდა. დედამ სამართლიანად დაგვტუქსა კარადისთვის. ეს კარადა ჩემს ფოტოებს შემორჩა. კონკრეტული მიმდინარეობა არ მაქვს. არ შეიძლება ერთი რამე მიმართულება დააფიქსირო, შეიძლება გვერდზე რამე გამოგრჩეს ამ დროს. მიდიხარ ქუჩაში, ხედავ რაღაცას და ეს ადამიანის ცხოვრების ნაწილია, ფანტაზიორობ ბუნების აბსტრაქციებზე. მხატვრული, მასშტაბური სურათები რომ გამოვიდეს, კარგი აპარატურა უნდა გქონდეს, ლიტერატურასაც ვკითხულობ, სიახლე რომ ავითვისო, მაგრამ მთავარია მაინც ხედვა. ხანდახან ისეთი ფოტო ფიქსირდება, შეიძლება მოინდომო და ვერ გაიმეორო. ჩემი ფოტო ,,ანძა და თოლია'' ფოტომონტაჟი ეგონათ. ადამიანის პორტრეტს ბუნებაში ვიღებ, სტუდიაში გადაღებული ფოტო ყალბია, გარეთ ადამიანი ფსიქოლოგიურად უფრო გახსნილია, უფრო ხალასი ჩანს, სახეზე ვიჭერ მომენტს. ზოგჯერ წინასწარ ხასიათის დაჭერა ძნელია. თბილისში მურაზ მურვანიძემ თავის მეგობრებთან წამიყვანა, ვფიქრობდი ესენი გადამაღებინა-თქო, ქალაქის კოლორიტული, ძველი სახეები ნელ-ნელა მიდიან, მოსასწრებია მათი დაფიქსირება. არ არსებობს ფოტოხელოვნებისთვის არასაინტერესო ადამიანი. მხოლოდ შერჩევაა საჭირო, სად უნდა გადაიღო დარბაზში, თუ ქუჩაში - შერჩევა უნდა. პირველი შემოსავალი ჩემმა ნამუშევარმა ასე მომიტანა. გერმანიის საკონსულოში გამოფენა მქონდა. კულტურის ატაშემ მთხოვა გამოფენაზე ნანახ სურათს გამოვიყენებ საახალწლო მისალოცის დასამზადებლადო. ერთი კვირის შემდეგ 200 ევრო მომიტანა. ხელოვნება ძვირი სიამოვნებაა, იგი ხარჯებთან არის დაკავშირებული. ფოტოხელოვნების კულტურა ჯერ ღრმად არ არის დანერგილი. ოცდახუთი გამოფენა მქონდა. პირველი 1998 წელს 26 მაისს პეტერბურგში, შემდეგ საფრანგეთში, ნიცაში, ბელგიასა და თბილისში. ამჟამად ჯანმრთელობის პრობლემები მაქვს მოსაგვარებელი, შემდეგ ერთ გამოსათხოვარ გამოფენას გავაკეთებ პეტერბურგში და მოვემზადები თბილისში წასასვლელად. მე ჩემს ქვეყანასთან კავშირი არ დამიკარგავს, ყოველ ზაფხულს იქა ვარ. უარყოფითი ემოციების გასაფანტავად ახალგაზრდობას სპორტი ნამდვილად სჭირდება.

ავთანდილ მიქავა

ავთანდილ მიქავა, ნათია გოგიტიძე.

წმ. მარიამ მაგდალინელის სახელობის ბავშვთა საავადმყოფო გაიხსნა 1829 წელს. პეტერბურგს ნევა ნამდენიმე ნაწილად ჰყოფს. ძნელი იყო ვასილიევის კუნძულზე და პეტროგრადის მხარეს მცხოვრებთათვის ნევის გადალახვა და საავადმყოფოში მოხვედრა გაზაფხულსა და შემოდგომაზე. ზაფხულში ნავებით და ზამთარში ყინულზე გადასვლა კიდევ შესაძლებელი იყო. ამიტომ იმპერატორ პავლეს თანამეცხედრემ მარია ფეოდოროვნამ გადაწყვიტა ვასილის კუნძულზე აეშენებინა სტაციონარი. ეს შენობა 1795 წელს იტალიელი არქიტექტორის ლუიჯი რუსკას პროექტის მიხედვით აიგო. იგი ეკუთვნოდა ღვინის გამყიდველ ვაჭარს გვარად კუსოვს. მარია ფეოდოროვნამ შეაგროვა 400 000 მანეთი, აქედან 375 000 შენობაში გადაიხადა. მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, რათა საცხოვრებელი სახლი საავადმყოფოდ დაგაკეთებულიყო. მანამდე აქ წმ. მარიამ მაგდალინელის სახელობის პატარა ეკლესია მოქმედებდა, საავადმყოფოსაც აქედან დაერქვა სახელი.

მთავარ ექიმს ბატონ ავთანდილ მიქავას დიდ სიამოვნებას ანიჭებს საავადმყოფოზე ლაპარაკი. საავადმყოფო 340 საწოლზეა გათვლილი, მომუშავეთა რიცხვი 500-ზე მეტია. წინსვლა, რაც ამ ბოლო წლებში გვქონდა, ეყრდნობოდა წინა წლების მდიდარ გამოცდილებასა და ტრადიციებს. ჩვენ ერთი დიდი მშრომელი ოჯახი ვართ. საბჭოთა იდეოლოგიის მიერ შემუშავებული ბევრი თვისება გვაქვს – ერთიანობა, სიფრთხილე და დაბალი ტოლერანტობა მოსული, უცხო ადამიანების მიმართ. ამაში არის მინუსები და პლიუსები. ჩვენი საავადმყოფო ერთ-ერთი უძველესია ქალაქში, ესეც ბევრს გვავალებს. ამ ბოლოს ტენდენცია გამოიკვეთა, ფასიანი მომსახურეობა ჩემი აზრით მიუღებელია. თუმცა ვთვლით, რომ ეს დროებითი მოვლენაა. სადაზღვეო სისტემა

ცივილიზებული მსოფლიოს მონაპოვარია და ჩვენს მოქალაქეებსაც უნდა მივუთითოთ, სანამ მწვავე საჭიროება არ დადგება, მანამ მიხედონ საკუთარ ჯანმრთელობას. ჯანმრთელობა ეს თავისუფლებაა. განსაკუთრებით, როცა ეს ბავშვებს ეხება. არ მივცემ თავს იმის უფლებას, რომ განვაცხადო თითქოს რამე განსაკუთრებული რევოლუციური გარდაქმნები მოვახდინე. უბრალოდ, დროის შესაფერისად ვიხდიდი ჩემს პროფესიულ მოვალეობას. 1978 წელს პეტერბურგში ჩამოვედი, აქ ჩემი და სწავლობდა, მეათეკლასელი ვიყავი, დარჩენა გადავწყვიტე. 1987 წელს წითელი დიპლომით დავამთავრე პედიატრიის ინსტიტუტი. ბავშვთა კათედრის გამგე იყო აკადემიკოსი ბაიროვი. ქირურგობა გადავწყვიტე მე-6 კურსზე, აქაც კონკურსი იყო, მაგრამ კარგად ვსწავლობდი, საზოგადოებრივ საქმიანობაში ვმონაწილეობდი და თავისუფლად მოვხვდი ამ ჯგუფში. ქირურგიული პრაქტიკა ვასილევსკის კუნძულზე კრუპსკაიას სახელობის საავადმყოფოში გავიარე. ასე ერქვა მაშინ ამ საავადმყოფოს. სტუდენტობის მერე სხვაგან წასვლა არც მიფიქრია. 18 წელი ვიმუშავე რიგით ქირურგად, გადავიტანე ყველა სიძნელე, ყველა წყენა, განვიცადე სიხარული, სიმწვავე და საკუთარ თავში თავდაჯერებულობის გრძნობა გამოვიმუშავე.

– ჩემს პროფესიულ ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა ოჯახმა. დედაჩემი ექიმია. იგი 40 წელია ზუგდიდში პოლიკნინიკის პედიატრია. აქვე მუშაობს უმცროსი და, ხოლო უფროსი და მოსკოვში ცხოვრობს და პროფესიით ექიმია - ნეონატოლოგი. ოჯახურმა ტრადიციებმა და ჩვევებმა განსაზღვრეს ჩემი ცხოვრების გზა. უბრალო ქირურგობიდან - მთავარ ექიმობამდე მოკლე გზით მოვედი. ალბათ, ასეთი იყო ბედისწერა. ერთხანს საავადმყოფოდან წასვლას ვაპირებდი, ბიზნესში ჩართვას, მითუმეტეს, რომ იურიდიული განათლებაც მქონდა მიღებული. დავამთავრე პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტი. აქ საფუძვლიანი განათლება მივიღე ადმინისტრაციულ და სახელმწიფო მართვაში. ეს ცოდნა დამეხმარა საავადმყოფოს მართვის პროცესებში. თუმცა, ჩვენთან არიან ხელმძღვანელები, რომლებსაც სპეციალური განათლება მიღებული არა აქვთ, მაგრამ ეს არის სერიოზული ხალხი ბრწყინვალე იდეებით. ისინი თავიანთ პრობლემებს კარგად აგვარებენ. ძალაუფლების საკითხი მეტად რთული რამეა. ძალაუფელების ინსტიტუტი იყო, არის და იქნება. ცხოვრების ხელოვნება კი კომპრომისების ხელოვნებაა. კოლექტივში პრობლემები ამ მხრივ არ გვაქვს. მე ძალაუფლების მოყვარე ვარ და ამას არ ვუარყოფ. საკუთარი აზრის გატარების დროს აგრესიულიც ვარ, მაგრამ არ მიყვარს იმის მტკიცება, რომ მართალი არ ვიყავი მე და ჩემი კილექტივი ერთი გუნდი ვართ. თუ ვინმე შემომთავაზებს თავის არგუმენტს დადამარწმუნებს მასში, ვაძლევ თავისუფლებას, არ ვერევი მათ საქმეებში. ვხელმძღვანელობ პრინციპით ,,წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან". თუკი ვნახავ, რომ დაპირებას არ ან ვერ ასრულებენ, მკაცრ ზომებს მივიღებ იმისათვის, რომ სწორად უხელმძღვანელო, ლიდერის თვისებები უნდა გქონდეს მაინც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ,,კადრები წყვეტენ ყველაფერს". როცა მედპერსონალი არ გვყოფნიდა. თვითონ დავდიოდი კოლეჯებში, ვაქვეყნებდი განცხადებებს, ვესაუბრებოდი კურსდამთავრებულთ, ვარჩევდი. ვთვლი, რომ ეს მთავარი ექიმის საქმეა. დაფინანსების პრობლემა ყველა საავადმყოფოს აქვს, ამ

მხრივ არც ჩვენ ვართ გამონაკლისი. აპარატურა მოძველებულია. 177 წლის შენობას რემონტი სჭირდება. როცა მთავარი ექიმი გავხდი, საშინელი მდგომარეობა იყო შენობაში, ნელ-ნელა გავაბი კავშირები, ვიშოვეთ ფული, დავუკავშირდით სადაზღვეო კომპანიებს, ფეხზე დავაყენეთ საავადმყოფო. თავიდან საავადმყოფოს დაკეტვას და კაზინოს გახსნას აპირებდნენ. ახლა სხვა პერსპექტივები გვაქვს. საავადმყოფოს დღეს ორი ტერიტორია აქვს, ორი შენობა ორივე ისტორიულ ძეგლთა სიაშია შესული, დანგრევა არ შეიძლება, დაგეგმილი გვაქვს ინვესტორზე გავცეთ შენობები და სამაგიეროდ ავაშენოთ ბავშვთა საავდმყოფო უახლესი სტანდარტებით. ამისათვის მჭირდება პეტერბურგისა და რუსეთის სამთავრობო წრეების მხარდაჭერა. ეს არის ჩემი სანუკვარი ოცნება. ღმერთს მადლობას გადავუხდი, თუ ამ მიზანს მივაღწიე. ჩვენი მონაპოვართაგანია საავადმყოფოს კარის ეკლესია, რომელიც პატრიარქმა აკურთხა. ოთხი წელი დასჭირდა მის აღდგენა-გალამაზებას. დღეს ავადმყოფსაც, პაციენტსაც და მედპერსონალსაც შეუძლია იქ ილოცოს, ღმერთს მიუახლოვდეს. პრესტიჟული და არაპრესტიჟული საავადმყოფო არ არსებობს. ჩემი გაგებით, პრესტიჟი არის კლინიკური ძალა – რა შეუძლია მას. ექიმთა გარემოში გავიზარდე და ვიცი, რთული პროცესია, სანამ იგრძნობ საკუთარ თავში ძალას, მაგრამ უნდა გქონდეს ისეთი თვისებები, რაც ხელს შეგიწყობს ამ საქმეში. პირველი წამალი ექიმშია, მიდიხარ მასთან თვალებში შემოგხედავს და ტკივილიც ქრება. პაციენტი ბავშვი ჩემი ტკივილია, ამიტომ ვარ მკაცრი მედპერსონალის მიმართ, არ მინდა ვინმეს უყურადღებობამ უმწეო სიცოცხლეს რამე დაუშავოს. არის შემთხვევები, როცა მშობელთან კომფლიქტია, გაუკეთდეს თუ არა ბავშვს ოპერაცია, ამ შემთხვევაში ვუთმობთ მშობელს, ვკარგავთ დროს და ვუხსნით, თუ რა საშიშროება ელოდება მის შვილს. დაძალება არ შეიძლება, ყველაფერი ურთიერთნდობაზეა დამოკიდებული. რუსეთში ბავშვთა მკურნალობა უფასოა, ყველა მოქალაქეს აქვს პოლისი, ვისაც პოლისი არა აქვს უფასოდ ვეხმარებით იმ დონემდე, ვიდრე მდგომარეობიდან გამოვა. ფასიანი მომსახურეობაც გვაქვს. ჩვენს საავადმყოფოს აქვს საკუთარი ჰიმნი, კლუბი, რომელიც 30 წლის წინ შეიქმნა. მასში არის კაფე – ბარი, სცენა, ბიბლიოთეკა სამკითხველო დარბაზით, სადაც სემინარებიც ტარდება. დასასვენებელი ოთახი და სპორტდარბაზი. ხშირად გვაქვს შეხვედრები რეჟისორებთან, თეატრის, კინოსა და ესტრადის მსახიობებთან. ამ წლების განმავლობაში ხუთასზე მეტი ხელოვანი იყო სტუმრად ჩვენთან. დიდი ამბიციები არ მაქვს. მე ჩემი ოჯახის პრეზიდენტი ვარ. ჩემი შვილები: ლიზა, გიორგი და სანდრო ჩემი ცხოვრების აზრია. განუწყვეტლივ იმაზე ვფიქრობ, რითი გავახარო. ჩემი ბედნიერება ის არის, რომ ოჯახი კმაყოფილი, დედ-მამა უზრუნველყოფილი მეყოლება. ღრმად მჯერა, რომ ქვეყნებს შორის ურთიერთობა აღდგება. მე მხოლოდ დაკარგულ დროს ვნანობ.

შაქრო ბოკუჩავა

შაქრო ბოკუჩავა

როცა მხატვარ შაქრო ბოკუჩავას სახელოსნოში ფეხი შევდგი, ფიქრები მომეძალა. მშვენიერება... მშვენიერება... როდის და საიდან გაჩნდა ის დედამიწაზე? იქნებ სიცოცხლესთან ერთად, რადგან სიცოცხლე მშვენიერების გარეშე წარმოუდგენელია... იგი ზეცაშია, მის ლურჯ სილაჟვარდეში, დედამიწაზე ბუნების სასწაულმოქმედი ხელით შექმნილ სულიერ და უსულო არსებებში, ადამიანის ზეშთაგონებულ სულსა და ამაყ მეამბოხე გონებაში. ადამიანში, რომელსაც უსაზღვრო ფანტაზიის უნარი აქვს. ვუყურებდი მხატვრის მიერ დახატულ თვალებს, თვალები ხომ სულის სარკეა, და აღტაცებას ვერ ვმალავდი. როდის გაჩნდა მშვენიერება? იგი მხატვართან ერთად გაჩნდა, მხატვრის ჯადოსნურ ფუნჯთან ერთად.

ამაღელვებელია მისი ბიოგრაფია. დაიბადა 1951 წელს ოჩამჩირეში. 1968-1974 წლებში სწავლობდა სოხუმის ხელოვნების სკოლაში. მისი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ვარვარა ბუბნოვას გაცნობა. 1973-1979 წლებში ესწრებოდა ვარვარა ბუბნოვას ,,საშინაო აკადემიის'' საღამოებს სოხუმში.

1975-1979 წლებში შექმნა საუკეთესო საიუველირო ხელოვნებისა და სამხატვრო სტუდია სოხუმში.

1981 წელს ახალგაზრდა მხატვარი მიიღეს საბჭოთა კავშირის მხატვართა სახლში.

1981-1989 წლებში მონაწილეობა მიიღო მხატვართა ასოციაციის სამოც გამოფენაში მოსკოვში, სოხუმში, თბილისში, ტაშკენტსა და ბერლინში.

1984 წლიდან პეტერბურგში ცხოვრობს. მისი წარმატებული შემოქმედებითი საქმიანობის ნუსხა კი ასეთია:

1989-1992 წლებში მონაწილეობა მიიღო სანკტ-პეტერბურგში რამდენიმე რეგიონალურ გამოფენაში.

1990 წელი - პეტერბურგი. გალერეა ,,პალიტრა'', ვან გოგისადმი მიძღვნილი გამოფენა.
1992 წელი. გერმანია, ბერლინი. ,,თინათინ გალერეა".
1993 წელი სანკტ-პეტერბურგი. გალერეა ,,პალიტრა''
1993 წელი. სანკტ-პეტერბურგის ცენტრალური გალერეა ,,ლინექსპო''.
1994 წელი. ჯგუფური გამოფენები გერმანიაში ჰაილდებერგში.
1995 წელი. სამხრეთ აფრიკა, კომერზბანკი, იოანესბურგი.
1996 წელი. გერმანია, ვაინჰემი, კლუბების გალერეა.
1998 წელი. გერმანია, ვილა მეიქსნერი, ბრუპლი.
1998 წელი. შვეიცარია, ,,პრო არტ კასპერის'' გალერეა.
1998-1999 წლები. პეტერბურგსა და მოსკოვში საშობაო გამოფენები.
1999 წელი. ნიზერლანდი, როტერდამი. ვან ეიჯკის გალერეა.
1999 წელი. გერმანია, კარლსრიპი.
2000 წელი. გერმანია. მუნიჰის გალერეა.
2000-2001 წლები. გამოფენები რუსეთში - ფრედ კავლის თეატრი, ათასი მუხა.
2002 წელი. რუსეთი, პეტერბურგი, არტ გოროდ გალერეაში. ,,მშვიდი ცხოვრების საგანთა გამოფენა''
2003 წელი იანვარ-თებერვალი. ამერიკა, სანტა-მონიკა, პიტ და სიუზენ ბარეტების გალერეა.
2004 წელი. ბავარია, ლენდშატის 800 წლისთავთან დაკავშირებით გამართული გამოფენა.
2004 წელი. რუსეთი, პეტერბურგი, რუსეთის ეთნოგრაფიული მუზეუმი, არტიდექსი. 2004-2006 წლები. ჯგუფური გამოფენები ამერიკაში, ლოს-ანჟელესში, გლორიდაში, ნიუ-იორკში.
2005 წელი. პეტერბურგი. იდჯი, არტ გალერეა.
2006 წელი. რუსეთი, პეტერბურგი, არტ გალერეა, გამოფენა ,,შემოდგომის სალონი'' 2006 წელი. რუსეთი, მოსკოვი, იმპრესიო, არტ გალერეა, გამოფენა ,,ქალის იმიჯი მსოფლიო ხელოვნებაში მეთვრამეტე-ოცდამეერთე საუკუნეებში.
2007 წელი რუსეთი, პეტერბურგი, ასა არტ გალერეა. გამოფენა ,,იუველირი''
2008 წელი. რუსეთი, პეტერბურგი, იჯი არტ გალერეა.

შაქრო ბოკუჩავა თავისუფალი მხატვარია. 1993 წლიდან იგი იუნესკოს მხატვართა საერთაშორისო ფედერაციის წევრია. მისი ნახატები შეისყიდა კრედიტ ლონაის ბანკმა, კომერზბანკმა სამხრეთ აფრიკაში, თბილისის არტ მუზეუმმა, სოხუმის არტ გალერეამ, ავსტრალიის კერძო მუზეუმმა და გალერეებმა კანადაში, დომინიკელთა
რესპუბლიკაში, საფრანგეთში, გერმანიაში, საბერძნეთში, იაპონიაში, მექსიკაში, რუსეთში, ესპანეთში, შვედეთში. თითქოსდა მშვიდი, აუღელვებელი იყო ბატონი შაქროს საუბრის ტონი, მაგრამ მასში მე მაინც დავიჭირე შეკავებული ნერვიული განცდა, ეს იყო სევდა, მონატრება, ნოსტალგია. მის სახელოსნოში საქართველოდან მოსულმა სტუმარმა მივიტანე სამშობლოს სურნელი, მანაც გულწრფელად მიამბო თავისი ცხოვრების შესახებ.

პეტერბურგში 1989 წელს ჩამოვედი მივლინებით და თვრამეტი წელია აქა ვარ. ეს ქალაქი გავიცანი საბჭოთა არმიაში სამსახურის დროს. როცა ჩემი ნაწილის უფროსმა გაოგო, რომ ვხატავდი, ყველანაირად ხელს მიწყობდა, კვირაში ორჯერ მევლო მუზეუმში, ყოველ თვეში გარკვეულ თანხას მჩუქნიდა, ყიდულიბდა ჩემთვის საღებავებს, სიგარეტს. თავისუფალ დროს ვხატავდი. როცა აფხაზეთში ცნობილი მოვლენები დატრიალდა და დადგა საკითხი ჩემი ოჯახით

მოსკოვში დავსახლებულიყავი თუ პეტერბურგში, არც დავფიქრებულვარ. თუმცა, მოსკოვში უფრო ადვილი იყო ჩემთვის, იქ ნათესავებიც მყავდა- და, დისშვილები, მაგრამ არჩევანი სწორად გავაკეთე, პეტერბურგმა რეალიზების საშუალება მომცა

– ბატონო შაქრო, ემილ ზოლას რომანის ,,შემოქმედების'' პერსონაჟი მხატვარი ვერა და ვერ ჩამოყალიბდა მხატვრად, როგორი პროცესია, როდის იგრძენით, რომ მხატვარი ხართ?

– ბაღში სამი წლის ასაკში ,,მხატვარი“ შემარქვეს. მაშინ ეს ცუდი სიტყვა მეგონა და ვტიროდი. გავიდა მრავალი წელი. გერმანიის ქალაქ ვანდჰაიმში მქონდა პერსონალური გამოფენა, რომელსაც ათასხუთასი კაცი ესწრებოდა. ჩემგან ჟურნალისტმა ინტერვიუ აიღო და მკითხა: როგორც მხატვარი ბედნიერი ხართ? ვუპასუხე: დიახ, ბედნიერი ვარ. როცა ისეთ საქმეს აკეთებ, მოგწონს და თან ამაში ფულს იღებ. რაც ასაკი მემატება, უფრო გამოცდილი ვხდები, მით მეტად ვგრძნობ, რომ ცოტა ვიცი. ყოველი სურათის დახატვისას ცხოვრებას ვიწყებ სამი წლის ასაკიდან და ევოლუციას დღემდე განვიცდი. ერთხელ მკითხეს: რატომ ღირს ასე ძვირი თქვენი ნატურმორტი, რომელზეც ორი მსხალი და ერთი ვაშლია გამოსახული? ათას ხუთას მარკად შეიძლება ათი ტონა ხილი შეიძინო. ნუთუ ასე ძნელია მისი დახატვა? რამდენი დრო მოანდომეთ? ჩემი პასუხი ასეთი იყო: ნატურმორტს თხუთმეტი წუთი მოვანდომე და ჩემი ცხოვრების ორმოცდაათი წელი, მე ხომ უსახლკაროდ დავრჩი. სოხუმში სახლი და ორი სახელოსნო დავკარგე. წარსული ცხოვრებიდან ფოტოებიც არ დამრჩა და როცა ერთ დღეში ჩემი ნამუშევრებიდან 150 000 დოლარი გამოვიმუშავე, ეს ჩემთვის დიდი ბედნიერება იყო. ჩემი, როგორც მხატვრის ჩამოყალიბებაში, უდიდესი როლი ვარვარა ბუბნოვას ,,საშინაო აკადემიის“ საღამოებმა ითამაშა. ვარვარა ოცდაათი წელი ცხოვრობდა იაპონიაში. მისი დეიდა გათხოვილი იყო იაპონელზე, გვარად

ონო, მდიდარი ბანკირების ოჯახიდან. ვარვარამ და მისმა დამ დიდი აღიარება მოიპოვეს, პირველმა სახვითი ხელოვნებისა და მეორემ მუსიკის ხაზით. მათ ევროპული კულტურა იაპონიას გააცნეს. მხატვრის ცხოვრება ასეთია, როგორც საშინაო ბიბლიოთეკის თაროდან უკანასკნელი წიგნი უნდა ჩამოიღო, უკანასკნელი გვერდი უნდა წაიკითხო და მერე შეგიძლია მოკვდე....

– რომელია ის უკანასკნელი ფურცელი?

– მე არ ვიცი. როგორ იგებენ ცხოველები მიწისძვრას? საერთოდ, მხატვარი სიცოცხლეშივე სვამს წერტილს. ორმოცდაჩვიდმეტი წლის ვარ და ვიცი მხატვრები, რომლებიც ჩანასახშივე იღუპებოდნენ. ისინი უბედური ადამიანები იყვნენ. არ ვფიქრობ სიცოცხლეშივე მოვხაზო უკანასკნელი შტრიხი, ხელი არ მემორჩილება, ვერ ვეტყვი საკუთარ თავს: შენ თქვი და მეტი არაფერი გაქვს სათქმელი-მეთქი. ბრაზილიელები მთვლიან ნეოიმპრესიონისტად. მე ვამბობ, რომ კონცეფციით იმპრესიონისტი ვარ. იმპრესიონიზმი არის შთაბეჭდილებების ქვეშ ხატვა. ნატურით ხატვას ვერიდები, თუმცა ვგეგმავ: თუ ყველაფერი კარგად წავიდა, საქართველოში ჩამოვიდე და ნატურით ვხატო. თბილისში ბოლო გამოფენა 80-იან წლებში მქონდა, ვთვლი, რომ ახალგაზრდობაშივე მოვიპოვე პოპულარობა. აფხაზეთიდან კონკურსებზე და ტურებზე რომ დავდიოდით, არ მახსოვს შემთხვევა, მოწონება რომ არ დამემსახურებინოს. როცა პირველად ჩემს ნახატში ექვსასი მანეთი გადამიხადეს, ეს ჩემს ოჯახში დიდი დღესასწაული იყო. ცოლი ადრე შევირთე, შვილი მყავდა, ოჯახს რჩენა სჭირდებოდა

– ხატავთ საქართველოსა და სოხუმს?

– სულ უფრო ნაკლებად. ომის პერიოდში აქ ვცხოვრობდი და ჩემი შინაგანი მდგომარეობა ასეთი იყო: მახსოვდა სოხუმი ისეთი, როგორიც დავტოვე. 2002 წელს მშობლებთან ვიყავი ოჩამჩირეში, მთელი ჩემი სამყარო ჩამოიქცა და დაემხო, თითქოს წარსული აღარ მქონდა, როცა სოხუმის ცენტრში ახალგაზრდა ბიჭების სასაფლაო ვნახე, ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს საკუთარ პანაშვიდს ვესწრებოდი. უკანასკნელი ექვსი წელი უმძიმესია ჩემთვის. იქ ისევ წავალ ალბათ, მაგრამ როგორ გადავიტან სულიერ ტანჯვას, არ ვიცი. მიდიხარ სოხუმის სანაპიროზე, თითქოს ისევ ისეა ყველაფერი შენახული, მაგრამ აღარ არიან ადამიანები, ვინც მესალმებოდა. არის პირქუში, მოწყენილი მასა. მართალია, ძველი მეგობრები ვინახულე, ისინი გამოცოცხლდნენ ჩემს დანახვაზე, ვუამბე ჩემი წარმატებების შესახებ, მათ შორის იყვნენ აფხაზები. ჩვენს შორის მტრობა ჩამოაგდეს, მაგრამ ხელოვნებას საზღვარი არა აქვს.

– ჩვენ, ქართველი მხატვრები რუსეთში ყოველთვის ავანგარდში ვართ. გამოფენებს ვაკეთებთ ჯგუფურად, ვმეგობრობთ, დელიკატურად ვექცევით ერთმანეთს. ოჯახი აქა მყავს, საყვარელ საქმეს ვაკეთებ, მაგრამ სოხუმი ჩემშია, მასზე ოცნება არ მასვენებს. ბოტანიკამ გამიტაცა, მცენარეებს ვაშენებ, არასოდეს მიკეთებია ეს საქმე. ჩემს მცენარეებზე ამბობენ, რომ ლამაზიაო, მაგრამ ჩემს წარმოდგენაში სოხუმზე ლამაზი ქალაქი არ არსებობს. ყოველ დილას ჩიტების გალობა მაღვიძებდა, თვალს გავახელდი და ჩაის ვარდს ვხედავდი, ღია აივნებიდან ვარდის სურნელი შემოდიოდა, ბინაში ექვსმეტრიანი ვენახი მაქვს. ჩემდა უნებურად წამოვიწყე ბოტანიკა, ზოგჯერ თვეები გადის და გარეთ არ გავდივარ, ვცხოვრობ ჩემს სამყაროში. რას ვაკეთებ ჩემი ქვეყნისთვის? ამაზე

ბევრი მიფიქრია. ამერიკაში არაერთხელ მქონდა გამოფენა, იქ არ იცოდნენ, სად იყო საქართველო, ჯორჯია ამერიკის შტატი ეგონათ. გერმანიაში კი თბილისს ისევ ,,ტიფლისს'' ეძახდნენ. საზღვარგარეთ საქართველოს ჩემი პიროვნებით, ჩემი შემოქმედებითა და ხელოვნებით წარმოვადგენ. – თქვენ შვილს მაინც გადაეცით იუველირის პროფესია..

– დიახ, საერთოდ, თვითონაც შემთხვევით მივყავი ხელი ამ საქმეს. 70-იან წლებში თბილისში სტუმრად ვიყავი თანაკურსელებთან, ისინი საიუველირო ნაწარმს აკეთებდნენ სახლის პირობებში, მაშინ მოდაში იყო ნაკეთობა, რომელსაც ,,ნედელკას'' ეძახდნენ. დავინტერესდი და მივხვდი, რომ ეს ჩემი საქმე იყო, ვიყიდე ხელსაწყოები, სოხუმში გავხსენი სახელოსნო. ორ-სამ წელიწადში სახელი გავითქვი. ვერცხლზე სახელმწიფო მონოპოლია იყო მაშინ, მისი გადადნობა აკრძალული იყო. მე კი ვაკეთებდი ბრწყინვალე სამკაულებს, ხატებს. ვმუშაობდი ნატურალურ ქვებზე. ერთხელ ოჩამჩირედან ბიძაჩემი ჩამოვიდა სტუმრად. ის საიუველირო ნაკეთობებმა დააინტერესა და ჩემდა მოულოდნელად მკითხა: შენ იცი, რომ ეს ჩვენი საგვარეულო საქმეაო. ამის შემდეგ გამახსენდა, რომ მეექვსე კლასში ყოფნის დროს მასწავლებელმა ეთნოგრაფიული მუზეუმისთვის ძველი ნივთების მოტანა დაგვავალა და ჩვენც მივიტანეთ ძველი ტანსაცმელი, იარაღი, აღჭურვილობა – ხმალი, ხანჯალი. როცა ბიძა ხანჯალს მაძლევდა მეუბნებოდა, ეს ბაბუას ნივთიაო. ხანჯალი მისი საკუთრება მეგონა, რა ვიცოდი, თუ მისი ნახელავი იყო?! საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აფხაზეთში ბაბუაჩემი, მისი ძმები და მთელი სხვა ნათესავები რეპრესირებულნი იყვნენ, ისინი ციმბირის გზას გაუყენეს. ნამუშევრები არ დარჩენილა, მხოლოდ ბაბუას ხანჯალი, რომელიც დავიბრუნე და იგი ოჩამჩირეშიდედის სახლშია. ერთმა ქალმა ხატი მომიტანა რესტავრაციისთვის, რომელიც უწმინდესმა ილია მეორემ აკურთხა. კურთხევის დროს კათალიკოსი დაიხარა და უნდოდა ჩემთვის ხელზე ეკოცნა. მე, რა თქმა უნდა, არ დავანებე, მაგრამ ეს ჩემი ხელოვნების ყველაზე დიდი შეფასება იყო. ბოლო გამოფენებიდან შთამბეჭდავი იყო 2006 წელს მოსკოვში ,,ქალის სახე მსოფლიოს ხელოვნებაში''. აქ ლუვრის ნახატების გვერდით ჩემი ცხრამეტი ნახატიც იყო გამოფენილი. პეტერბურგში არტ გალერეაში გამოფენის შემდეგ შვეიცარიელმა კოლექციონერებმა ჩემი თორმეტი სურათი იყიდეს. 57 წლის ვარ, წინ მივდივარ, მინდა დიდხანს შემოქმედებითად ვიცოცხლო. ხანდახან ჩემს თავს უფლებას ვაძლევ დაუმთავრებელი ნამუშევრები მქონდეს, არ ვტოვებ ზედმეტ საღებავს. არ მესმის იმ მხატვრების, ვინც ვერ ერკვევა და არც უნდა იცოდეს სახვითი ხელოვნების ტექნიკა. ორ სანტიმეტრ საღებავს ადებენ ნახატს, მის გაშრობას კი მთელი წელი სჭირდება, მე ძალიან თხელ ფენას ვადებ, მინდა ჩემმა ნახატებმა დიდხანს გაძლოს. ორიოდე სიტყვით შევჩერდები პროფესორ რენჩზე. მას თაყვანს სცემენ, იგი იტალიური წარმოშობის გერმანელია, გაგერმანელებული იტალიელი. ერთხელ, რესტორანში ყოფნის დროს, მან ასეთი შეკითხვა დაუსვა ჩემს შვილს: მერაბ, შენ იცი, რომელი სლავი ეროვნება შეერწყა გერმანულს და რა ჰქვია ამ ერს? მერაბმა უპასუხა: სორბი. იგი აღფრთოვანდა და გვითხრა, დღეიდან შეგიძლიათ სახელით მომმართოთო. ამის შემდეგ მან რამდენჯერმე გამართა წვეულება, სადაც მრავალ საინტერესო ადამიანს შევხვდით, ისინი პატივად თვლიდნენ ჩვენს გაცნობას. პროფესორი

რენჩი ოფთალმოლოგია. იგი ხშირად აკეთებს ოპერაციებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. გამგზავრების წინ კეისში დებს ჩემს ნახატს – პორტრეტს, სადაც ქალის მშვენიერი თვალებია გამოსახული. თვლის, რომ რთული ოპერაციების წინ ეს ნახატი სტიმულს აძლევს

– თქვენთან საუბარში იგრძნობა, რომ შვილებით ამაყობთ..

– ასეთი აზრია გავრცელებული, რომ პეტერბურგში სწავლა უფასოდ ძნელია. ორივე შვილმა წითელ დიპლომზე დაამთავრა სასწავლებლები. ჩემი შვილი - მერაბი სოხუმში დაიბადა. რვა წლის ასაკიდან საიუველირო საქმეს ეწევა. დაამთავრა პეტერბურგის ხელოვნებისა და დიზაინის აკადემია. ხელოვან-ექსპერტია და წარმატებით გააგრძელა საგვარეულო საქმე. 2004 წლიდან მერაბ ბოკუჩავა რუსეთის მხატვართა შემოქმედებითი კავშირისა და საერთაშორისო მხატვართა ფედერაციის წევრია. მერაბი მონაწილეობას ღებულობდა შემდეგ გამოფენებში:

2002 წელი. სანკტ-პეტერბურგი. ,,სანკტ-პეტერბურგელი იუველირი''

2003 წელი. სანკტ-პეტერბურგი. ,,სანკტ-პეტერბურგელი იუველირი''

2003 წელი. სანკტ-პეტერბურგი. მხატვართა კავშირის გამოფენა ,,შემოდგომა 2003'' 2003 წელი. სანკტ-პეტერბურგი. ,,სანკტ-პეტერბურგელი იუველირი''

2004 წელი. სანკტ-პეტერბურგი. არტ ჯგუფის გამოფენა. ,,გაზაფხული 2004''

2004 წელი. სანკტ-პეტერბურგი. რუსეთის ეთნოგრაფიული მუზეუმი. არტ ინდექსი. 2005 წელი ლატვია. რიგა.

2004 -2005-2007 წლები. სანკტ-პეტერბურგი. ,,სანკტ-პეტერბურგელი იუველირი''. მერაბის ნამუშევრები კერძო კოლექციებში ბელგიაში, გერმანიაში, ისრაელში, ლატვიაში, ნორვეგიაში, უკრაინასა და ამერიკაში და რუსეთშია მოფენილი. უმცროსი – დათო ეკოლოგიური სფეროს სპეციალისტია. ბიჭებმა განათლება რუსულ ენაზე მიიღეს, იციან ინგლისური, გერმანული და ფრანგული. დათომ და მისმა მეგობრებმა მასწავლებელი დაიქირავეს და ქართულის შესწავლა დაიწყეს. ის უკვე ლექსებს წერს მშობლიურ ენაზე. ორივენი ოცნებობენ, რომ ჩამოვლენ საქართველოში.

ხათუნა ფერაძე

ხათუნა ფერაძე

ხშირია შემთხვევები, როცა ადამიანს გაიცნობ და რაღაც შინაგანი კმაყოფილებისა და სიამოვნების გრძნობა დაგეუფლება. მხიარული, დიდი მწვანე და მოცინარე თვალებით, მიზანსწრაფული, ენერგიული, ურთიერთობებში მოზომილი, პასუხისმგებლობის დიდი გრძნობით - ასე ახასიათებენ ხათუნას მისი მეგობრები. დაამთავრა ზესტაფონის №7-ე საშუალო სკოლა წარჩინებით. 1989-1995 წლებში სწავლობდა პეტერბურგის პედიატრიულ-სამედიცინო აკადემიაში. შემდეგ სწავლა კლინიკურ ორდინატურაში, ასპირანტურაში გააგრძელა. 2004 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა, ამჟამად პეტერბურგის პედიატრიული სამედიცინო აკადემიის ინფექციების კათედრის ლექტორია, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი. პერიოდულად საშუალება ეძლევა წაიკითხოს ლექციები და მოხსენებები საზღვარგარეთ. ჰობი: მთის სათხილამურო სპორტი, ციგურაობა, ქართული ცეკვები, თეატრი და პოეზია. ჰყავს მეუღლე და ორი ქალიშვილი - ლანა და გრეტა ცერცვაძეები.

– ყველაზე მეტად რას აფასებთ ადამიანებში?

– პასუხიმგებლობას, მტკიცე ხასიათსა და კეთილშობილებას.

– რამდენად ახერხებთ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებას?

– ყველაფერი თითქოსდა შეუმჩნევლად ხდება. დგება დრო ცხოვრებაში, როცა იწყებ შეჯამებას, არ არის აუცილებელი ეს მხცოვანების ჟამს მოხდეს. გაივლი გარკვეულ ეტაპს, რომელმაც შენი შემდგომი ცხოვრება უნდა განაპირობოს და აკეთებ დასკვნას, მიდიხარ თუ არა სწორი გზით. გადავწყვიტე ექიმი

გავმხდარიყავი, ამისთვის არ დავიშურე ენერგია. ოჯახი ადრე შევქმენით მე და ჩემმა მეუღლემ, ამიტომ ძნელი იყო სწავლასთან ერთად ბავშვების გაზრდა. მშობლები გვეხმარებოდნენ. უძილო ღამეები, გამოცდები და კონკურსები. პეტერბურგი ჩემთვის ის საოცარი ქალაქია, სადაც ოცნებები ავისრულე, მხოლოდ ჩემი მთავარი პრინციპია დასახული გეგმები ისე განვახორციელო, გზა არავის გადავუღობო. ვასწავლი სტუდენტებს, ისინიც მასწავლიან მე. მათთან ურთიერთობა დიდი სიამოვნებაა. ჩემი ავადმყოფები მძიმე ინფექციური სენით დაავადებული ადამიანები არიან და მათ ფონზე ყოველდღე ახალგაზრდა, ჯანსაღი, ლამაზი და მხიარული სტუდენტების ხილვა ძალიან მნიშვნელოვანია ექიმის ფსიქიკის ბალანსისათვის, ჰარმონიისათვის.

– როგორი უნდა იყოს ქართველი ქალი?

– ყველას თავისი ბედისწერა აქვს ცხოვრებაში. აქ ბევრი შერეული ოჯახია. პირადად მე ქართული ოჯახი მაქვს და ვერ წარმომიდგენია უცხოელი მამაკაცი ქართველი ქალის გვერდით. ჩემი მოდელი მაქვს, როგორი უნდა იყოს ქართველი ქალი: განათლებული, ქართული ადათ-წესების მცოდნე, ჭკვიანი, ერთგული და ოჯახის ბურჯი.

– საყვარელი დღესასწაული?

– ჩემი შვილების დაბადების დღე.

– ,,ეძიებდე და ჰპოვებდე” - რა არის ეს თქვენს ცხოვრებაში?

– მინდა მეცნიერული კვლევა გავაგრძელო, მედიცინა კი სულ ძიებაა. შედეგებთან ერთად შეცდომებსაც ვუშვებთ მუდმივი სწავლის პროცესია. ბევრი თემაა მედიცინაში ჩემთვის საინტერესო.

– რას ნიშნავს თქვენთვის მშობლიური ქალაქი?

– ბევრს, ძალიან ბევრს. მონატრებული მშობლები, ნათესავები, გემრიელი კერძები, იმერული იუმორი, სიზმრები მშობლიურ სახლზე, ქალაქზე, ყოველ ზაფხულს იმერეთში ვატარებ.

– უცხოეთიდან როგორი ჩანს საქართველო?

– ჩვენი საქართველი პატარა ქვეყანაა, ამბიციური, ემოციური, სტუმართმოყვარე, თბილი და მიმნდობი. შეიძლება ამ თვისებათაგან რომელიმე ბუმერანგივით უსიამოვნებად ან უბედურებად გვიბრუნდება უკან. მაგრამ ეს საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ფენომენია და თაობიდან თაობას გადაეცემა. ჩემი სამშობლო საქართველოა, პეტერბურგი კი საყვარელი ქალაქი და სახლი.

– რომელ თემაზე გიყვართ კამათი?

– რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები, რუსულ-ქართული ადათ-წესები.

– წელიწადის რომელი დრო მოგწონთ?

– ზაფხული, ცივი ქალაქის პირქუში ზამთრის შემდეგ საქართველოში სითბო და მზე გველოდება. ჩემი დაბადების დღეც ზაფხულშია. ყოველ წელს გეგმურად ვატარებთ ექსკურსიას. ბავშვებთან ერთად ვათვალიერებ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს. გოგონებმა იციან, რომ ყოველდღე რამე უნდა წაიკითხონ ქართულად, დაიზეპირონ ლექსი. ჰქონდეთ ინტერესი იმისა, რომ, როცა ციხის ნაშალს გვერდით ჩავუვლით, იკითხო,ნ რა ძეგლია ეს, მოიძიონ მასზე ცნობები და იცოდნენ, რომ დიდი ისტორიისა და კულტურის მქონე ერის შვილები არიან

– გიყვართ მოგზაურობა?

– ყველას გვიყვარს მოგზაურობა. მშობლებს მსოფლიოს მრავალი კუთხე აქვთ მოვლილი. მე და ჩემი და ყოველთვის განებივრებულები ვიყავით კურორტებით. ახლაც მიყვარს აქტიური დასვენება, ექსკურსიები, უმთავრესად წინასწარ დაგეგმილი სქემით. საყვარელი ქვეყანაა სინგაპური. ცდუნებას ვერ გავუძელი და ამ ქვეყანაში მოგზაურობის შემდეგ წიგნიც კი დავწერე. ბავშვებსაც გადაედოთ ეს სიყვარული მოგზაურობისადმი. უყვართ ზღვის კურორტები, გაცვლითი პროგრამებით საზღვარგარეთაც დადიან. ერთი კია, უკმარისობის გრძნობა მეუფლება იმის გამო, რომ რასაც ვაკეთებ ეს ჩემი სამშობლოს სახელით არ კეთდება, სამაგიეროდ ის მამშვიდებს, რომ საქართველოში დიდი ინტელექტუალური პოტენციალია და ემიგრაციაში მყოფი ქართველები სამშობლოში დაბრუნდებიან და კიდევ უფრო მეტს გააკეთებენ მისთვის.

დიმიტრი კუპატაძე

დიმიტრი კუპატაძე

გაგაცნობთ კიდევ ერთ სასახელო ქართველს - დიმიტრი დიმიტრის ძე კუპატაძეს. სანკტ-პეტერბურგის სისხლძარღვთა მთავარი ქირურგი და ამბრუაზა პარეს სახ. ბავშვთა ანგიოლოგიური და სისხლძარღვების ქირურგთა ასოციაციის პრეზიდენტი. ასოციაცია შეიქმნა 1997 წელს და ბატონი დიმიტრის ინიციატივით დაერქვა მე-16 საუკუნის დიდი ფრანგი ქირურგის ამბრუაზა პარეს სახელი. იგი კარლ IX ქირურგი იყო, ჰქონდა ბრწყინვალე აღმოჩენები ქირურგიასა და მეანობაში. პარე ჰუგენოტი იყო და მეფის მფარველობით გადაიტანა ბართლომეს ღამე, მაგრამ როცა მეფემ მას რწმენის შეცვლა მოსთხოვა ექიმმა უპასუხა; ,,თქვენო უდიდებულესობავ, არ შემიძლია სამი რამის გაკეთება; არ ვიყო თქვენი ერთგული, არ ვიყო ქირურგი, და არ ვიყო ჰუგენოტი.''

დიმიტრი კუპატაძე დაიბადა 1947 წელს ექიმების ოჯახში. 1965 წელს ლენინგრადის სამედიცინო პედიატრიულ ინსტიტუტში ჩაირიცხა, სწავლის პერიოდში დაკავებული იყო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობით, რომელიც

შემდგომ გააგრძელა. დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები, რომლებიც ბავშვთა სისხლძარღვთა ქირურგიას მიეძღვნა. 1996-2001 წლებში პეტერბურგის პროფესორი მთავარი ბავშვთა ქირურგია. მისი ხელმძღვანელობით დაცულია ათი საკანდიდატო დისერტაცია. 1987 წელს საბავშვო ანგიომიკროქირურგიული განყოფილების გახსნის ინიციატორი იყო, სადაც იმ ბავშვთა დიაგნოსტიკის საკითხების გამოკვლევა მიმდინარეობს, ვისაც რთული სარეკონსტრუქციო ჩარევა ესაჭიროება. ბოლო ათი წლის განმავლობაში ჩატარებულია ათი ათასზე მეტი ქირურგიული ოპერაცია, ყოველწლიურად დახმარებას ღებულობს 700-მდე ბავშვი. განყოფილების მასალებით დაცულია სადოქტორო და ათი საკანდიდატო დისერტაცია, მუშავდება კიდევ ორი საკანდიდატო დისერტაცია. ძირითადი სამუშაოები წარდგენილია 1997 წელს პეტერბურგში ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაზე და საერთაშორისო კონფერენციაზე ამერიკაში კენტუკის შტატში 1999წელს, სადაც დ. კუპატაძეს მიენიჭა ,,ქალაქ ლუივილის საპატიო მოქალაქის'' წოდება. დიმიტრი კუპატაძე – ბავშვთა ანგიოლოგიასა და ანგიოქირურგიაში ორი მთავარი პრინციპია: ანგიოლოგიური აზროვნება და ოპერირების მიკროქირურგიული მეთოდი. ამ პრინციპების რეალიზება ბავშვთა ასაკის და ორგანიზმის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით უნდა მოხდეს. ოპერაციული ჩარევა პრაქტიკულად ხდება სხეულის ყველა ნაწილზე. ხორციელდება ურთულესი ოპერაციული ჩარევები, თანაც მკურნალობის ახალი პროგრესული მეთოდები ინერგება. ჩვენი ასოციაცია მსოფლიოში ერთადერთია ბავშვთა სისხლძარღვოვანი ქირურგიის დარდში. აქ ათი სპეციალისტია და ისინი ყველანი ჩემი მოწაფეები არიან, სტუდენტობიდან გამოვზარდე, საქართველოდან ჩამოტანილი ენერგია, ცოდნა და სურვილი ჩავდე მთელ ჩემს მოღვაწეობაში რამდენიმე წლის წინ მინდოდა ჩემი მეთოდები საქართველოში დამენერგა, მაგრამ რამდენჯერაც დავაპირე იმდენჯერ რაღაც დაიწყო, ხან ომი იყო, ხან არეულობა. შემოთავაზებებიც არ იყო მყარი, რომ წამოვსულიყავი ყველაფერს ვკარგავდი, ოჯახი მაქვს, თავი რითი უნდა მერჩინა, რა გამეკეთებინა? ასაკიც არ მიწყობს ხელს, რომ თავიდან დავიწყო ყველაფერი. მაინც ვაპირებ დაბრუნებას, ჩემი შვილი გინეკოლოგია და ორდინატურაში სწავლობს. კიდევ ორი წელი სჭირდება და შემდეგ მთელი ოჯახი ვბრუნდებით სამშობლოში; წელიწადნახევარში ჩემს წიგნს დავამთავრებ, სხვას თუ არაფერს, სახელმძღვანელოს დავუტოვებ მომავალ ქართველ ექიმებს და ვთვლი, რომ ეს იქნება ჩემი დამსახურება ქართველი ერის წინაშე.

ირინა ჟემჩუჟინა

გია ბაკურაძე და ირინა ჟემჩუჟინა

საქართველოს ახსოვს ირინა ჟემჩუჟინა, სიფრიფანა თხელი გოგონა, მხატვრული ტანმოვარჯიშე ლენტებით. საერთაშორისო კლასის ოსტატი, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი ჯგუფურ ტანვარჯიშში, ევროპის ჩემპიონი, მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული, ,,მის გიმნასტიკა 1980"-ის ტიტულის მფლობელი, ,,ხრუსტალნი ტულპანი" თასის მფლობელი, ჟურნალების `მის სოვეტსკაია ჟენშჩინა"-სა და ,,მის საქართველოს ქალი" ტიტულის მფლობელი.
ამჟამად, საესტრადო-სპორტული ცეკვების ჯგუფის ხელმძღვანელი. დაიბადა, თბილისში 1963 წელს. დედა მძლეოსანი იყო, საქართველოს ნაკრების წევრი სიმაღლეზე ხტომაში, პირველი საბჭოთა სპარტაკიადის მონაწილე. მამა - ომის შემდეგ იაროსლავიდან გადმოსახლებულა საქართველოში, ისიც სპორტსმენი იყო, სპეციალობით პილოტი. კოსმონავტობაზე ოცნებობდა, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო არ გამოუვიდა. ირინამ თბილისის კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა დაამთავრა. 1986 წელს კი თსუ ფოლოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. მეორე კურსზე იყო, როცა დიდი სპორტიდან წავიდა და გია ბაკურაძესთან ერთად შექმნა ოჯახი. ჰყავთ ორი ქალიშვილი - ია და ნინო. ია - პეტერბურგის გერცენის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტია. ნინო საინჟინრო-ეკონომიური ინსტიტუტის მენეჯმენტის სპეციალობაზე სწავლობს. ირინა ოთხი წელი ასწავლიდა ქართულ სკოლაში რუსულ ენას, მაგრამ ყველაზე საინტერესო მისი დღევანდელი საქმიანობაა, რის შესახებაც თვითონ გვიამბობს: - ჩემი გოგონები პეტერბურგის 56-ე გიმნაზიაში სწავლობდნენ. ბავშვებს ხშირად ვაკითხავდი, გავიცანი სკოლის დირექტორი ქალბატონი მაია პილდესი. მან შემომთავაზა მონაწილეობა მიმეღო დამატებითი აღზრდის ცენტრის მუშაობაში. დიდი ხანია

ჩაფიქრებული მქონდა საეტრადო-სპორტული ცეკვა. სტუდია გავხსენი და საქმეს დიდი ენთუზიაზმით შევუდექი, ამით ხომ პროფესიული ინტერესიც დავიკმაყოფილე. საესტრადო-სპორტული ცეკვა უფრო ხელოვნებაა ვიდრე სპორტი, გვყავს რეჟისორი, დიზაინერი, ხმის ოპერატორი, კომპოზიტორი და ქორეოგრაფი. ჯგუფს ,,არაბესკი" დავარქვით. გვქონდა გასტროლები: ჩეხეთში, პოლონეთსა და ტალინში. წარმატებული იყო ჩვენი კონცერტი პეტერბურგის დიდ საკონცერტო დარბაზში ,,ოქტიაბრსკი". ანსამბლის რეპერტუარი მრავალფეროვანია, კლასიკური მუსიკიდან ვივალდის ვიყენებთ, გვაქვს ნომერი ვანესა მეის მიერ დამუშავებულ კომპოზიციაზე. მოვამზადეთ ცეკვა მოცარტის ,,პატარა სერენადაზე", გვქონდა წარმოდგენა მონჩინის ,,ვარდისფერი პანტერის" სახელწოდებით. აქ ენიო მორიკონეს მუსიკა გამოვიყენეთ. ბავშვებს აცვიათ თეატრალური კოსტიუმები. მაყურებელს ძალიან მოეწონა პატარების პროგრამა რგოლებით რივერ დანსის მუსიკის ფონზე. გიმნაზიის მაღალი კლასის მოსწავლეები ზაფხულობით ბანაკებში დადიან. ერთ-ერთმა კლასმა ქართული ცეკვის დადგმა მოინდომა. მე და ჩემმა ქორეოგრაფმა დავდგით ,,პოპური". მშვენიერი გამოვიდა. პეტერბურგში 90-იან მძიმე წლებს გამოვექეცით საქართველოდან. გამიჭირდა, თბილისის შემდეგ ადაპტაციის პერიოდი ძალიან მძიმედ მიდიოდა, კოშმარად მახსენდება პირველი წლები. ღმერთის მადლობელი ვარ, რომ 56-ე გიმნაზიაში მოვხვდი, ჩემი საქმე ვიპოვე, პროფესიული ინტერესიც დავიკმაყოფილე და ვგრძნობ, რომ სასარგებლო საქმეს ვაკეთებ. გია ბაკურაძე თბილისში დავიბადე 1962 წელს. დავამთავრე 23-ე საშუალო სკოლა, შემდეგ პოლიტექნიკური მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი. ფეხბურთი მიყვარდა, ყოველთვის თბილისის ,,დინამოს" ვგულშემატკივრობდი და ძალიან განვიცდი ამ გუნდის წარუმატებლობას. 18 წლის ვიყავი, როცა ბატონი ზურაბ ლეჟავა გავიცანი, მან შემასწავლა კარატე. იმ დროს ეს სპორტი კი არა, უფრო ორგანიზმის ფიზიკური და სულიერი გაკაჟება იყო. ერთი კურიოზიც უნდა გავიხსენო - ოჯახში აქცენტი გადატანილი იყო განათლებაზე, სპორტი მომავალ პროფესიად არ იყო მიჩნეული,

ამიტომ კარატეზე ჩუმად დავდიოდი. მამა ფეხბურთელი იყო. დაამთავრა 39-ე სპორტული სკოლა. აი, ფეხბურთზე უარს არ იტყოდა, კარატე კი არ მოსწონდა, მაგრამ ყველფერი თავისთავად მოხდა. 1979 წელს ვმონაწილეობდი საქართველოს ჩემპიონატში. 1980 წელს კი საქართველოს ჩემპიონი გავხდი კარატეში, მამამ მხოლოდ მაშინ გაიგო, რომ კარატეზე დავდიოდი. უფრო დიდი წარმატება 1982 წელს მოვიპოვე, გავხდი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. 1984 წელს საქართველოს ნაკრებმა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავა და ამავე წელს კარატეს სახეობებიც აიკრძალა. 1989 წელს შეიცვალა სახელმწიფო პოლიტიკა ამ სპორტის მიმართ და ისევ დაუშვეს. 1991 წელს მე და საქართველოს გუნდი მსოფლიო ჩემპიომნატის მესამე პრიზიორი გავხდით ტრადიციულ კარატეში. 1990 წელს ბოსფორის თასის მფლობელი გავხდი, 1993 წელს საეთაშორისო ტურნირების პრიზიორი ვიყავი. ამავე წელს დავამთავრე სპორტული მოღვაწეობა და დამსახურებულ პენსიაზე გავედი. 1995 წელს ჩამოვედი პეტერბურგში. დღეს კერძო დაცვის სამსახურის ინსტრუქტორი ვარ ორთაბრძოლაში. - ბატონო გია, რატომ მაინცდამაინც პეტერბურგი? - ეს ქალაქი

ყოველთვის მომწონდა, არც ერთ სხვა ქალაქში არ წავიდოდი. ამ ლამაზ ქალაქში ყოფნის სურვილი მქონდა და ვცხოვრობ კიოდეც. უაღრესად კულტურული, ლიბერალური ქალაქია რუსეთის სხვა ქალაქებთან შედარებით. ურთიერთობებიც ცივილურია. გუბერნატორებიც ლიბერალურები იყვნენ და არიან: სობჩაკი, იაკოვლევი, მატვიენკო. საქართველოს პეტერებურგთან ბევრი რამ აკავშირებდა. დღემდე ქართველებისადმი პატივისცემა და სიყვარული შემორჩათ. კომპანიაში, სადაც მე ვმუშაობ, თბილისის საზღვაო სასწავლებლის კურსდამთავრებულები არიან. სულ თბილისზე, საქართველოზე ვლაპრაკობთ. დაცალკავებული ქართველები გუნდ-გუნდად ვიკრიბებით პროფესიების მიხედვით. ცხოვრების რიტმი ასეთია.

– რას ნიშნავს თქვენთვის მშობლიური ქალაქი?

– პირველ სიყვარულს, მეგობრებსა და მშობლებს. პიტერი ჩემი ცხოვრება ვერასოდეს გახდება, ჩემი ცხოვრება თბილისია. მართალია, შვილები ქართულად ლაპარაკობენ, მაგრამ მაინც უკმაყოფილო ვარ. სამი-ოთხი წელია საქართველოში არ ყოფილან.

– თქვენი ქალიშვილები სპორტსმენები არიან?

– თქვენ წარმოიდგინეთ, არა. საერთოდ, ჩემი სპორტული ბიოგრაფიაც იქიდან დაიწყო, რომ მას სპორტთან კავშირი არ ჰქონდა. მივიდოდი ფეხბურთზე, წამოვიდოდი უკან. შვილებს არ გამოუმჟღავნებიათ ინტერესი და არც დაგვიძალებია. შეიძლებოდა უმცროსი გოგონასგან კარგი ჩოგბურთელი დამდგარიყო. სპორტში საშუალო არ შეიძლება, თანაც ინტერესი შიგნიდან უნდა გქონდეს. ოჯახში ხუმრობით ვამბობთ, რომ სპორტში მშობლებმა და ბაბუებმა გავაკეთეთ გასაკეთებელი და ჩვენ შვილებს აქვთ უფლება დაისვენონ.

– როგორი მამა ხართ?

– მეგობარი. კონფლიქტი არასოდეს გვქონია და სხვანაირი ურთიერთობა არც მესმის. უარს არაფერზე ვეუბნები.

– თქვენ წლები მიუძღვენით სპორტის საყვარელ სახეობას და დღესაც ფაქტობრივად სპორტით ხართ დაკავებული.

– კარატე ფილოსოფიური სპორტია. იგი ზურაბ ლეჟავამ შემაყვარა. მის ირგვლივ ვიკრიბებოდით სხვადასხვა პროფესიის ადამიანები: მხატვარი, არქიტექტორი, იურისტი, ინჟინერი. ყველა სიხარულით მოდიოდა, ეს იყო საერთო ზეიმი. ეს იყო რელიგია, ცხოვრების წესი, მედიტაცია, თვითჩაღრმავება.

როცა ადამიანი ამ გზით მოდის, ის სერიოზულ წარმატებებს ცხოვრებაში აღწევს. როცა ვინმე გვასწავლის, საით უნდა გაიხედო. ეს არ არის ორთაბრძოლის ერთ-ერთი სახე, არამედ - იოგა დინამიკაში. როცა ცხოვრების რაღაც ეტაპს გაივლი, მოიხედავ და ფიქრობ: სწორად ვიარე? თამამად ვიტყვი, ღმერთმა ბედი მომცა და ზურაბ ლეჟავას შემახვედრა. სხეულიც გავიკაჟე, სულიც და ძალაც მოვიკრიბე რთული ცხოვრების დასაწყისშივე.

დავით უშვერიძე

დავით უშვერიძე

დაიბადა ქუთაისში, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ პეტერბურგის I სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გახდა, რომლის დამთავრების შემდეგ III საქალაქო საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში ორგენტულ ქირურგიაში იმუშავა 1990 წლამდე. ხუთი წელი ბრიგადის უფროსი იყო, მკურნალობდა მეტად მძიმე ავადმყოფებს. 1990 წლიდან კლინიკურ ორდინატურაში სწავლობდა, თან ნახევარ განაკვეთზე მუშაობდა. 1993 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ,,სწორი ნაწლავის მედიცინა" პროფ. მელნიკოვის ხელმძღვანელობით, რომელიც რუსეთში ცნობილი დიდი ონკოლოგი გახლდათ. 1993 წელსვე ბატონი დავითი დაბრუნდა III საქალაქო საავადმყოფოში ქირურგიის განყოფილებაში. 1994 წელს II უდიდესი საქალაქო საავადმყოფო გაიხსნა, ახლდგახსნილ ქირურგიულ განყოფილებაში მუშაობა დაიწყო. 1999 წლამდე იქ იყო, აკეთებდა ურთულეს ოპერაციებს ონკოლოგიურ ქირურგიაში. 1997 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემით ,,მსხვილი ნაწლავის ორგენტული ქირურგია". 1999 წლიდან მთავარი ექიმის მოადგილეა ქირურგიის დარგში. გაკეთებული აქვს 800-მდე ოპერაცია.

– ბატონო დავით, ექიმობა საერთოდ მეტად ძნელი საქმეა, მაგრამ სფერო, რომელიც აირჩიეთ განსაკუთრებით პასუხსაგებია?

– ნამდვილად ასეა, ყველა ოპერაცია ონკოლოგიურ ქირურგიაში სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზეა. სანამ დაადგენ ავადმყოფობის სტადიას, შემდეგ მიხვალ დასკვნამდე და, თუ საოპერაციო მაგიდაზე მიგყავს ავადმყოფი, მერამდენედ გადიხარ მასთან ერთად გზას უიმედობიდან იმედამდე. ძალიან ვიღლები, დახმარებაზე უარს მაინც არავის ვეუბნები. მართალია, სტაციონარში ფსიქოლოგი გვყავს, მაგრამ მკურნალ ექიმს უფრო მეტი მნიშვნელობა და შესაძლებლობა აქვს. ონკოლოგია ავადმყოფში მაშინვე აღიქმება უბედურებად, ტრაგედიად. რამდენი

გულისხმევა, მოთმინება და მჭერმეტყველებაა საჭირო იმისათვის, რომ ავუხსნათ პაციენტს, დავარწმუნოთ მკურნალობისა და ოპერაციის აუცილებლობაში. ზოგჯერ ავადმყოფს მძიმე დეპრესია, შიში და უიმედობა იპყრობს და აღარ უნდა იბრძოლოს სიცოცხლისათვის. ყოველი დამარცხებული სიკვდილი ჩვენი გამარჯვებაა. იწყება პროგრამები, მთავრობა დიდი თანხების გამოყოფას აპირებს სამედიცინო სფეროებში. საქართველოში ორჯერ მაინც ჩავდივარ. ქუთაისში დედა, და და სიძე მყავს. ჩემი ქალიშვილი 17 წლისაა, მას ფსიქოლოგია აინტერესებს, ექიმობა არ ინდომა ჩემი დიდი სურვილის მიუხედავად. ვცდილობდი ჩემი პროფესია შემეყვარებინა, ვაჩვენებდი ოპერაციებს, მაგრამ მან ინტერესი არ გამოიჩინა.

ოთარ მაკარიძე

ოთარ მაკარიძე

სამოციან წლებში გაზეთ ,,პრავდასა" და ჟურნალ ,,ოგონიოკში'' დაიბეჭდა ვარლამ მაკარიძის ოჯახის სურათი, როგორც ექიმების ყველაზე დიდი ოჯახისა. დედ-მამა, და, ძმა და მე ექიმები ვართ. სკოლა თერჯოლაში ოქროს მედალზე დავამთავრე, შემდეგ ლენინგრადის პირველი სამედიცინო ინსტიტუტი ვმუშაობდი პოლიკლინიკაში, შემდეგ ასპირანტურაში ვსწავლობდი, რომლის დამთავრებისთანავე მუშაობა დავიწყე პავლოვის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტში კარდიოლოგიური ლაბორატორიის მეცნიერ-მუშაკად. ეს ის ლაბორატორიაა, სადაც ევროპაში და საბჭოთა კავშირში პირველად დაინერგა კარდიოლოგიური კვლევა და შეიქმნა პირველი რეანიმაცია. ადრე ერთმანეთში ერეოდათ კარდიოლოგია და ქირურგია. რეანიმაცია გულით ავადმყოფებს მკურნალობს, ქირურგია კი სხვაა. ჩვენმა კათედრამ დიდხანს იბრძოლა იმისათვის, რომ მედიცინის ეს ორი დარგი ერთმანეთისაგან გაეცალკევებინათ. კათედრას განუწყვეტელი კონტაქტები აქვს საქართველოსთან, კერძოდ, ქალბატონ გულიკო ჩაფიძესთან, ვესწრებოდით მის სადოქტორო დისერტაციას. ჩემი მეუღლე ეროვნებით რუსია, სპეციალობით

ფილოლოგია. ძალიან კარგად ამბობს ქართულ სადღეგრძელოებს, ტყემალსაც აკეთებს. სანამ არ ისწავლა ლობიოს, საცივისა და ბაჟეს გაკეთება, მანამდე არ შევირთე ცოლად. ტყემლის გასაკეთებელი ომბალო საქართველოდან ჩამომაქვს, აბა, ომბალოს გარეშე ტყემალს რა არომატი აქვს? ასე, ქალბატონი ელენე არ ჩამოუვარდება ქართველ მზარეულებს. ქალიშვილმა - თებროლემ სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა, ინსტიტუტი წითელ დიპლომზე, ისიც ექიმია. მეუღლე გვარად ბენიშევია, ძალიან გავს ქართველს. ერთი შვილი ჰყავთ. ვაჟი – ალექსანდრე სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტია. ორივემ შესანიშნავად იციან ქართული, მეგობრობენ ქართველებთან, დღესასწაულებს ერთად ზეიმობენ, თუმცა რუსი მეგობრებიც ჰყავთ. საერთოდ ვერ დააძალებ ვისთან იმეგობროს, მაგრამ სისხლის ყივილი თავისას შვება. მედიცინა ხომ რთული სფეროა, მაგრამ კარდიოლოგია განსაკუთრებით სათუთია. კარდიოლოგიური დაავადებები ემოციურ-ფსიქოლოგიურ განწყობებთან არის დაკავშირებული. ახალგაზრდა ექიმები ხშირად ცდებიან როცა ჰგონიათ, რომ ტაბლეტები, წვეთოვანები მთავარია მკურნალობაში. დროთა განმავლობაში მედიცინა მიდის იმ დასკვნამდე, რომ ორგანიზმში საჭირო დროს ამოქმედდება თავდაცვის მექანიზმები, თვით ონკოლოგიური დაავადებების დროსაც კი. მთავარია, ექიმმა ორგანიზმს შეუქმნას ისეთი პირობები, რომ ეს რეაქციები ამოქმედდეს. თუ ექიმი ამას ვერ უქმნი პაციენტს, გამოდის, რომ არა ხარ კარგი ექიმი. ქირურგებმაც იციან, თუ ავადმყოფი ცუდ ხასიათზე შედის საოპერაციოში, შეკერილი ჭრილობა ადვილად არ ხორცდება. ე. ი. ავადმყოფს არ აქვს სათანადო ემოციურ-ფსიქოლოგიური ფონი. უცხოელი ექიმები ხშირად გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ქოლესტერინის დონეს ადამიანის ორგანიზმში. ქოლესტერინის გარკვეული რაოდენობა ორგანიზმს სჭირდება, მამაკაცი ვერ იქნება მამაკაცური, ვერც ქალი ჩაატარებს სექსუალურ აქტს, თუკი მისი გარკვეული რაოდენობა არ ექნება. ინფარქტის შემთხვევის დროს პირველ დღეებში მკურნალობის შედეგი ხშირად ფატალურია, შეიძლება არითმია წარმოიშვას, უჯრედი მკვდარია ან კვდება და ელექტროგამტარიანობა იშლება. არითმიის დროს გული შეიძლება გაჩერდეს, სწორედ ამ დროს არის საჭირო რეანიმაცია. ინფარქტის თავიდან აცილება სისხლის გათხელებით შეიძლება. პროგნოზირება კი მაინც შეუძლებელია როდის ან განვითარდება თუ არა გულის ინფარქტი. ვინ ვინ და ექიმმა ყველაზე უკეთ იცის, რომ ჯანმრთელობა ადამიანის ცხოვრების განმსაზღვრელი ფაქტორია. სიხარული, ბედნიერება, სიამოვნება მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიქმება სრულყოფილად, თუ არაფერი გაწუხებს. კარდიოლოგიური დაავადებები კი ადამიანურ შეგრძნებებზე დიდად არის დამოკიდებული. გულს მოფრთხილება სჭირდება, სამაგიეროდ ის ჩვენ მოგვიფრთხილდება. დღეს ბევრს ლაპარაკობენ გლობალიზაციაზე. ეს სიტყვა გაიგივებულია ერთგვარ საშინელ მოლოდინთან, მეორედ მოსვლასთან, რომ დიდი ერები შთანთქავენ მცირეს, განადგურდება საუკუნოვანი კულტურები, ცივილიზაციები. იცით, არ მეშინია ამ სიტყვისა. ის რაც არასიცოცხლისუნარიანია, იმას შთანთქავს, ხოლო ძლიერი გადარჩება. გლობალიზაცია არ ნიშნავს ერების შერწყმას. მეცნიერება ამტკიცებს, რომ სისხლის ყივილი გენებში გადადის, ეს ცნება აბსტრაქტული წარმოშობის არ არის.

ის ჩადებულია ადამიანებსა და ცხოველებშიც. ევროკავშირი გააერთიანებს სხვადასხვა ქვეყნების კულტურებს. გლობალიზაცია არ ნიშნავს კულტურათა დაკარგვას, არამედ მათ გაერთიანებას. ქართული კულტურა ნაზავია უფრო აღმოსავლურისა, ვიდრე დასავლეთის, სუფთა ქართულის გამოკვეთა ძნელია. ვერც ბერძნები იტყვიან რა არის კერძოდ ბერძნული მათ კულტურაში. ბევრი რამ არის, ქართულში ტრადიციას რომ ვეძახით, სინამდვილეში კი არ ვიცით, საიდან მოვიდა, ან დღემდე რატომ არ ქრება, მაგალითად, ქართულ სუფრაზე კიდევ შემორჩა წესი ორლიტრიანი ყანწით დალიო სადღეგრძელო, განა შეიძლება დღევანდელი ღვინო ასეთი რაოდენობით მიიღო? საუკუნეების წინ საქართველოში სხვანაირი ჰავა
და კლიმატი იყო, ადამიანის ორგანიზმიც საიმისოდ იყო მოწყობილი, რომ სუფთა ნატურალურ ღვინოს იტანდა. ჩემი აზრით, ყველაზე მეტად ქართული კულტურა მაინც ცეკვაში გამოიხატება. დრო ქარიშხალს გავს. მოდის და მიდის, ყველაფერი დროს მიაქვს, გაიფილტრება, დარჩება ის, რაც უნდა დარჩეს. რა უნდა შევინარჩუნოთ და რა არა? ამას ცხოვრება, დრო გადაწყვეტს. ხშირად ვამბობთ ქართველები, რომ ჩვენ ყველაზე ლამაზები და ჭკვიანები ვართ. ეს აზრი ხშირად ამბიციურობაშია გადასული, რაც თაობაზე აისახება და ჰგონიათ, რომ მართლა ვართ ძლიერები, ყველაზე უკეთესები. ცდუნებას ვერც მე ვუძლებ და ერთი ამბავი მინდა გავიხსენო. როცა ქალბატონი გულიკო ჩაფიძე დისერტაციას იცავდა, მე და ჩემი შეფი ვიყავით ჩამოსული, გავიარეთ რუსთაველზე, სტუმარს ლაღიძის წყალი გავასინჯეთ, იქვე ფეხსაცმლის მაღაზია იყო, ვიტრინაში ,,პლატფორმები" იყო გამოფენილი. ქალბატონს ფეხსაცმელი მოეწონა, მივდექ-მოვდექით, დაკეტილი მაღაზია გავაღებინეთ და სტუმარს ფეხსაცმელი მივართვით. გაოცებული დარჩა, ასეთ რამეს რუსეთში ვერ გააკეთებდი. რა ვიცი, მაინც მაგრები ვართ. მე ის მაწუხებს, რომ საქართველოში სახელმწიფოებრივი აზროვნება არ არის დამკვიდრებული. იგი ჩვენ რვაასი წლის წინ დავკარგეთ. პოლიტიკა არ მიტაცებს და ამით კმაყოფილი ვარ. პოლიტიკური ბრძოლა არასდროს მიზიდავდა, დაძაბულია და ნერვები მიაქვს. 1994 წელს საქართველოდან შემომთავაზეს დეპუტატობაზე კენჭისყრა, მაგრამ უარი ვთქვი; ჩინოვნიკობა არასდროს მიტაცებდა. რაც მთავარია, მაშინ სიმართლის მოსმენა არავის უნდოდა, მე კი არ მინდოდა თეთრი ყვავი ვყოფილიყავი. შემდეგი შემოთავაზება თერაპიის ინსტიტუტის დირექტორობა იყო. ვთვლი, რასაც ხელს მოკიდებ სრულყოფილად უნდა გააკეთო, სავარძელში ჯდომა არ მიტაცებდა, ინსტიტუტში კი არ იყო აპარატურა, თანხები, შიშველი ხელით ჯადოქარი უნდა იყო, რომ რამე გააკეთო. მე ვარ ქართველი და ჩემს საქმეს აქ ვაკეთებ, სამეცნიერო საქმეში წარმატება ხვალ უფრო მეტ შედეგს მოიტანს, ვიდრე ანტურაჟი. აქაური ქართველები სათვისტომომ და მისმა ხელმძღვანელობამ თავის გარშემო გაგვაერთიანა.

ნათია გოგიტიძე და ოთარ მაკარიძე

თითოეული ადამიანის ცხოვრება საინტერესო ისტორიაა. არჩევანს მომენტი ან პიროვნება განაპირობებს. მამაჩემისგან ვიცი, რომ სწორი გზით უნდა იარო და ჭკუა
უნდა გეყოს, არ მოიპარო, ბოროტება არ ჩაიდინო. ღვთის წინაშე კადნიერება მგონია ვამტკიცო, რომ სიკეთეს ყოველდღე ჩავდივარ. ვიტყვი, რომ თავში არასოდეს მომსვლია ცუდის გაკეთება. სულის სიმშვიდეც მაშინ მოდის, როცა კმაყოფილი ხარ. სამსახურში საქმე კარგადაა, სახლი უზრუნველყოფილია, შვილებს ზრდი, მეგობრები გყავს, ქალებს მოსწონხარ, შენც მოგწონს. კარგი ქალი ძალიან მომწონს. როგორია იგი? ქალების შეცდომა იმაშია, რომ ჰგონიათ, კარგი ჩაცმაა მთავარი. მამაკაცი კი ჩაცმულობას არ უყურებს. პოდიუმზე მდგარი მოდელი ჩემთვის აბსტრაქტულია. ქალს ინტელექტი სჭირდება, როცა ქალი სულელია, ფიქრობ როგორმე გაექცე მას, ის კი, თავის მხრივ, გარეგნობაზე აგებს მომავალს. ყოველთვის ვგრძნობ ქალს, რომელსაც მოვწონვარ, ეს არ შემეშლება. მეცნიერებამ დაამტკიცა, რომ არსებობს სპეციალური ნივთიერება ,,ენდოკრინემი“, რომელიც სასიამოვნო შეგრძნებების გამომწვევია. ეს ნივთიერება მინიმუმ რვა თვე, მაქსიმუმ ორი წელი არის სისხლში და მერე ქრება. ამიტომ იკარგება ზეიმის შეგრძნებაც ახალდაქორწინებულებში. რაც შეეხება ოჯახს– მისი შენარჩუნების საქმეში, მაინც ქალია მთავარი. მან ბავშვი უნდა გააჩინოს, შვილი კი ოჯახს ხშირ შემთხვევაში აერთიანებს. მაინც სად არის ბედნიერება? თუ განვსაზღვრავთ რაშია ბედნიერება, მაშინ ვართ ბედნიერი, მაგრამ არ არსებობს ამის კრიტერიუმი. აღზრდას მნიშვნელობა აქვს, გააჩნია რა ფასეულობებია შენთვის მისაღები. ამის გაგებას დრო სჭირდება, ასაკში რომ შედიხარ, მაშინ უფრო ხვდები, სად არის იგი - ლურჯი ფრინველი.

ელგუჯა ლატარია

ელგუჯა ლატარია

1858 წელს პეტერბურგში სმოლენსკის ველზე ვასილიევის კუნძულის დიდ პროსპექტზე დაარსდა რუსეთში მესამე მოწყალების დების თემი სახელად ,,პოკროვსკი". მისი დამაარსებელი იყო ბუნებით სათნო და ქველმოქმედი ადამიანი: დიდი კნეინა ალექსანდრა პეტრეს ასული, პრინცესა ტერეზასა და პრინც პეტრე გიორგის ძე ოლდენბურგსკის ქალიშვილი. თემის მიზანი თავიდან იყო მოწყალების დებისა და უპატრონო და ღარიბი ბავშვების აღზრდა. როცა ბავშვები ავად ხდებოდნენ, მათ სხვაგან საავადმყოფოებში აგზავნიდნენ სამკურნალოდ. ეს გარკვეულ პრობლემებს ქმნიდა. სწორედ ამიტომ გაჩნდა იდეა, თემს საკუთარი საავადმყოფო ჰქონოდა. ეს მოხდა 1859 წელს. თემი ამზადებდა მოწყალების დებს, რომლებიც ფიცს დებდნენ, რომ მოყვასის ერთგულნი იქნებოდნენ. 1917 წელს პოკროვსკის თემი წითელი ჯვრის ორგანიზაციის მფლობელობაში გადავიდა. 1920 წელს მის ბაზაზე გაიხსნა გავანის საავადმყოფო (гаванская общодоступная больниса). კლინიკის სათავეში იყვნენ გამოჩენილი მედიკოსები, რომლებმაც სათანადო კვალი დატოვეს საბჭოთა მედიცინის განვითარებაში. 1964 წელს აქ გაიხსნა რუსეთში პირველი სპეციალიზირებული ინფარქტის განყოფილება ინტენსიური დაკვირვების პალატით. მრავალი წლის განმავლობაში ეს იყო მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ლაბორატორია, რომელიც ინფარქტის პრობლემებს იკვლევდა. მალე აშენდა კარდიოლოგიური კორპუსი, რომლის ბაზაზე შეიქმნა ანტიარითმიული ცენტრი. 2006 წელს დამთავრდა გაყინული მშენებლობები საავადმყოფოს მთავარი ექიმის ოთარ ხურცილავას თავდაუზოგავი შრომითა და მონდომებით. დღეს პოკროვსკის საავადმყოფო მრავალპროფილიანია: ქირურგიული, ტრავმატოლოგიური, კარდიოქირურგიული, ყელ-ყურ-ცხვირის, რენტგენოლოგიური, ენდოსკოპიური, რეანიმაციული და სასწრაფო გადაუდებელი დახმარების განყოფილებებით. ჩვენ

გავესაუბრეთ პოკროვსკის საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილეს ქირურგიის დარგში ელგუჯა ლატარიას.

– დავიბადე 1963 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ ძველ აბასთუმანში. მალე ოჯახი საცხოვრებლად ზუგდიდში გადავიდა. დედა – რუსულის მასწავლებელი, მამა – მათემატიკოსი, შემდგომ სკოლის დირექტორი. ბებია მასწავლებელი, ბაბუა ექიმი. ასეთ გარემოცვაში გავიზარდეთ სამნი: და, რომელიც, სამწუხაროდ, აღარ გვყავს; ძმა – ბიძინა, რომელმაც დაამთავრა ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი და მე. ძმებმა სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრეთ. ჩემი ცდა, ჩავრიცხულიყავი თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, უშედეგოდ დამთავრდა. ბიძაჩემის, ჯემალ აბშილავას რჩევით, იგი ექიმია და პეტერბურგში ცხოვრობდა, გადავწყვიტე აქ მეცადა ბედი. ინსტიტუტის შემდეგ ნელ-ნელა შემიტყუა აქაურობამ: ორდინატურა, ხარისხი. ფიქრობ: ჯერ ამას გავაკეთებ და მერე წავალ და ასე გავიდა წლები. გზა კი ასეთი იყო: ინსტიტუტის შემდეგ პოკროვსკის საავადმყოფოში ვმუშაობდი სამი წელი, შემდეგ კლინიკური ორდინატურა გავიარე, უფროსი ლაბორანტი, ასპირანტი და ასისტენტი. ათი წელი ვიმუშავე ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრაზე. ჯერ პროფესორ პუტოვთან, შემდეგ პროფესორ იგნაშევთან. ხარისხი იგნაშევის ხელმძღვანელობით დავიცავი. 2000 წლის ოქტომბერში გავიცანი ბატონი ოთარ ხურცილავა, მან შემომთვაზა თანამდებობა და მეც დავთანხმდი. დიდ ქალაქს ცხოვრების ისეთი რიტმი აქვს, რომ ხანდახან დაფიქრების დროც არა გაქვს. მაგრამ როცა წარსულს გადავხედავ, მეამაყება ჩემი ოჯახი. რომ ვარ პედაგოგების შვილი, რასაც მივაღწიე ყველაფერი წიგნის სიყვარულით, თვითგანათლების უნარით. ჩემი მეუღლე დერმატოლოგია. 26 წელია უცხო ქალაქში ვცხოვრობთ, თუმცა პეტერბურგი ის ქალაქია, სადაც დაიბადნენ ჩვენი შვილები, ქალაქი, სადაც განათლება მივიღეთ, სადაც პატივს გვცემენ. ჩვენ არ გვიგვრძვნია რომ უცხოტომელები ვართ. ინსტიტუტში წარმატებით ვსწავლობდი, თავი ღირსეულად მეჭირა – მე ხომ ქართველი ვარ. ამას ყველა ამჩნევდა და სათანადოთ აფასებდა ჩემს მონდომებას. დაძაბულობის პერიოდშიც არ ყოფილა უხერხულობა. საზოგადოება, სადაც მე ვტრიალებ, სამედიცინო სფერო, ინტელიგენტებისაგან შედგება და გამორჩეულად რბილი, ჰუმანური ხალხია, იმათგან განსხვავებით, ვინც ბიზნესშია. ბატონ ოთარ ხურცილავასთან შვიდი წელი ვმუშაობდი. მისი პირველი მოადგილე ვიყავი. ორი ქართველი წარმატებით ვართმევდით თავს ურთულეს სამუშაოს. ასე მოგვმართავდა ქართველ სპეციალისტებს: ათჯერ მეტი მოგეთხოვებათ, ვიდრე რუსს, უკრაინელს, ებრაელს, რადგან პოლიტიკური ვითარება გართულებულია. როცა მთავარი ექიმი და მისი მოადგილე ქართველია, იქ ვერავინ გაბედავს უპატივცემულობას, მაგრამ არც ჩვენ მივცემთ არავის იმის თქმის საშუალებას, რომ იკითხონ, რატომ არის ქართველი ამ თანამდებობაზე, რადგან ჩვენ ვიმსახურებდით ამას. აქ სწავლობდა და მუშაობდა ქართველი დათო მიქელაძე, ზურა ზედგენიძე – პერსპექტიული ქირურგები. როცა ისინი საქართველოში დაბრუნდნენ, აქაურები წუხდნენ: როგორი კარგი ბიჭები იყვნენ, როგორ გამოგვადგებოდნენო?! თუმცა ამ დაძაბულობამ დაგვაფიქრა მეც და სხვებიც. ჩვენ ოჯახები გვყავს, შვილები გვეზრდებიან. ვცდილობთ ყველანაირად ავარიდოთ თავი უსიამოვნებას. ყოველთვის ვერ ხერხდება, მაგრამ ქუჩაში თუ ვიღაც

მაწანწალა რაღაცას შემომძახებს, მე მას ყურადღებას არ ვაქცევ. მთავარია განათლებული ადამიანი, ვინც იცის ჩვენი ხალხების ურთიერთობის ისტორია. ის არ იკადრებს შეურაცხყოფა მომაყენოს მე, ექიმს, როცა იცის, რომ ვემსახურები მის ხალხს. ორი წლის წინ მაღაზიაში გამომეცნაურა 50 წლის კაცი, ვინმე ნიკიფოროვი. საავადმყოფო 650 საწოლზეა გათვლილი. აქედან 250 ქირურგიისაა. ამ პიროვნებამ შემახსენა, რომ ორი წლის წინ ის იწვა ქირურგიულ განყოფილებაში და უარს ამბობდა ოპერაციაზე. მე დიდი ახსნა - განმარტების შემდეგ დავარწმუნე, რომ ეს გარდაუვალი იყო. ისიც დამთანხმდა და გაიკეთა ოპერაცია. ახლა მადლობის სათქმელად მოვიდა. მითხრა, რომ სწორედ ამ ოპერაციის წყალობით არის ცოცხალი. რთულია თანამშრომლებთან ურთიერთობა. მრავალფეროვანი კოლექტივია. ხმის აწევით არავისთან ვლაპარაკობ. რუსთაველის არ იყოს ,,გველსა ხვრელით ამოიყვანს, ენა ტკბილად მოუბარი". ჩემამდე ვინც მუშაობდა მას სხვანაირი პრინციპი ჰქონდა. დილა იწყებოდა ყვირილით, ჩხუბით, უსიამოვნებით. კარგა ხანი სჭირდებოდა აღელვებული მედპერსონალის დაწყნარებას. სადღაც 11 საათზე განყოფილება მუშაობას იწყებდა. მე დილით ცხრის ნახევარზე შესული ვარ შენობაში. მოვიკითხავ ყველას, სანიტარს, ექთანს, ექიმს. ზოგს ვესაუბრები, ზოგს ოჯახის ამბებს ვეკითხები. ადამიანი რკინა არ არის დაქ საჭიროა დაიოკო ნერვები. როცა თანამდებობის პირი ხარ, ეს მოგეთხოვება. შენი განწყობა გადაეცემა ქვეშევრდომს და განაწყობს მას ან სიმშვიდისკენ, ან დაძაბულობისკენ. განერვიულებული ექიმი ვერ დაარწმუნებს პაციენტს, აღელვების ნიადაგზე მან შეიძლება შეცდომაც დაუშვას. თქვენ ახლახანს ნახეთ საოპერაციოდან შემოსული ექიმი, იგი ოპერაციისთვის ემზადებოდა. ჩემს მაგიდაზე ახლა საჩივარი იმ განყოფილებაზე მიდევს, სადაც ის მუშაობს. ვთხოვე ოპერაციის შემდეგ მოსულიყო. არ მინდოდა აღელვებული შესულიყო ავადმყოფთან. ხელი არ აუჩქარდეს, შეცდომა არ დაუშვას. დაამთავრებს ოპერაციას და შემდეგ განვიხილავთ საჩივარს, ერთად ვიპოვით გამოსავალს. როცა ექიმობას ირჩევთ, უნდა გქონდეთ თანდაყოლილი ჩვევები, გიყვარდეს ადამიანი, გქონდეს მისწრაფება, დაეხმარო სხვას. საავადმყოფოში იყო პრივილეგირებულ ექიმთა კასტა - კარდიოლოგები. ოთარ ხურცილავამ გაათანაბრა ყველას როლი ავადმყოფის წინაშე და ამან სიმშვიდე მოიტანა უზარმაზარ კოლექტივში. ამ გზას მივყვები მეც. ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა ცენზს მედიცინაში. სანიტარი, ექთანი, ექიმი - ყველას ერთნაირად ვაკისრებ პასუხისმგებლობას. პროფესიონალიზმი მოეთხოვება თავის დონეზე ყველას ერთნაირად. რაც შეეხება უმადურ ადამიანებს, ვერ გეტყვით, როცა ერთ მხარეს სილას გამაწნავენ, მეორეს მივუშვერ. არ ვარ ბოღმიანი, მაგრამ მომავალში მის მიმართ სიფრთხილეს ვიჩენ. ხანდახან განსაკუთრებული მდგომარეობაა განყოფილებაში. პაციენტი არ გვიჯერებს, რომ ქირურგული ჩარევის გარეშე სიცოცხლის გადარჩენა შეუძლებელია. საჭირო ხდება ჩემი ჩარევვა. მე ამ საკითხს ასე ვუდგები: გვერდით ვიყენებ მკურნალ ექიმს, ქირურგიული განყოფილების გამგეს და მივდივარ ავადმყოფთან. მეუბნებიან, ეს უკვე ვსინჯეთო, მაგრამ უკან არ ვიხევ. შევდივარ პაციენტთან და ვუხსნი რა საგანგაშო მდგომარეობა აქვს. შემდეგ შედეგებზე ვესაუბრები. რაც შეეხება ონკოლოგიურ ავადმყოფებს, შეიძლება დასავლეთში

მიღებულია თავიდანვე პირდაპირ მიახალონ სიმართლე, მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვეუბნებით, რომ სიტუაცია გარდაუვალია. პაციენტთან თავდაჯერებული უნდა იყო, რომ მისი ნდობა მოიპოვო. ჩემი ბიოგრაფიიდან ერთ საინტერესო შემთხვევაზე გიამბობთ. 1989 წელს ახალგაზრდა ქირურგმა ერთი წლის მუშაობის სტაჟით, მორიგეობის დროს ოპერაცია გავუკეთე 93 წლის მოხუცს, ჩაჭედილი თიაქარი იყო და ნაწლავების ნაწილი ამოვკვეთე. ამ ასაკის მოხუცისთვის მძიმე ოპერაცია იყო, ჩემთვის ახალგაზრდა ქირურგისთვის კი - ძნელი. დილით მორიგეობა დავამთავრე, შვებულებაში გავედი და ერთი თვით საქართველოში გავემგზავრე. დავბრუნდი პეტერბურგში, მივედი საავადმყოფოში და ვიკითხე ავადმყოფის შესახებ. მითხრეს კარგად იყო, გაეწერაო. ორი კვირის შემდეგ მირეკავენ და მეუბნებიან, რომ ჩემთვის ამანათია საქართველოდან ქართველ გოგონასთან და წაიღეთო. გამიკვირდა, ახლახანს ჩამოვედი, რაც წამოსაღები იყო, წამოვიღე... მივედი მისამართზე მეგობართან ერთად. აღებენ კარს და ისმის ,,мама мама ето к тебе" გამოდის ოთახიდან მოხუცი ბებია, ძლივს ხედავს, ხმაზე მიცნო. გაოცებული დავრჩი. ჩემს პაციენტს სურდა მადლობა გადაეხადა ჩემთვის, ამისთვის დაურეკავს საავადმყოფოში, ეშმაკობა უხმარია ამანათთან დაკავშირებით, რომ ჩემი მისამართი დაედგინა. დამახვედრა საჩუქარი: ერთი ,,სგუშონკა", ერთი ფორთოხალი, ერთი კონიაკი და ჩაითაც გაგვიმასპინძლდა მე და ჩემ მეგობარს. ჩრდილოეთის ამ შორეულ ქალაქში თავს ბედნიერად ვგრძნობ, ოჯახი ჩემს გვერდით მყავს, ვზრდი შვილებს. ვაკეთებ საყვარელ საქმეს, მყავს მეგობრები, მაგრამ სამშობლოზე ფიქრი თან მდევს. წელიწადში ორჯერ ჩავდივარ საქართველოში. მშობლებთან და ახლობლებთან. შვილები ზაფხულის ორ-სამ თვეს ზუგდიდში ატარებენ. წვიმაში, ქარში ეზოში არიან. ქართული წერა-კითხვა ბებიამ და ბაბუამ ასწავლეს. უფროსი ირაკლი 12 წლის არის. მას სერიოზული წარმატებები აქვს ფეხბურთში. უმცროსი ლავრენტი 9 წლისაა. იგი ზედმეტად სერიოზულია, კარგად სწავლობს. ჩემი ძმა თავის შვილებით სამი წელია აქ ცხოვრობს. მისი შვილები მოზრდილები არიან. ქართულ სკოლაში სწავლობენ. ირაკლი და ლავრენტი მათთან ურთიერთობით ქართულ სამყაროს უფრო მეტად უკავშირდებიან. ქართულად საუბრობენ ისტორიაზე, ხელოვნებაზე, ქართულ წეს-ჩვეულებებზე. დეკემბრის თვეში ვიყავი სამშობლოში. მშობლებს იუბილე გადავუხადე. მამა 85 წლის გახდა, დედა 75. დავუპატიჟე მეგობრები და ნათესავები. დიდი სურვილი და ოცნებაა ჩემთვის ვნახო ბედნიერი საქართველო. მინდა გაღიმებული ხალხი ვნახო ქუჩაში. გულს მტკენს დაღვრემილი სახეების ყურება. ჩემი აზრით, ხალხი უნდა დასაქმდეს. წარმოიდგინეთ, მიდის ადამიანი დილით, მთელი დღე საყვარელ საქმეს აკეთებს და არა ისეთს რომ ეზარება, მისი ინტელექტისა და შესაძლებლობებისათვის შეუფერებელი რომ არის. მეუღლეს კარგი სამსახური აქვს, შვილი ნორმალურ სკოლაში სწავლობს. დიასახლისი გაღიმებული ხვდება ოჯახის უფროსს. მაგრამ ქვეყანას ერთი კაცი ვერ ააშენებს, მთელი ერის მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებს. მოგვიხდა რთულ პერიოდში ცხოვრება და თვითონაც უნდა ვეცადოთ, რაც შეგვიძლია ის გავაკეთოთ. რუსულ-ქართული ურთიერთობების დათბობა კი ჩვენ, აქ მყოფ ქართველებს ცხოვრებას კიდევ უფრო გაგვიიოლებს და საინტერესოს გახდის. ბატონი ელგუჯა ლატარია პრაქტიკულ საქმიანობას

წარმატებით ათანხმებს მეცნიერულ საქმიანობასთან. იგი არის რამდენიმე სახელმძღვანელოს თანაავტორი: Н.Ю. Коханенко, Э.Л. Латария, Н.В. Ананьев, Г.А. Белый. “Опухоли поджелудочной железы болшого дуоденального соска и внепеченочных желчных протоков”. “Неотложная хирургия органов брюшной полости” - ავტორთა ჯგუფი “ Практикум госпитальной хирургии “ - ავტორთა ჯგუფი

სოფიო გელოვანი

სოფიო გელოვანი

– იცით, რა კარგი გოგოა? ჩამოვიდა პეტერბურგში, ქართული და რუსული რომანსის ამომავალი ვარსკვლავია - მითხრა ქ-ნმა ფატი წერეთელმა. ქალაქის ქუჩებში მრავლად იყო აფიშა, რომელზეც გამოხატული იყო ქართველი გოგონა ნატიფი, თხელი და სათნოებით სავსე სახით. მასთან შეხვედრის დიდი სურვილი მქონდა და მოულოდნელად ამიხდა ეს ოცნება ქალბატონი ფატის წყალობით. ჩვენი შეხვედრაც შედგა და სოფომაც მიამბო თავისი ცხოვრების შესახებ.

– პეტერბურგში ჩემი ჩამოსვლა მეუღლის ნოდარ ლანდიას გადაწყვეტილებას უკავშირდება. ნოდარი გინეკოლოგების ოჯახის შთამომავალია. აქ ასპირანტურაში სწავლობს პეტერბურგის სამედიცინო უნივერსიტეტში. უსაქმოდ ვერ გავჩერდებოდი, არც ნაცნობები მყავდა ჩემს პროფესიულ წინსვლაში რომ დამხმარებოდნენ – ამბობს სოფო. დავამთავრე თბილისის მე-6 გერმანული სკოლა. ბავშვობიდან ბავშვთა ანსამბლ ,,ნერგებში” ვმღეროდი. დიდი პრაქტიკა მივიღე გასვლით კონცერტებში, რომლებიც სხვადასხვა ქალაქებსა და ქვეყნებში ტარდებოდა. 12 წლის ასაკში ინდივიდუალური მომზადება კომპოზიტორ გია ძიძიგურთან დავიწყე. მთელი ცხოვრება მადლობელი ვარ ბატონი გიასი. მან დიდი შრომა გასწია ჩემი მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბებისათვის. ჩემთვის დიდი პატივი იყო კომპოზიტორ ნუნუ გაბუნიასთან მუშაობა. ჩემი

წარმატებები კონკურსებში სწორედ მისი დამსახურებაა. კონკურსები კი შემდეგი მიმდევრობით ჩატარდა:

მოსკოვი - 1999წ.,,Утрунная звезда”

ერევანი - 1999წ. I ადგილი

პეტერბურგი 2001წ. გრან-პრი

Славянский вазар 2006წ. გრან-პრი

მოლდავეთში 2006წ. გრან-პრი

პეტერბურგი საოცარი ქალაქია. თბილი, ინტელექტუალური, მუსიკალური _ უყვართ და თაყვანს სცემენ მუსიკას. ქუჩაში უამრავი ადამიანი დადის მუსიკალური ინსტრუმენტით ხელში. ჩემდა მოულოდნელად მოვხვდი გარემოში, რომელმაც წინსვლის საშუალება მომცა. ინტერნეტში ვნახე საიტი, სადაც ცხადდებოდა კონკურსი ,,Весна Романса“. ეს კონკურსი ყოველთვის პეტერბურგში იმართება. გავიარე კასტინგი და აღნიშნული კონკურსის დამფუძნებელმა და პრეზიდენტმა კოვზნელმა შემომთავაზა პროდიუსერობა. ეს ჩემთვის დიდი პატივი იყო, სიხარული და კარიერის დასაწყისი. ერთად მუშაობა დავიწყეთ. პირველ სოლო კონცერტზე დარბაზი სავსე იყო. პუბლიკამ მიმიღო. ამას მოჰყვა კონცერტები ფინეთში, მოსკოვში – ანდრეი პეტროვის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო. მეორე წელია ამ ქალაქში ვარ. ისეთი სითბო, პატივისცემა ვიგრძენი აქაურებისგან, რომ ყველასთან მიადვილდება ურთიერთობა. ბევრი წარმატება მქონდა. ახლახანს 10 დეკემბერს მონაწილეობა მივიღე რომანსის საერთაშორისო კონკურსში, რომელიც ჩატარდა მოსკოვში სვეტებიან დარბაზში. ადრე ამ კონკურში მონაწილეობდა ნინო არაზაშვილი. ამჯერად ქართველები არ გამოჩნდნენ. ჟიური მეტად მკაცრად აფასებდა გამომსვლელებს. ჩემი გულშემატკივარი მოსკოვი იყო. გავიარე ტურები, მოვხვდი გალა- კონცერტზე. ეს დიდი გამარჯვება იყო არა მარტო ჩემთვის, არამედ იმ ადამიანებისათვის, ვისაც ჩემი ნიჭისა და უნარის სჯერა. ბედნიერებაა, რომ ურთიერთობა მიწევს რუსეთის დამსახურებულ არტისტთან, პირველ კონცერტმეისტერთან მიხეილ აპტეკმანთთან. მასთან ჩემმა პროდიუსერმა მიმიყვანა, ადამიანთან, რომელსაც ახსოვს, როგორ ვიმღერე ცნობილი რუსული რომანსი ,,Только раз”. ძალიან დიდი მოთხოვნაა ქართულ სიმღერაზე, არ მახსოვს კონცერტი ისე დამთავრებულიყოს, არ მემღეროს ,,თბილისო” და ,,სულიკო”. დარბაზი ცრემლმორეული უსმენს ქართულ მუსიკას. კონცერტის წინ უამრავი ქართველი რეკავს და წარმატებას მისურვებს. ეს ბუნებრივია, მაგრამ როცა რუსი მსმენელი აღტაცებულია, ცრემლმორეული გიკრავს ტაშს, ყველანაირი დაძაბულობა ქრება. კონცერტის შემდეგ მოდიან, ტირიან და იხსენებენ იმ დროს, როცა ნორმალური ურთიერთობა გვქონდა. ისინი შორს არიან პოლიტიკიდან. თვლიან, რომ მეგობრობა და სიყვარული ისევ ხელოვნებით, სიმღერით და ცეკვით უნდა დაბრუნდეს. 29 თებერვალს იგეგმება სოლო კონცერტი – ჩემი საღამო მიხეილ აპტეკმანთან ერთად. ,,Для тебя я спою Тбилисо”. ,,ვღელავ, მინდა რომ ეს გამოსვლა მივუძღვნა ჩემს საქართველოს, ერებს შორის სიყვარულს, პატივისცემასა და თანაგრძნობას. მალე გამოვა ჩემი ალბომი ახალი სათაურით ,,რუსული რომანსები”. ერთი ჩემი გამოსვლის შესახებაც მინდა გითხრათ. პეტერბურგის სამედიცინო საზოგადოება მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის

პროფესორ ალექსი ბაინდურაშვილის დაბადებიდან 60 წლისთავს 2007 წლის 26 აგვისტოს ზეიმობდა. უამრავი უცხოელი სტუმარი იყო შეკრებილი. საღამოს დიასახლისმა ქალბატონმა ფატი წერეთელმა სიამაყით წარმადგინა საზოგადოების წინაშე. აღმოჩნდა, რომ მისი ბებია გელოვანის ქალი ყოფილა. მას შემდეგ ვმეგობრობთ, წერეთლების ოჯახი ჩემი დიდი გულშემატკივარია და ეს ჩემთვის დიდი პატივია.

ოთარ ხურცილავა

ოთარ ხურცილავა

,,ყოვლისშემძლე, კაცი, რომელიც აჯადოებს ნიჭით, უნარითა და შრომისმოყვარეობით იმ საზოგადოებას, სადაც ფეხს შედგამს. ადამიანი, რომელიც მზად არის დახმარების ხელი გაუწოდოს მას, ვისაც ეს სჭირდება, ,,მის გვერდით მუშაობა სასიამოვნოა და სასარგებლო; თავის გარშემო ყველაფერს ამოძრავებს". – ასე ახასიათებენ მას პეტერბურგის წრეებში. სანკტ-პეტერბურგის დიპლომისშემდგომი განათლების სამედიცინო აკადემია მსოფლიოში პირველი ინსტიტუტია ამ პროფილით. დაარსდა 1885 წელს, როგორც საიმპერატორო კლინიკური ინსტიტუტი, დიდი კნეინას – ელენა პავლოვის ასულის მეცადინეობით. მიზანი – ექიმთა დახელოვნება. ინსტიტუტის პირველი დირექტორი იყო გამოჩენილი თერაპევტი პროფესორი ე. ე. ეიხვალდი. 1924 წლიდან ექიმთა დახელოვნების ლენინგრადის სახელმწიფო ინსტიტუტად იწოდებოდა. 1993 წელს 16 იანვრიდან სანკტ – პეტერბურგის დიპლომისშემდგომი განათლების სამეცნიერო აკადემიად. 2007 წელს

სექტემბრიდან ოთარ გივის ძე ხურცილავა ინსტიტუტის რექტორად დაინიშნა. ,,უბრალო ქართველი ბიჭი" – როგორც ბატონი ოთარი თავის თავს უწოდებს. დაიბადა თბილისში 1950 წელს დიდუბეში, ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩაზე. მამა ინჟინერია, დედა – დიასახლისი. მამა 1954 წლიდან ტყიბულში მუშაობდა. ოჯახიც იქ ჰყავდა, დაამთავრა თბილისის 116-ე რუსული საშუალო სკოლა, შემდეგ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში აბარებდა, ბედმა ასე ინება და თბილისში ხელმოცარული ლენინგრადის სამედიცინო ინსტიტუტში მოხვდა. ექიმობა ყოველთვის უნდოდა, თავდადებული მეცადინეობდა, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ გეგმავდა თბილისში დაბრუნებას, მაგრამ პეტერბურგმა მიიზიდა. თანაც წინ დიდი გზა ედო – ინტერნატურა, რომელიც ომის ვეტერანთა ჰოსპიტალში გაიარალ; ამის შემდეგ სასწრაფო დახმარების ექიმია ლენინგრადში. 1979 – 1980 წწ. 6 თვე სამედიცინო აკადემიაში ქირურგად მუშაობდა. ამის შემდეგ სწავლა ონკოლოგიის ინსტიტუტში კლინიკურ ორდინატურაში გააგრძელა, რამდენიმე წლის შემდეგ და კიროვის ქარხნის საავადმყოფოს ენდოსკოპ-ქირურგად დაუბრუნდა.

1995 წ. იგი მიიწვიეს МАПО-ში პრორექტორად კლინიკურ დარგში.

1998 წ. დაიცვა დისერტაცია, ერთი წლის შემდეგ 14 ოქტომბერს დაინიშნა პოკროვსკის საავადმყოფოში მთავარ ექიმად, სადაც 8 წელი იმუშავა. პოკროვსკის საავადმყოფომ სწრაფად იცვალა ფერი. 1986 წელს დაწყებული მშენებლობა უსასრულოდ გრძელდებოდა. რეკორდულ დროში ბატონმა ოთარმა 2006 წელს დაასრულა საავადმყოფოს მშენებლობა 17000 კვმ. 240 საწოლით. გადის ერთი წელი და მოულოდნელი წინადადება – რუსეთის ფედერაციის ჯანდაცვის სფეროში ერთ-ერთი უმსხვილესი სასწავლებლის რექტორობა შესთავაზეს. მაშინვე დათანხმდა.

– ახალი ხელმძღვანელის მოსვლა პოსტზე კოლექტივის აფორიაქებას იწვევს, თქვენ როგორ გაართვით თავი ამ საქმეს?

– აქ სამუშაოდ დიდი ხნით მოვედი და ყველა თანამშრომელს საქმის კეთილსინდისიერად, ხარისხიანად შესრულებისკენ მოვუწოდე.

– ბატონო ოთარ, გვიამბეთ თქვენი ოჯახის შესახებ.

– ყველაფერს, რასაც ცხოვრებაში მივაღწიე დედას უნდა ვუმადლოდე. იგი აღარა მყავს. წელს გარდაიცვალა. მამა ჩემთან ცხოვრობს, 81 წლისაა. ოჯახში დედას ვაღმერთებდით ყველა. 9 მარტი მისი დაბადების დღე დიდი საოჯახო დღესასწაული იყო ყოველთვის. უსაზღვროდ უხაროდა, როცა სამედიცინო ინსტიტუტში ჩავაბარე. თავის დროზე განათლება ვერ მიიღო, ომმა შეუშალა ხელი. ითვლებოდა, რომ თბილისს ომი არ შეხებია, მაგრამ ეს ასე არ არის: კურსკის რკალთან ბრძოლის დროს დაიღუპა ბიძაჩემი, მეორე - მძიმედ დაიჭრა. 15 წლის მამა იარაღის ქარხანაში მუშაობდა. 1995 წელს დავიყოლიე და მშობლები პეტერბურგში გადმოვიყვანე საცხოვრებლად. ჩემმა ვაჟიშვილმა – გიორგიმ სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა, მაგრამ ექიმობაზე უარი თქვა. პროფესიონალი ფოტოგრაფია, ჩემი მეგობარი და დასაყრდენი ცხოვრებაში. გიორგი რუსულ წრეებში ცნობილია, მისი ფოტოები შეიძლება ნახოთ ,,გლამურში", ,,ფლეი ბოი-ში", ,,კოსმოპოლიტენში", ,,ვოგ-ში". პრემიებიც აქვს მიღებული ფოტოებისათვის ინტერიერში. ეს არის არაეროტიკული ფოტოები.

– გაქვთ ცხოვრებისეული პრინციპები, რის მიხედვითაც ცხოვრობთ?
– მაქვს დევიზი: ,,არ დაიჯერო, არ შეგეშინდეს, არ ითხოვო“. თუმცა ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე სხვაგვარი დევიზი მქონდა – მთავარი კი ის არის, რომ დასახულ მიზანს ყოველთვის ვაღწევდი, მაგრამ არა ნებისმიერი გზით.
– მიაღწიეთ იმას რაც გინდოდათ?
– არა, რას ამბობთ, ბავშვობაში ოცნება მქონდა. მინდოდა დიდი საბარგო მანქანები მეტარებინა. პატარა ვიყავი, როცა ვნახე ფილმი ,,Адские водители”. ეს ახლა სასაცილოა, მაგრამ იმ მძღოლების საქმიანობაში იყო ვაჟკაცური შემართება, ისინი იყვნენ პროფესიონალები და ძლიერები. ალბათ ეს მამაკაცური თვისებები მიზიდავდა მათში. აკადემიას დღეს მსოფლიო იმიჯი აქვს. ძალიან ნიჭიერი და კარგი ექიმები მოდიან. დღეს მთავარია ახალი კლინიკის აშენება. ყველაზე თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური და სწორი მენეჯმენტით. თუკი ამას გავაკეთებ, შეიძლება პენსიაზე გასვლაც.
– პატივმოყვარე ხართ?
– კარიერისტობას გულისხმობთ? არა. ყველაფერი სხვადასხვანაირად ხდება ცხოვრებაში. ვიღაც ამჩნევს შენს ნიჭს, უნარს, ბედისწერა სადღაც მიგაქანებს. თუ შენ ბედმა გარგუნა, რომ უნდა დაგხვრიტონ, არასოდეს ჩამოგახჩობენ. ბედმა ბევრჯერ გამიღიმა.
– როგორ აიძულებთ ადამიანებს პატივი გცენ?
– ადამიანებს პატავისცემას არ ვაიძულებ. აფასებენ საქმეს, რომელსაც აკეთებ და ემსახურები. თუ გაქვს საკუთარი პოზიცია, პირველ რიგში, უნდა იყო კარგი ადამიანი, უნდა გამოავლინო კარგი ადამიანური თვისებები. მეორე – უნდა იყო პროფესიონალი. ხაზს ვუსვამ – ჯერ ადამიანი, მერე პროფესიონალი. ასე ვაფასებ ადამიანს. ამერიკელები პირიქით ფიქრობენ: ჯერ პროფესიონალი, შემდეგ ადამიანი. იაპონელები ადამიანს იმის მიხედვით ირჩევენ, თუ როგორ შეუძლია ადაპტირება, კომუნიკაბელურობა, კოლექტივში ცხოვრება და მუშაობა, შემდეგ ქმნიან მისგან პროფესიონალს. ამერიკელები ამბობენ – ეს ბიზნესია და ადამიანური თვისებები მათთვის უკანა პლანზეა.
– როგორ გადაირჩინოს პრესტიჟი ადამიანმა?
– არ მოიტყუოს. თვალებში შემოგხედოს და არ მოგატყუოს. უნდა შეგეძლოს ყველას, ვისთანაც საქმე გაქვს, თვალებში ჩახედო და მზერა სხვაგან არ გადაიტანო. თვალები სულის სარკეა.
– გაუგო... ნიშნავს - შეუნდო?
– არა, მე ასე არ ვფიქრობ. ქრისტიანული რელიგია ამბობს, რომ ყველა ადამიანს უნდა აპატიო. ღვთისმსახური რომ ვიყო, ასეც მოვიქცეოდი. რახან არ ვარ, ამიტომ არის რაღაცეები, რასაც ვერ ვაპატიებ. მოღალატეს, მატყუარას ვერ ვაპატიებ. მე შემიძლია გავწყვიტო ადამიანთან კავშირი. უბრალოდ, ის ჩემთვის აღარ არსებობს. ჩემი ცხოვრების მანძილზე ასე ვიქცეოდი: თავიდან ვპატიობდი, მიმნდობი ხასიათის გამოვლინებაა ეს, ხაზს ვუსვამ, თავიდან ვპატიობდი, შემდეგ ვაკვირდებოდი. თუკი შეცდომას გაიმეორებდა, ვწყვეტდი მასთან ურთიერთობას.
– ,,ნუ გეშინიათ მტრების, რომლებიც თავს გესხმიან, გეშინოდეთ მლიქვნელი მეგობრების”. – თქვენ როგორ ფიქრობთ?

– ბალანსი უნდა დაიჭირო მეგობრებსა და მტრებს შორის. მეტად სათუთი საკითხია. არის მომენტი, როდესაც ჯობს გყავდეს ღია მტრები, ვიდრე მეგობრები, რომლებიც გელაქუცებიან. უნდა იპოვო შინაგანი ძალა და ყველას, ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინო. უნდა ისწავლო გარჩევა თეთრისა და შავის, ეს თავისთავად ხდება ადამიანებთან ურთიერთობების გამოცდილების საფუძველზე.

– თქვენი მეგობრები, ვინ არიან ისინი?

– მყავს სხვადასხვა ნაციონალობისა და სტატუსის მეგობრები.

– მძღოლი მეგობარი თუ გყავთ?

– მყავს (სერიოზულად), უბრალო ხალხთან სიამოვნებით ვურთიერთობ. სუფრასთანაც ვზივარ, ვმხიარულობ.

– საკუთარ თავს თუ აკრიტიკებთ?

– სრულიად თავისუფალი ადამიანი ვარ. საკუთარ თავს თვითკრიტიკულად ვუდგები, შემიძლია ჩემი შეცდომები თქვენს წინაშეც ვაღიარო, თუ იქნება ასეთი.

– თქვენი იდეალი?

– ეს არ არის ერთი ადამიანი. ეს არის კომპლექსი. ადამიანი განუწყვეტლივ უნდა მიისწრაფოდეს კარგისკენ. ფანტაზიორობაც საჭიროა. დაისახავ მიზანს და მიდიხარ მისკენ, მხოლოდ არა ნებისმიერი გზით.

– თქვენი აზრით, როგორია ქართველების იმიჯი პეტერბურგში?

– ქართველები შემოქმედი, შინაგანად თავისუფალი ხალხია, ჩემი დაკვირვებით, მათ ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში გამოარჩევდნენ სხვებისგან. ამ თვისებების გამო იქცევდნენ ისინი ყურადგებას ნებისმიერ კომპანიაში. ხშირად ეს ზედმეტ თავდაჯერებულობაში გადადიოდა. ის, რომ ქართველი ბუნებით შემოქმედია, ეს გამოიხატა იმაშიც, რომ მათ განსაკუთრებული წარმატება აქვთ მედიცინაში, რომელიც ამ ბოლოს ზუსტი მეცნიერება ხდება. იმპროვიზაციის უნარი კი განსაკუთრებით ქირურგიაშია აუცილებელი. ხელოსან ქირურგს რეზულტატი არა აქვს. შემოქმედებითი პროცესის გარეშე ქირურგი წარმოუდგენელია. ბევრი რამეა აღმოსაჩენი. ქართველები კი მიისწრაფიან იქითკენ, რომ დაძლიონ სიმაღლეები. რა თქმა უნდა პეტერბურგელი ქართველები სხვადასხვანაირად ცხოვრობენ. ეს მენტალური ქალაქია. მე ფესვებით ქართველი, ქერა არასოდეს გავხდები, მაგრამ მენტალურად პეტერბურგელი ვარ, თავი რომ დაიმკვიდრო, მთავარია მენტალობა, მეორე – იყო კარგი ადამიანი, მესამე – იყო პროფესიონალი. თუ ქალაქმა მენტალურად ვერ მიგიღო, როგორიც პროფესიონალიც უნდა იყო, მაინც არაფერი გამოგივა. თუ მიგიღო, არც წვიმა, არც მოქუფრული ცა არ შეგაშინებს.

– XXI საუკუნის მედიცინა, როგორია იგი?

– ამ საუკუნეში იქნება აფეთქება არა მარტო მედიცინაში, არამედ ბიოლოგიაშიც. ყველაფერი უჯრედული ტექნოლოგიებიდან მოდის. ამაზე ბევრი იწერება. უამრავი მაგალითია მანუპულარულ მედიცინაში. ფანტასტიკური შედეგები გვქონდა პოკროვსკის საავადმყოფოში, ქირურგიის დარგში. მალე გვექნება შედეგები ენდოკრინოლოგიაში. კერძოდ, შაქრიანი დიაბეტის მკურნალობაში. 2020 წ. ონკოლოგია – ასეთი ცნება და მასთან დაკავშირებული ტრაგედიები აღარ იქნება. ჩვენ დავამარცხებთ კიბოს. ამისათვის არა ერთი ექიმის მონდომება,

არამედ მსოფლიო სამედიცინო სფეროს ძალისხმევა იქნება საჭირო. რუსეთი 1991 წ. შევიდა მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში. სამედიცინო პერსპექტივები თვალწინ გადაიშალა, გაჩნდა თავისუფალი გადაადგილების, ინფორმაციის მოპოვების თავისუფლება. შესაძლებლობა მოგვეცა ვიმეგობროთ იაპონელებთან, გერმანელებთან, ამერიკელებთან. შავ ჭირზე საშინელი სენი კაცობრიობისთვის არ არსებობდა, მან მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ის გაჩნდა კაცობრიობაში და გაქრა. შემდეგ გამოჩნდა სხვა მიკრობი – ყვავილი. მანაც უამრავი უბედურობა მოიტანა. ისიც დაამარცხა მედიცინამ. დღეს მსოფლიო მედიკოსები თამამად აცხადებენ, რომ შიდსსაც მოსპობენ.

– გენატრებათ საქართველო?

– ბუნებით სენტიმენტალური ვარ. სიზმრად ხშირად ვხედავ ჩემს ბავშვობას. ყოველდღე ვიხსენებ საქართველოს, ტყიბულს, სადაც გავატარე პატარაობის წლები. ჩვენი საგვარეულო სოფელია გუმბათი, მესხეთიდან ყველანი აიყარნენ და რატომღაც ქუთაისის ახლოს დასახლდნენ. ბებია ავალიანის ქალი იყო ქუთაისიდან. მახსოვს, ერთხელ რიონში კინაღამ დავიხრჩვე. საქართველო ჩემში ისეთი რჩება, როგორიც ბავშვობის მოგონებებშია. ქუთაისი, ტყიბული, თბილისი, გუმბათი, ბათუმი, სოხუმი, გაგრა, ბაკურიანი, სადაც ვიყავი დიდი სიყვარულით ვიხსენებ ყველა ადგილს. ხშირად ვარ გერმანიაში. ზამთრობით ქუჩაში შემწვარი წაბლი იყიდება, მზეზე დამჭკნარი წაბლი. ყოველთვის მივდივარ მის საჭმელად, საქართველოს მაგონებს. ბოლოს 7 წლის წინ ვიყავი. ბედმა ასე ინება და პეტერბურგში ვცხოვრობ. დედა აქ დავკრძალე, მამას ვუვლი, მინდა დიდხანს იცოცხლოს. საქართველო სულ მენატრება, იგი ჩემშია...

ნუგზარ ჩხეიძე

ნუგზარ ჩხეიძე

პეტერბურგელების ჩოხოსანი ქართველი, მჭერმეტყველი თამადა, თანამეინახეთა სული და გული, ქართული სიმღერის უბადლო შემსრულებელი, ამას დავუმატოთ ექიმის – მეან –გინეკოლოგის სპეციალობა. დინჯი, დარბაისული ქართულით მოსაუბრე გამოდგა ბატონი ნუგზარი. როცა ეს აღვნიშნე, გაიხსენა - საქართველოში ერთხელ მითხრეს: როგორი ქართულით ლაპარაკობ, ნუგზარ, ჩვენ ასე აღარ ვლაპარაკობთო. სახტად დავრჩიო, ამბობს, მე კი გულის ტკენა ვიგრძენი. გამახსენდა სლენგებით გამდიდრებული ჩვენი ქართული. ეს პრობლემა სხვა ერებისთვისაც აქტუალურია, მაგრამ ჩვენ ჩვენი სატკივარი გვაქვს. ჩემს რესპოდენტს სულ საქართველოზე უნდოდა საუბარი.

– ბაღდადის რაიონის სოფელი ობჩაა ჩემი მშობლიური კუთხე. ბაბუაჩემი იასონ დავითის ძე ჩხეიძე საშუალო აზნაური იყო, ჭკვიანი, მშრომელი, დიდი მეურნე. ოთხი ქალიშვილი ჰყავდა, ორი ბაბუდა მეც მახსოვს. ერთი და ეკატერინე გურიაში იყო გათხოვილი, მეორე – ჯანო კახიძის ბიცოლა. სანამ ბოლშევიკები შემოვიდნენ ბაბუას ჭკუა უხმარია, თუ საჭიროებამაც მოიტანა, მიწები გაუყიდია - დებს მზითევი სჭირდებოდათ. მამაჩემი მეღვინე კაცი იყო. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ გაგრაში გაანაწილეს. მუშაობდა იქ მთავარ ინჟინრად ღვინის ქარხანაში. დედა ადრე ხშირად იხსენებდა იქ გატარებულ წლებს, ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ გულიც სწყდებოდა რაღაცის გამო, დღეს გაგრიდან წამოსულები ლტოლვილებად იწოდებიან, მაგრამ მაშინ ვინ წარმოიდგენდა ამას. როცა წამოვიზარდე ვკითხე მამას, რატომ წამოხვედი გაგრიდან, სამოთხისადარი კუთხიდანთქო. მამა სიტყვამოზომილი კაცია, დინჯი, გულისტკივილით მითხრა: 1953 წელს ქართველებისათვის მოულოდნელი პროცესები დაიწყო ე.წ აფხაზიზაცია. თანამდებობებზე უშვებდნენ გაუნათლებელ აფხაზს, სრულ იგნორირებას უკეთებდნენ ნიჭიერ, უნარიან ქართველს. ვამჯობინე გამოვცლოდი იქაურობას და ჩემს მშობლიურ კუთხეში დავბრუნებულიყავი. აქ თავისუფლად ვსუნთქავ, აქ ყველა მიცნობს, ამიტომ ადვილია ცხოვრება. ობჩაში პაპისეულის სახლის ასაშენებლად ორმოცი ურემი წაბლის მასალა მოუტანიათ. დილით იღვიძებ აივანზე, სუფთა ჰაერი, ჩიტების გალობა, უყურებ ასაკოვან ხეებს ეზოში, ფოთლები შრიალებენ, გეჩურჩულებიან, ძველ ამბებს გიამბობენ თითქოს. ხანდახან ეზოში ფეხშიშველი დავდივარ, დილის ცვარზე. აქ სიზმარში ამ სურათს ვხედავ ხანდახან, ვიღვიძებ ოფლში ვცურავ. იმდენად ცხადია ეს სურათი, ვერანაირად ვერ წარმომიდგენია, რომ სიზმარია. მე მაინც მგონია ადამიანი თავისი ფესვებით არის მდიდარი, საიდან მოდიხარ, რა გიდევს გენში. თბილისში შირშოვის ქუჩაზე ვიზრდებოდი. დღესაც ჩავდივარ იქ. თბილისური, საერთო ეზო იყო. ყველამ ყველასი ყველაფერი იცოდა, თითქოს ერთ ოჯახად ვცხოვრობდით, ჭირსა და ლხინს ვიყოფდით, საერთო საცხოვრებელივით იყო ჩვენი სახლი. სწორედ აქ ჩავინერგეთ ადამიანისთვის საჭირო თვისება – კომუნიკაბელურობა. მეტად კაცთმოყვარე თაობა იზრდებოდა მაშინ. ჩხუბიც ვიცოდით, კამათიც, მაგრამ ერთმანეთს არ გავიმეტებდით. სპექტაკლებსაც ვდგამდით ეზოში, ისხდნენ მშობლები, გვიყურებდნენ სერიოზული სახით და მქუხარე ტაშსაც გვიკრავდნენ. მენატრება ის დრო, კარის აბრაზე გვარის დაწერის რომ არ ეშინოდა კაცს. დავამთავრე თბილისის მე -7 საშუალო სკოლა ლოტკინის გორაზე. ჩემი

მომავალი პროფესიის შესახებ საუბრებს რომ ვიხსენებ ნ. დუმბაძის ზურიკელა წარმომიდგება თვალწინ. ფილმში ასეთი ფრაზა ისმის სესილია თაყაიშვილისგან: ,,ჩემი შვილიშვილი დოხტური უნდა გამოვიდეს, მოვხუცდი ახლა და მოვლა მჭირდება.” მართლაც, მირჩიეს მშობლებმა ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. 16 – 17 წლის ასაკში ხშირად ახალგაზრდა ვერ აფასებს თავის შესაძლებლობებს, ან გადაჭარბებულად აფასებს. ექიმობას ანატომიის, ფიზიოლოგიის და სხვა მეცნიერებების კარგად შესწავლა არ შველის. მომავალ ექიმს უნდა ჰქონდეს ისეთი თვისებები, რომლებიც მას ჩამოაყალიბებს კარგ სპეციალისტად. ექიმს ადამიანის სიცოცხლე აბარია, სიცოცხლე – ღვთისგან ბოძებული, ყველაზე ძვირფასი. მშობლებმა კი შვილის შესაძლებლობებზე, თვისებებზე კარგად იციან. 70-იან წლების საქართველოს უმაღლესი განათლების სენი შეყროდა, განსაკუთრებით სამედიცინო ინსტიტუტი იყო ასე ვთქვათ, მოდაში თანაც, ცნობილი მოვლენებისა და პიროვნების გამო იქ მოხვედრა ძალზე ძნელი იყო. ბედი პეტერბურგის I სამედიცინო ინსტიტუტში ვცადე, მაგარამ ვერ ჩავირიცხე. დავბრუნდი საქართველოში . ვმუშაობდი სამშენებლო ბრიგადაში მეპარკეტედ. თან ვმეცადინეობდი. 1972წ. ოჯახი სიხარულით ცას ეწია,მშობლების სიხარულს და ჩემსაც რასაკვირველია,საზღვარი არ ჰქონდა. დაიწყო მძიმე და ხანგრძლივი პროცესი ჩემი ექიმად ჩამოყალიბებისა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1979წ. გამანაწილეს მე-11 სამშობიაროში ნევსკის რაიონში სადაც ვმუშაობდი 1979-1983წწ. შემდეგ I სამედიცინო ინსტიტუტში მეან-გინეკოლოგად. მასთან ერთად ასპირანტურა პედიატრიის ინსტიტუტში. 1985 წლიდან პეტერბურგის ერთ- ერთ დიდ 26-ე საავადმყოფოში პრაქტიკულ მედიცინას მივყავი ხელი. დღემდე აქ ვმუშაობ, მხოლოდ მარტო გინეკოლოგიაში. მყავს მეუღლე – ექიმი ინფექციონისტი, კათედრის გამგე. მედიცინის მეცნიერებათა დოკტორი. ქალიშვილი – ეკა ჩხეიძე, სტომატოლოგი 28 წლის სიძე ხარატიშვილი ვლადიმერ – ქართველი, ხარაგაულიდან. სპეციალობით – პროგრამისტი.

– ბატონო ნუგზარ, ახალი სიცოცხლის დაბადება რა განცდაა?

– უდიდესი პასუხისმგებლობა. ექიმის მცირედი უყურადღებობა, გულგრილობა.ორი ადამიანის სიცოცხლე გაბარია. ბუნებით მაქსიმალისტი ვარ, მოდუნების საშუალება არ უნდა მივცე თავს, მუდამ ფხიზელი გონებით იყო – ეს არის ჩემი მოწოდება საკუთარი თავისადმი და სხვებსაც ამას ვურჩევ.

– თქვენი საყვარელი პოეტი, მწერალი?

– მურმან ლებანიძის პოეზია მიყვარს. მასში არის შერწყმული რომანტიკული, ვაჟკაცური ხასიათი, საოცარი სიყვარული და პატივისცემა წინაპრების, მშობლების, სევდა წარმავალისა. მწერალთაგან ნოდარ დუმბაძე სიკეთე, სიკეთე და მხოლოდ სიკეთე. აი, რით იყო გაჯერებული მისი სახე, მისი სითბოთი სავსე თვალები, ცხოვრება და შემოქმედება. თუ გვინდა ჩვენს შვილებს ქართული ხასიათი ჩამოვუყალიბოთ, უნდა წავაკითხოთ ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებები, ისწავლონ ადამიანებთან ურთიერთობა, თანადგომა, დაღვარონ ცრემლი სევდისა და სიხარულის.

– დონ-კიხოტებზე რას ფიქრობთ?

– მათი ყოფნაც საჭიროა მიწაზე. რომანტიკულ-მეოცნებე ბუნებით ისინი სხვებს ცხოვრებას ულამაზებენ. მართალია, პრაგმატულ, პრაქტიკოს ადამიანებში გაღიზიანებას იწვევენ, მაგრამ უნდა იყვნენ აუცილებლად.
– საყვარელი დღესასწაული?
– აღდგომა. ოცნებით ობჩაში გადავდივარ. ვხედავ როგორ ზეიმობს მთელი სოფელი, როგორ მიდიან წინაპართა საფლავებზე, მიცვალებულთა სულის მოხსენიებით თითქოს ვალს იხდიან კიდეც მათ წინაშე. მერე იკრიბებიან ერთად, უფლის საგალობელს მღერიან, ეს ისეთი დღეა ცოდვებიც უნდა მიუტევო და მტერსაც დაუზავდე.
– მოგზაურობა თუ გიყვართ?
– მიყვარს იმ ქვეყანაში, სადაც ვიცი რა უნდა ვნახო. ბევრი დრო არ მაქვს. ამიტომ მიზანმიმართულად მივდივარ, სადაც მივდივარ. საქართველოში ჩამოსულ სტუმარს აუცილებლად ვაჩვენებდი ბოდბეს, სვეტიცხოველს, აჭარის მთებიდან გადმოვახედებდი და კიდევ უამრავ ქართველთათვის წმინდა ადგილებს. ყველას გახსენება სევდას მგვრის, ამოტომ შევჩერდები..
– საკუთარ თავს რჩევებს თუ აძლევთ?
– როგორ არა. ვცდილობ ჯანმრთელი წესით ვიცხოვრო, ექვს საათის შემდეგ არ ვჭამ.
– ამბობენ კარგი თამადააო...
– კი ამბობენ. ალბათ ეს ლიდერის თვისებაა, სადაც ვარ ყველგან წესრიგს ვამყარებ, სუფრაზეც ვცდილობ ჩემებურად წავიყვანო საღამო. როგორც ჩანს კარგად გამომდის , რადგან თუ ვარ სუფრაზე, ე.ი თამადა ვარ. მიყვარს ყოვლადწმინდის სადღეგრძელო, ამის გარეშე სუფრას არ ვამთავრებ.
– გენატრებათ საქართველო?
– რუსეთის მოსახლეობა რამდენიმე სეგმენტად არის დაყოფილი. მათ სხვადასხვანაირი განცდები, მიზნები ამოძრავებთ. არის სექტორი რომელმაც არ იცის და კითხულობს ვინ ხართ თქვენ ქართველები? ვინ ვართ და ის ხალხი ვართ ვინც ნოსტალგიისგან არ იკურნება. გახსოვთ მ.ბარათაშვილის ლექსი: ,,ქრება სიცოცხლე შორეულ მზის ქვეშ ზემოიმერელ წერეთლის ქალის, ო, შემახედეთ ქართული ცისთვის, შემომასხურეთ ყვირილას წყალი.” როცა დგახარ ჩრდილოეთ რუსეთის, ევროპის ერთერთ უდიდეს ქალაქში, რომელსაც უზარმაზარი არისტოკრატიულ-კულტურული ისტორია აქვს და ამავე დროს დიდი პოტენციალი და შენი თანამემამულის, ირმა ნიორაძის ბენეფისია, წარმოუდგენელია ეს განცდა ხელების გადატყავებამდე უკრავ ტაშს, ცრემლი თავისთავად მოდის, გული მკერდში აღარ ეტევა და გინდა იყვირო მთელი დარბაზის გასაგონად: მეც ქართველი ვარ. ამ დროს გინდა მთელი საქართველო შენთან ერთად იზიარებდეს სიხარულს, სიამაყეს, აღტაცებას. ყველა წარმატებული ვერ იქნება, რა თქმა უნდა. ქალაქში უამრავი ქართველია გაჭირვების ჟამს აქ შემოხიზნული, ლტოლვილი, ლუკმაპურისთვის ჩამოსული. მათ ხშირად სჭირდებათ დახმარება იურიდიული თუ ყოფითი პრობლემების მოსაგვარებლად. ერთ კარგ და წესიერ ახალგაზრდას ვიცნობ – მიშიკო კოშკაძე, მუსიკოსი, მომღერალი – რამიშვილის მოწაფეა. დაძაბულობის დროს ინციდენტში მოყვა მეუღლესთან ერთად. ახლა ვიზას ვადა გასდის, იძულებული

იქნება დაბრუნდეს საქართველოში. აქ შემოსავალი აქვს, ოჯახს ამით არჩენს. ასეთი ბევრი შემთხვევა იყო და იქნება მანამ, სანამ ურთიერთობები არ დარეგულირდება. ეს იყო ბედისწერა..... პეტერბურგში ჩემი ნებით არ ჩამოვსულვარ. ყველაფერი ჩემდაუნებურად მოხდა. მე ვარ ქართველი უცხო მიწაზე, ამბიციებით, ნიჭით, უნარით, ადამიანური თვისებებით უნდა დავამტკიცო რომ დიდი ერის შვილი ვარ...

გიორგი ბაღათურია



გიორგი ბაღათურია

დაიბადა სოხუმში 1975 წელს. დაამთავრა პეტერბურგის პირველი სამედიცინო ინსტიტუტი შემდეგ ასპირანტურა, არის პრაქტიკოსი ქირურგი, პეტერებურგის პედიატრიული სამედიცინო აკადემიის ონკოლოგიის კათედრის დოცენტი. ჰყავს მეუღლე – ეკა ჭაავა დერმატოლოგ-კოსმეტოლოგი, შვილები – ნია ბაღათურია იურისტი, ოთარი – სტომატოლოგი,

– ბატონო გიორგი, ალბათ ძალიან გენატრებათ სოხუმი?

– ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ პეტერბურგში დავრჩი და ცხოვრება აქ ავიწყვე. ომის საშინელება ჩემმა მშობლებმა ძალიან მწარედ გამოსცადეს. მათ საკენ-ჭუბერის გზა გადმოიარეს და თბილისში ჩავიდნენ.

– რას აფასებთ ყველაზე მეტად ადამიანში?

– წესრიგიანობას, პატიოსნებას. შეიძლება ეს ბევრს ბანალურად მოეჩვენოს, მაგრამ წარმატებას მხოლოდ ამ თვისებებით მიაღწევ.

– ერთი ცნობილი ექიმი ამბობდა,რომ ათი წლის თავზე იგრძნო, რომ ჭეშმარიტი ექიმია.

– ჩემი აზრით, ამბიციური გამონათქვამია. შეუძლებელია ათ წელიწადში იგრძნო სრულყოფილება. მედიცინა ისეთი სფეროა მას გამოცდილების დაგროვება სჭირდება აუცილებლად. ავადმყოფის ფსიქიკა დროსთან ერთად იცვლება, იცვლება მიდგომა, ბოლოსდაბოლოს ტექნიკა. ერთია ხელობა და მეორეა ექიმის

ხელოვნება. პაციენტი უნდა მოგენდოს, სჯეროდეს შენი ადამიანობის, პროფესიონალიზმის. იგი გიყურებს თვალებში და უხმოდ ელის შენგან პასუხს. არის ისეთი ადამიანიც, რომელსაც უნდა,რომ ავად იყოს. ამას ზოგჯერ სიმულაციის ეძახიან, ზოგჯერ ისტერიულ ნერვოზს. ხშირად ავადდება პენსიაში გასული ადამიანი, იგი კარგავს თავის თვას გრძნობს,რომ უსარგებლო გახდა, მისი ცხოვრების ჩვეული რიტმი დაირღვა, ადამიანი მოდუნებულია. ამ დროს თავს იჩენს ყველაზე სუსტი მხარეები, იმუნიტეტიც ქვეითდება. ბევრ დაავადებას ფსიქოლოგიური ფონი უწყობს ხელს, იგი ან დადებითია ან უარყოფითი. ექიმი დროის მეტ ნაწილს ავადმყოფებთან ატარებს და მას უჩნდება შინაგანი ფილოფიური დამოკიდებულება ადამიანებთან. ეს ყველაფერი კი თანაგრძნობით კეთდება. მომავლის მედიცინა აქცენტს გენეტიკაზე და იმუნიტეტზე აკეთებს. განვითარებული ქვეყნები თვითონაც დაინტერესებულნი არიან მედიცინაში პროგრესით. იქიდან მოდის ტექნოლოგია ჩვენ კი გვაქვს ადამიანური მიდგომა პაციენტთან.

ოთარ ნიჟარაძე

ოთარ ნიჟარაძე

დაიბადა 1959წ 31 ივლისს ქობულეთში. დაამთავრა პეტერბურგის რკინიგზის ტრანსპორტის უნივერსიტეტი. 1996წ მოსკოვის საოლქო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სპეციალობით სახელმწიფო მართვა. მუშაობდა მშენებლობაზე ოსტატად, სამუშაოთა მწარმოებლად. რკინიგზის ტრანსპორტის მუზეუმში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად, შემდეგ დირექტორის მოადგილედ 1990 წლიდან დღემდე პეტერბურგის ბოტკინის სახ.№30 ინფექციური საავადმყოფოს დირექტორია. დაჯილდოებულია ორი მედლით. საიუბილეო მედალი ,,პეტერბურგის 300 წლისთავთან დაკავშირებით," რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის სახელით, მედლით ,,მედიცინის დამსახურებული მოღვაწე".

მიღებული აქვს საპატიო სიგელი რუსეთის ფედერაციის ჯანდაცვის მინისტრის ზურაბოვისაგან ,,ხანგრძლივი, კეთილსინდისიერი შრომისათვის," ასევე მადლობები გუბერნატორ მატვიენკოსგან. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. სოფიო ნიჟარაძე – დაამთავრა პეტერბურგის სახემწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი. ლაშა ნიჟარაძე – პოლიტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების IV კურსისი სტუდენტია.

– ბატონო ოთარ, გვიამბეთ თქვენი საქმიანობის შესახებ.

– პეტერბურგის ბოტკინის სახელობის ინფექციური საავადმყოფო 125 წლისაა. იგი დღემდე რუსეთის უმსხვილესი ინფექციური სტაციონარია, რომელიც 1882წ გაიხსნა როგორც ბარაკული ტიპის საავადმყოფო გადამდები ავადმყოფებისთვის. დღეს იგი წარმოადგენს ევროპაში უმსხვილეს მრავალპროფილიან ინფექციურ სტაციონარს და სამეცნიერო – პრაქტიკულ ცენტრს. აქ არის ვირუსოლოგიური გამოკვლევების ცენტრი, რომელიც იშვიათი და ახალი ინფექციების დიაგნოსტიკას აწარმოებს. თავის დროზე საავადმყოფო აშენდა მოწინავე ტექნოლოგიების დაცვით. აქ მუშაობდნენ მსოფლიოში სახელგანთქმული მედიკოსები. იწერებოდა პირველი სახელმძღვანელოები ინფექციურ სნეულებებზე. ქალაქის ცენტრში განლაგებული საავადმყოფო წელიწადში 36 000 პაციენტს მკურნალობს, ხოლო 120 000 ადამიანს უწევს კვალიფიციურ ამბულატორიულ დახმარებას. სტაციონარი სადღეღამისო რეჟიმით მუშაობს არაეპიდემიურ და ეპიდემიურ პერიოდებში. და მზადაა მიიღოს პაციენტები განსაკუთრებით საშიში ეპიდემიების დროსაც. 1987წ. გაიხსნა შიდსის კლინიკური ცენტრი. 1995 წლიდან ფუნქციონირებს საექიმო პუნქტი უსახლკაროთათვის, სადაც ისინი იღებენ სამედიცინო დახმარებას. მჭიდროდ ვთანამშრომლობთ უმაღლეს სასწავლებელთან, ეს ტრადიციაა. საავადმყოფო მონაწილეობას იღებს კონფერენციების, სიმპოზიუმების, სემინარების მოწყობაში. ბოტკინის სახ.საავადმყოფო ერთადერთი ინფექციური სტაციონარია, რომელიც ქალაქის ეპიდემიოლოგურ უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. ამავე დროს იგი იცავს ტრადიციებს, ბოტკინის მიერ XIX ს-ში დაწესებულს. დღესაც უწევს დახმარებას ღარიბ და უსახლკარო ადამიანებს, ეხმარება მათ საჭმლით და ტანსაცმლით. მიმდინარე წელს ორგანიზებული იქნა უსახლკაროთა ვაქცინოპროფილაქტიკა მუცლის ტიფის და დიფტერიის საწინააღმდეგოდ, რაც ძალზე მნიშვნელოვანია ქალაქის მცხოვრებთათვის. სამომავლო გეგმები გრანდიოზულია. სტაციონარი პეტერბურგის ისტორიული ცენტრში მდებარეობს. ქალაქი წლითიწლობით იზრდება. სულ უფრო ძნელი ხდება ავადმყოფთა გადმოყვანა სასწრაფო სამედიცინო სამსახურების მიერ ქუჩებში არსებული საცობების გამო, ამიტომ დაგეგმილია საავადმყოფოს გადაბაზირება. აშენდება ორი სტაციონარი, რომლებიც მოემსახურება ჩრდილოეთის და სამხრეთის მხარეებს, ნევის იქით და აქეთ. პროექტის მომზადებაში მონაწილეობას ვეღებთ მე და საავადმყოფოს მთავარი ექიმი. ინვესტორი დებს ერთ მილიარდ დოლარს, იგი მიიღებს ტერიტორიას, ჩვენ მივიღებთ ორ ახალ საავადმყოფოს და უფრო ეფექტურად მოვემსახურებით ქალაქს.

– თქვენ კარგი ავტორიტეტით სარგებლობთ

– ჩემი დევიზია ადამიანებს მოვექცე ისე, როგორც მინდა მომექცენ მე თანამშრომლებთან, მეზობლებთან, მეგობრებთან, ახლობლებთან, ნათესავებთან – ყველგან ასეთი დამოკიდებულება მაქვს. ვცდილობ ვიყო მათთან პატიოსანი, პასუხისმგებლობის გრძნობით, ვიზრუნო მათზე. არ შემიძლია უარი ვუთხრა ბავშვს როცა იგი თავის დღესასწაულზე მპატიჟებს. გაიზრდება და ჩვენგან აღებული მაგალითით იცხოვრებს. ადამიანებთან ურთიერთობა რთულია, მაგრამ თუ იქნები თვითკრიტიკული, გაანალიზებ საკუთარ საქციელს, თუნდაც შეცდომებს, ეს დაგეხმარება მომავალში სწორი ნაბიჯის გადადგმაში. საერთოდ ჯობს დაფიქრდე როცა ადამიანს პასუხს სცემ. თუმცა შეურაცხყოფის უფლებას არავის ვაძლევ. უმიზეზოდ წყენას ვერავის ვაპატიებ და პასუხსაც წამიერად გავცემ. დიდი კოლექტივი გვაქვს, სხვადასხვა ერის წარმომადგენლებიც გვყავს, როცა რამე უჭირთ, ვცდილობ ავუხსნა, ვასწავლო, იშვიათად ვყვირი. უსიამოვნო სცენები ჩემთვის ძნელი ასატანია და ქვეშევრდომთათვის ორმაგად მძიმეა. სიმშვიდეს არაფერი სჯობს, თუმცა ბრძანებების გაცემაც მიყვარს, თანამდებობაც მაძლევს უფლებას და მოვალეც ვარ ასე მოვიქცე. ქართველი ვარ უცხოეთში. ეს დიდი პასუხისმგებლობაა, მე ჩემს ერს, ჩემს კუთხეს წარმოვადგენ, შეიძლება ზოგს არც ჰქონია ქართველთან ურთიერთობა და იგი შენით შეიქმნის აზრს, რომელსაც მთელ ერზე ავრცელებს. შენი ქვეყნის დესპანი უნდა იყო უცხოეთში.

– უმადურ ადამიანებზე რას იტყვით?

– მე მათ ყურადღებას არ ვაქცევ, არ ღირს. დელიკატურობა ხშირად სწორად არ აღიქმება. 17 წელია სამედიცინო წრეებში ვტრიალებ, დარწმუნებული ვარ ბევრი დაავადება უარყოფითი ემოციებით არის გამოცვეული. ბოღმა, შური, ბრაზი. ფიქრი ანგარიშსწორებაზე ამძიმებს ადამიანს და არამც და არამც არ ათავისუფლებს მას. დამძიმებული სულით სიარული ძნელია, ნაბიჯი მძიმეა, სიხარულსაც ვერ განიცდი. ”გიყვარდეს მოყვასი შენი” – გვასწავლის იესო. ეს სიყვარული დაგვეხმარება გვიყვარდეს არა მარტო ქართველებს ერთმანეთი, არამედ გვიყვარდეს სხვა ერის შვილებიც. საერთოდ ადამიანი მიყვარს მე არ ველოდები გამოწვევას, როცა ვიგძნობ საჭიროებას უხმოდ მივდივარ მეგობრის დასახმარებლად. ვთვლი, რომ სიკეთე უნდა აკეთო უჩუმრად. ეს არის გმირობა, არც ძნელი საქმეა უბრალოდ უნდა გიყვარდეს ადამიანი, გული შეგტკიოდეს მასზე.

– თქვენი საყვარელი დღესასწაული

– ახალი წელი მიყვარს. ვაჯამებ განვლილს, ვაანალიზებ, იმედებით ვივსები

– ,,დავდივარ ... ვწუხვარ ... და მენანება” – რა არის ეს თქვენს ცხოვრებაში?

– მამა. იგი ჩემთვის სულიერი დასაყრდენი იყო. ბევრი ვიბრძოლეთ მე, მამამ და ჩემმა მეგობარმა ექიმმა მისი ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის. ვიცოდი ის დღე დადგებოდა, მაგრამ მაინც ის წამი, როცა გავიგე რომ მამა აღარ მყავდა ჩემი ცხოვრების ყველაზე მძიმე, თავზარდამცემი იყო. მე ვიხსენებ მას – მკაცრს, შეუვალს, მაგრამ ამავე დროს კეთილს, დამთმობს; ყოველთვის სჯეროდა ჩემი და იგი ყოველთვის ჩემს გვერდით იყო. ორმაგად ვუფრთხილდები დედას, მამის მაგივრადაც. არ ვიცი როგორი მამა ვარ, ვფიქრობ ყველაფერი ინდივიდუალურია და შვილები სანამ მშობლები არ გახდებიან ვერ შეაფასებენ. ახლობლები ამბობენ, რომ მეტისმეტად ლიბერალური მშობელი ვარ.

– ბუნება თქვენს ცხოვრებაში ...

– აგარაკი მაქვს ქალაქიდან საკმაოდ მოშორებით, პარასკევს სიხარულით გავრბივარ, კვირას ვბრუნდები დაღლილ-დაქანცული, მაგრამ ნასიამოვნები. ტყეშიც დავხეტიალობ თოფით, ეს ისე, ცხოველების მოკვლა არ შემიძლია. ყვავილებს ვუვლი, გაზაფხულზე ეზოში ჰოლანდიური ტიტები იშლებიან, თვალს ვერ მოაშორებ ისეთი სილამაზეა. სადაც დავდივარ საზღვარგარეთ ყველგან ვპოულობ რაღაც საინტერესოს, ნერგს. თესლს. ვწვალობ, ვწვალობ, ზოგი იდგამს ფესვს, ზოგი არა. კაბინეტშიც უამრავი ქოთანი მაქვს, მე თვითონ ვუვლი, ყვავილებს მოერება უნდა, ხასიათის გაგება, წყალი და მინერალები არ არის საკმარისი, მათ ხელების სითბო სჭირდებათ.

– ქალბატონებს თუ ჩუქნით ყვავილებს?

– გაინტერესებთ ჩემი აზრი ქალებზე? ჭკვიანი ქალები მომწონს. ხშირად ნახავ ულამაზეს ქალს, გემოვნებით ჩაცმულს, მაგრამ საუბარს დაიწყებს და ხასიათი დაგეკარგება, სადღაც ქრება ლამაზი თვალები, გამომწვევი მიხვრა-მოხვრა და სიცარიელე რჩება, საინტერესო, მიმზიდველი ქალი შიგნიდან ასხივებს. უსმენ და სხვანაირი ხდება შენს თვალში. საერთოდ მოსმენა უფრო მიყვარს, ვიდრე ლაპარაკი. კიდევ რა მიყვარს? მოგზაურობა. განსაკუთრებით სიმშვიდეა სკანდინავიის ქვეყნებში. სათევზაოდაც კარგია იქ წასვლა. მიყვარს ეგვიპტე. საოცარია წითელი ზღვა; ლურჯი, ცურავ, გძინავს, არაფერზე არ ფიქრობ. ვკითხულობ, ისე ვერ ვიძინებ. ჭ. ამირეჯიბის ,,დათა თუთაშხია" რამდენჯერაც უნდა წავიკითხო, სულ ახალს ვპოულობ რაღაცას. ისტორიული რომანები მიყვარს – იანი განსაკუთრებით; ლევ ტოლსტოის ვუბრუნდები ხშირად.

– ნოსტალგია ... ეს გრძნობა თქვენთვის ნაცნობია?

– ნ. დუმბაძე ერთგან ცდილობდა აეხსნა ჩვენთვის – ქართველებისთვის რა არის სამშობლო. ,,როგორც ჩანს სამშობლო ყველაფერი ისაა, უიმისოდაც სიცოცხლე არ შეგიძლია." საქართველო, ჩემი ქობულეთი, სულ მენატრება. წელიწადში ორჯერ მაინც ჩამოვდივარ. არ მეზარება ათასობით კილომეტრის გავლა მანქანით, სიხარულით მოვდივარ. როცა მშობლიურ სახლს მივადგები, მავიწყდება დაღლა, უკან რჩება ყველა უსიამოვნება და სიამოვნება, რაც სამშობლოს იქით განმიცდია, ძალა მემატება. პირველად ბავშვობის მეგობრებს ვნახულობ, ეს ენით აუწერელი განცდაა. ვუყურებ მათ და მგონია, რომ არც არასოდეს მიცხოვრია მათ გარეშე. თითქოს ისევ იქ ვარ, მათ გვერდით. შეიძლება იმიტომაც, რომ კავშირს არ ვწყვეტ მათთან, ვიცი ყველაფერი მათზე,მათ შვილებზე. შევიკრიბებით და ერთად მივდივართ გარდაცვლილი მასწავლებლის და მეგობრების საფლავებზე. უცხოეთში მყოფთათვის საქართველო ისეთად დარჩა, როგორიც დავტოვეთ. მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება ამ ულამაზეს ქალაქში მიდის. თვრამეტი წლის ვიყავი აქ რომ დავსახლდი. ჯერ კიდევ ბევრი რამ მაქვს გასაკეთებელი. თუ შრომა გიყვარს ყველგან მოიპოვებ პატივისცემას, თუ ადამიანი გიყვარს, ყველგან იპოვი თანაგრძნობას. მაინც ჩემი ქვეყნისკენ მომიწევს გული. ვემზადები... არ ვიცი ეს როდის იქნება. რა? ბარგს რომ ჩავალაგებ და დავემშვიდობები ქალაქს, რომელმაც ჩემი ადამიანური შესაძლებლობების ზღვარი მაჩვენა.

მანანა ჯანაშია

მანანა ჯანაშია

დაიბადა 1967 წელს ზუგდიდის რაიონში. დაამთავრა პეტერბურგის პედიატრიული სამედიცინო აკადემია. სწავლა გააგრძელა ოტოს სახელობის რუსეთის სამედიცინო აკადენიის კლინიკურ ორდინატურაში. დაამთავრა ასპირანტურა და მუშაობს ექიმად, არის მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ჰყავს მეუღლე – ჯანაშია გიორგი და ორი შვილი – თამარი პეტერბურგის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტი და ვაჟი – გიორგი 7-ე კლასის მოსწავლე.

– 14წლის ვიყავი პეტერბურგში,რომ ჩამოვედი. აქ გავიზარდე, გავთხოვდი და ჩემი შვილებიც აქ გავზარდე. ღვთის წყალობით ამ ქალაქმა ყველაფერი მომცა. თითქოს ცხოვრებამ თვითონ დაგეგმა ჩვენი აქ ყოფნა. აქედან საქართველო საოცნებო ქვეყნად რჩება ჩემთვის, ამავე დროს დიდ ტკივილად. როცა ჩავდივარ ჩემს სახლში ცრემლი არ მიშრება. აღარ არის ის ხალხი ვინც ბავშვობაში გარს მეხვია. ორ ქვეყანას შორის დაძაბულობამ შეგვაშინა ეს იყო შოკის მომგვრელი გრძნობა, როცა ვიგებიდთ, რომ უსაბუთო ჩვენს თანამემამულეებს უცერემონიოდ ყრიდნენ ქვეყნიდან. ბავშვების გამო ძალიან ვწუხდი, მაგრამ ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. სახელით და გვარით ხომ ცნობდნენ,რომ ქართველია. ჩემს ქალიშვილს სახელი დიდი თამარის საპატივცემულოდ ჰქვია. ასეთ მძიმე დროს რუსი მეგობრებისგან დიდ მხარდაჭერას ვგრძნობდით. ღმერთისგან დალოცვილი პროფესია მაქვს, ადამიანის დაბადებაში ხომ ღმერთის ხელი ურევია. თუ კეთილსინდისიერად ასრულებ შენს მოვალეობას არ აინტერესებთ შენი წარმომავლობა. ვფიქრობ ყველამ ძალა უნდა მოიკრიბოს მშვიდობის დასამყარებლად. ღმერთი არ ყოფს ადამიანებს მტრებად და მოყვრებად. ეს ადამიანები ცდილობენ ავნონ ერთამანეთს. ექიმი უბრალოდ ქირურგი არ არის. უნდა შეგეძლოს ადამიანებთან ურთიერთობა უნდა იცხოვრო ფეხმძიმე ქალის

ცხოვრებით, ყოველთვის ვლოცულობ მათთვის და მათაც მოვუწოდებ უფლის იმედზე იყვნენ. ჩემი ცხოვრების ყველაზე მძიმე პერიოდი სწორედ ღმერთის რწმენით
გადავიტანე. მამის გარდაცვალების შემდეგ თითქოს ცხოვრება დამთავრდა, კედლები ჩამოინგრა. ჩემი მოძღვარი შემთხვევით გავიცანი, როცა შევხედე მამას მივამსგავსე, მიხვდი, რომ ღმერთმა სულიერი სითბო მისი სახით მომივლინა. იგი ლოცულობდა
არა მარტო ჩემზე, ჩემს შვილებზე არამედ, საქართველოზეც.

goofyboarder.gallery.ru

შვილები

სოფიკო ნიჟარაძე

სოფიკო ნიჟარაძე

პეტერბურგი ჩემი სახლია. აქ დავიბადე, აქ გავიზარდე, აქ ვსწავლობდი, ამას ვერაფერი შეცვლის ჩემს ცხოვრებაში. ამ ქალაქმა გამზარდა ისეთი, როგორიც ვარ და, ამის გამო, მუდამ მეყვარება. ყველა ადამიანს თავისი ბედი აქვს, ღმერთის წყალობით ცხოვრებამ ამ ქალაქთან დამაკავშირა, რისთვისაც ძალიან მადლობელი ვარ. პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი საერთაშორისო პოლიტიკის განხრით დავამთავრე. ჯერჯერობით პოლიტიკისგან თავს ვიკავებ. გამიჩნდა მისწრაფება ვიყო დამოუკიდებელი და თავისუფალი ადამიანი, ამიტომ გადავწყვიტე ბიზნესში გამოვცადო თავი, აქ არის ამის შესაძლებლობები. უამრავი მეგობარი მყავს, უფრო თანატოლებთან ვმეგობრობ, იმათთან, ვისთან ერთადაც ვსწავლობდი, ან ერთად ვიზრდებოდით: ქართველები, რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები – მოკლედ ყველა კუთხიდან. მშვენივრად ვგრძნობთ თავს, გასაყოფი არაფერი გვაქვს. პეტერბურგი თბილისზე დიდია ბევრად, მაგრამ აქაც

ყველა ერთმანეთს ვცნობთ. ყოველთვის მაინტერესებს, რა ხდება საქართველოში, ქართულ ტელეარხებს მთელი ოჯახი ვუყურებთ, იქ ხომ ჩემი უძვირფასესი ადამიანები ცხოვრობენ: ბებიები, ბაბუა, ბიძები, ბიძაშვილები, მეგობრები ქობულეთში, სენაკსა და თბილისში. მე და ჩემი ოჯახის წევრები ყოველ წელს ჩამოვდივართ სამშობლოში, ამიტომ დაინტერესებული ვართ ქვეყანაში იყოს სიწყნარე, სტაბილურობა. ჩემი სადიპლომო ნამუშევარიც სწორედ საქართველოს ეხებოდა. რა არის ჩემში ქართული ხასიათებიდან? ალბათ გარშემო მყოფნი უფრო იტყვიან. მთავარია, ვიცი, რომ მშობლებმა კარგ ადამიანად აღმზარდეს – მართალი, ძლიერი და განათლებული. დანარჩენს ცხოვრება მოიტანს. რაც შეეხება ქართულ ლიტერატურას, ვთვლი, რომ არცთუ ისე კარგად ვიცნობ. რადგან რუსულ სკოლაში ვსწავლობდი, უფრო რუსულ ლიტერატურაში ვერკვევი. ქართველი კლასიკოსებიდან ვიცნობ შოთა რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, გალაქტიონ ტაბიძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ნოდარ დუმბაძის შემოქმედებას. მიჭირს რომელიმე მათგანის გამორჩევა, ყველას თავისი ადგილი აქვს ჩემს ცნობიერებაში და ვიცი, რომ ეს არ არის საკმარისი. არა მგონია, ოდესმე საქართველოში საცხოვრებლად და სამუშაოდ ჩამოსვლაზე ვიფიქრო, რადგან მთელი ცხოვრება აქ გავატარე და გამიჭირდება თავიდან დავიწყო ყველაფერი. სიმართლე გითხრათ, ჯერჯერობით ჩემი შესაძლებლობების რეალიზაციის პერსპექტივებს ვერ ვხედავ დღევანდელ საქართველოში. ქართველობა, ჩემი გაგებით, ტერიტორიასთან დაკავშირებული მცნება არ არის, მნიშვნელობა არა აქვს, თუ სადა ხარ ქართველი. ჩემი ოცნებაა ლამაზი ოჯახის შექმნა, მინდა საამაყო შვილები მყავდეს, მათ სრულყოფილად შევასწავლი საქართველოს ისტორიას, ქართულ ენას, ვუამბობ ჩვენი ფესვების შესახებ. სადაც არ უნდა ვცხოვრობდე, მე გადავცემ შვილებს სამშობლოს სიყვარულს ისე, როგორც მშობლებმა გადმომცეს. ნახევარი მსოფლიო მოვლილი მაქვს, მაგრამ ქობულეთზე უკეთესი დასასვენებელი ადგილი არ მეგულება, ალბათ, იმიტომ, რომ ეს ჩემი მშობლიური ქალაქია; ყოველ ზაფხულს ჩამოვდივარ, მელოდება უამრავი ნათესავი, ბავშვობის მეგობარი, დრო ულმობლად სწრაფად გადის და მეც შთაბეჭდილებებითა და განცდებით დაღლილი ვუბრუნდები პეტერბურგს.

ლანა ცერცვაძე

ლანა ცერცვაძე

პეტერბურგში გაზრდილი ქართველი ვარ. ჩემთვის ეს ჯადოსნური ქალაქია, ყოველდღე ახლის შეცნობისა და სიხარულის ქალაქია, აქ უამრავი სურვილის განხორციელება შეიძლება. მეამაყება, რომ ქართულ ტრადიციებზე ვარ გაზრდილი. ბედნიერებაა საქართველოში გატარებული ყოველი დღე, მაგრამ ვფიქრობ იქ ცხოვრება ჩემთვის რთული იქნება. აქ ქართველებს ჩვენი პატარა სამყარო გვაქვს. მჭიდროდ ვურთიერთობთ ქართულ დიასპორასთან კორპორაციულ ღონისძიებებზე, ქორწილებზე, ლიტერატურულ საღამოებზე, ქართული ხალხური ცეკვისა და სიმღერის კონცერტებზე. ჩვენი ოჯახი ყოველთვის ხმამაღლა და ღიად გაიძახის, რომ ქართველები ვართ. ერთხელ სკოლაში საახალწლო ზეიმი გვქონდა. სცენარი დედამ დაწერა. ჩემს თანაკლასელებს ქართული კოსტიუმები ჩავაცვით, ქართული ლექსები ვასწავლეთ, წავიკითხეთ ბორის პასტერნაკის და ბელა ახმადულინას თარგმანები, ვიოლინოზე ქართულ მელოდიებს უკრავდნენ. დაუვიწყარი დღესასწაული გამოვიდა. სხვადასხვა ეროვნების მეგობრები მყავს. მათთან კარგი ურთიერთობა მაქვს. ჩემი ადამიანური თვისებებით ვცდილობ ვაჩვენო, როგორია ქართველი. ოჯახში პატარაობიდან მინერგავდნენ, რომ ეს ბევრს მავალებს. განათლება, ნდობა, პასუხისმგებლობა, სხვა ერის ტრადიციებისადმი პატივისცემა, სურვილი ამ ტრადიციების შეცნობისა – ეს ყველაფერი მაძლევს საკუთარი თავის დამკვიდრების საშუალებას უცხოელ თანატოლებში. ქართული წერა-კითხვა დედამ შეგვასწავლა მე და ჩემს დას ხუთი წლის ასაკში. მიყვარს ილია ჭავჭავაძის, მიხეილ ჯავახიშვილის ნაწარმოებების კითხვა. ანა კალანდაძის ბევრი ლექსი ვიცი ზეპირად. დედ-მამის პროფესია – ექიმობა ავირჩიე. ოცნება მაქვს დავამთავრო პედიატრიული აკადემია და სწავლა გავაგრძელო საზღვარგარეთ, მინდა სახელოვანი ექიმი დავდგე.

გრეტა ცერცვაძე

გრეტა ცერცვაძე

პეტერბურგი ლამაზი, ცივილიზებული ქალაქია. გიმნაზიაში ვსწავლობ. ძალიან მიყვარს მათემატიკა, გასულ წელს გავიმარჯვე ქალაქის მათემატიკურ ოლიმპიადაზე. აქედან ჩემი ინტერესი გასაგებია – ვარღვევ ოჯახურ ტრადიციას, დედაც და მამაც ხომ ექიმები არიან და გადაწყვეტილი მაქვს ბანკირი გავხდე. სახლში ქართული ტელეარხები გვაქვს, სულ ვიცით რა ხდება საქართველოში. ზაფხულის სამი თვე მთელი წელი მყოფნის. მოგონებებით ვცხოვრობ და ვიცი დადგება ის დღე, როცა ისევ დავიწყებთ ბარგის ჩალაგებას და ბებიასთან წავალთ. ვცდილობ კარგად ვისწავლო, იმიტომ კი არა სხვებს ვაჯობო უბრალოდ სკოლაში ეს პატივისცემის ერთ-ერთი გარანტიაა. კლასელებთან, მეგობრებთან გულწრფელი ურთიერთობა მაქვს. რომ იცოდეთ, რა სიხარულია მათთვის, როცა ქართულ ფრაზებს ვასწავლი ან ქართული ცეკვის ილეთებს ვუჩვენებ, ან ქართულ სიმღერას ვმღერი. მხატვრულ ტანვარჯიშზე დავდივარ, ქართულ ცეკვებს ვსწავლობ, მიყვარს მუსიკის მოსმენა, გიმნაზიაში სწავლასაც ბევრი დრო მიაქვს. ქართველი მწერლებიდან მიყვარს აკაკი წერეთელი და ნოდარ დუმბაძე. დედა მირჩევს საკითხავ წიგნებს, თუ რამე ვერ გავიგე მიხსნის. ბაბუა ხშირადაა ჩვენთან, ბებო გვენატრება სულ, ის საქართველოშია და გველოდება.

თამრიკო ნიჟარაძე



თამრიკო ნიჟარაძე

პეტერბურგში თავს უცხოდ, განსაკუთრებულად ან გარიყულად არ ვგრძნობ. მე აქ დავიბადე და ვთვლი, რომ ის ჩემი მშობლიური ქალაქია. მთლიანად შევისრუტე მისი ესთეტიკა და თავს კომფორტულად ვგრძნობ. ხანდახან თვალს და გულს უხარია სანაპიროზე გასეირნება. არც მოქუფრული ცა და არც ცივი ქარები არ მაფორიაქებენ. თუკი მთხოვენ, დავწერო სიტყვა ,,პეტერბურგთან'' დაკავშირებულ ასოციაციებზე, არ შემოვიფარგლები ბანალური ფრაზებით: ,,პეტროპავლოვის ციხე", ,,ნევა", ან ,,ერმიტაჟი.'' პეტერბურგი ეს მამაკაცია. დიახ, მამაკაცი, საშუალოზე მაღალი, ელეგანტური, ნაცრისფერი ფრაკით. ინტელექტუალური და მისტიკური, რაც მთავარია – დიდებული. ჩემთვის არც ისე ადვილია გადმოგცეთ ის გრძნობა და აღფრთოვანება, რომელსაც ამ ქალაქის მიმართ განვიცდი. მხოლოდ შემიძლია შემოგთავაზოთ აქ ჩამობრძანება და პეტრეს ქმნილების გრანდიოზულობის და გენიალობის განცდა. მეკითხებით რა არის ჩემში ქართული ხასიათებიდან? ჰმ, იცით, საგონებელში ჩამაგდეთ. თვისებები..... თვისებები... გარეგნობით, როგორც მახსოვს, ქართველს მამსგავსებდნენ, თანაც ,,ნამდვილს'', ზოგი ამტკიცებდა, რომ ესპანელს ან იტალიელს ვგავარ. ეს არ არის მთავარი. რაც შეეხება ჩემს სამხრეთულ და ცხელ სისხლს, ჩემი აზრით, იგი გაცივდა ,,ჩრდილოეთ ვენეციაში'' ცხოვრების წლებში. ჩემი პედაგოგი ხანდახან მსაყვედურობს, რომ ხატვის დროს ვერ გამოვხატავ

საღებავებში სამხრეთელთათვის დამახასიათებელ მკვეთრ ემოციებს. საერთოდ, არ ვიცი, რა არის გამორჩეულად ქართული ხასიათი, ჩემი აზრით, ეროვნულობისაგან დამოუკიდებლად ყველას თავისი ხასიათი აქვს. ქართულ ლიტერატურას ზერელედ ვიცნობ, შეიძლება ითქვას, არ ვიცნობ. სასკოლო პროგრამა შემოიფარგლება მხოლოდ რუსი მწერლებითა და პოეტებით, შიგადაშიგ უცხოელებით. მეორე წელია უდროობის გამო ვერ ვახერხებ ჰიუგოსა და გოეთეს ზოგი ნაწარმოების წაკითხვას, შექსპირიც ვერ მივიყვანე ბოლომდე. შარშან ,,ვეფხისტყაოსნის" კითხვა დავიწყე, როცა გამოცდებისაგან გავთავისუფლდები, აუცილებლად წავიკითხავ. ამ ზაფხულს მქონდა ბედნიერება ნოდარ დუმბაძის შემოქმედებას გავცნობოდი. იცით, მომეწონა! განსაკუთრებით, ,,კუკარაჩა," და ,,მე, ბებია, ილიკო და ილარიონი". დუმბაძის რომანების კითხვა დიდი სიამოვნებაა, ის ნათლად გადმოსცემს თავის აზრებს, შესანიშნავად აღწერს მხოლოდ საქართველოსთვის დამახასიათებელს პეიზაჟებს და გადმოსცემს ამ პატარა ქვეყნის სულსა და ემოციებს, გაზიარებს ქართულ სინამდვილეს. ქართული წერა-კითხვა ვიცი, მაგრამ მაინც მიჭირს აღქმა, ამიტომ დუმბაძის ორი ტომი რუსულად წავიკითხე. საქართველოსთან კავშირი მშობლების მეშვეობით მაქვს. ისინი ნამდვილი ქართველები არიან. თუკი ადრე სულ იქით მივიწევდი, ახლა მხოლოდ შავი ზღვისთვის, ახლობლებისა და საყვარელი ადამიანებისათვის ჩავდივარ. ერთადერთი ოცნება, რაც საქართველოსთან მაკავშირებს, მისი ბრწყინვალე მომავლის ოცნებაა. საქართველო ჩემში ასოცირდება ფილმთან ,,ნატვრის ხე." ეს ჩემი საყვარელი ფილმია, მან დამანახა როგორია ჩემი ფესვები. მინდა ჩემი ცხოვრება მხატვრობას დავუკავშირო. ძალიან მომწონს ხელოვნება და უფალს მადლობას ვწირავ, რომ ასეთი ნიჭით დამაჯილდოვა.

... დასასრულს, წუხილით მინდა აღვნიშნო, რომ დროის სიმცირის გამო ყურადღების მიღმა დამრჩა უამრავი რესპონდენტი. გემშვიდობებით იმ იმედით, რომ ისევ ვეწვევი სანკტ–პეტერბურგს...

ნათია გოგიტიძე
2008-2009წ.

e.mail - natiagogitidze1@rambler.ru

Tel: 593 23 39 70

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნ.მახათაძე ,,ქართული კულტურის კერა პეტერბურგში” 1967წ.
2. მ.გორგოძე ,,ქართველები პეტერბურგში” 1976წ.
3. ნ.ზარნაძე, ნ.ჯანგველიძე ,,ქართული ეკლესია სანკტ-პეტერბურგში” 2005წ.